

მორიგი რეკომენდაცია

A4



ტკბილი ნაყოფი - ნამდვილი ფეხბურთი

A5



ორჰან პამუკის გენოციდი

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 17 ოქტომბერი, 2006 წელი. №230 (1382) | ფასი 50 თეთრი

# ხმაური გაერო-ს რეზოლუციის გამო გრძელდება

რუსეთის ანტიქართული კამპანია გრძელდება. რუსეთის ფედერაციის საბჭოს საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელი მიხაილ მარგელოვი არ გამორიცხავს, რომ რუსეთმა საერთაშორისო საზოგადოებისგან საქართველოს წინააღმდეგ სანქციების დაწესება მოითხოვოს.

ამ მოთხოვნას რუსეთი იმ შემთხვევაში წამოაყენებს, თუ ოფიციალური თბილისი გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციას არ შეასრულებს და რუსეთთან, აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის ფორმატს არ დაუბრუნდება.

**"მართალია, რეზოლუცია ჯერჯერობით სანქციებსა და მკაცრ ზომებს არ ითვალისწინებს, მაგრამ დოკუმენტი პრაქტიკულად აღიარებს საქართველოს მხრიდან საერთაშორისო ნორმების დარღვევასა და მის უკანონო ქმედებებს კოდორის ხეობაში,"** - განაცხადა მარგელოვმა. რუსეთის "დუმაში" აცხადებენ, რომ საქართველო გაერო-ს რეზოლუციის იგნორირებას მოახდენს და ამისთვის რუსეთი მზად უნდა იყოს.

გუშინვე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თემურ მჟავიამ განაცხადა, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიუხედავად, ქართული მხარე ზემო აფხაზეთიდან ფეხის მოცვლას არ აპირებს.

**"სამწუხაროა, რომ დოკუმენტი რუსეთის ინტერესებზეა მორგებული, თუმცა ეს ჩვენთვის იმედგაცრუების მიზეზი არ უნდა იყოს. საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილება კოდორში აფხაზეთის ლეგიტიმური სტრუქტურების განთავსების შესახებ, შეუვალია, რადგან ეს ნაბიჯი წლების განმავლობაში მწიფდებოდა. ზემო აფხაზეთიდან ფეხის მოცვლას არ ვაპირებთ, პირიქით, იქ ჩვენს სტრუქტურებს კიდევ უფრო გავაძლიერებთ და დავამკვიდრებთ. უშიშროების საბჭოს 13 ოქტომბრის რეზოლუცია გარდამავალი ნაბიჯია გაერო-ს უშიშროების საბჭოს მომდევნო რეზოლუციისკენ, რომელიც ქართული მხარის მხარდამჭერი იქნება. კორეის პრობლემამ ჩვენი მეგობარი ამერიკის შეერთებული შტატები აიძულა, ამ რეზოლუციით რუსეთისადმი დროებითი კომპრომისი დაეშვა, რაც, ღრმად ვარ დარწმუნებული, მომავალ რეზოლუციაში გამოსწორდება",** - აღნიშნა მჟავიამ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# რა უფრო საგანგაშოა - ფარული კამერა თუ ადგილებით ვაჭრობა

ეკა კვესიტაძე

13 ივნისს ბრიტანეთში პოლიტიკური სკანდალი მოხდა, რომელმაც კიდევ ერთი დარტყმა მიაყენა ტონი ბლერის ისედაც შერყეულ რეპუტაციას. ტიტულების გაყიდვის ბრალდებით დაიჭირეს პრემიერ-მინისტრის უახლოესი მეგობარი და ჩოგბურთის პარტნიორი ლორდი ლევი, რომელიც ლეიბორისტული პარტიის მთავარი ხაზინადარი იყო. ლორდს ბრალს სდებდნენ, რომ ის ლეიბორისტული პარტიის სოლიდურ დამფინანსებლებს ლორდის თუ ბარონესის ტიტულის მიღებაში დახმარებას ჰპირდებოდა.

ბევრად უფრო ადრე, 1974 წელს რესპუბლიკელი პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი დემოკრატების ოფისში მოსასმენი აპარატების არაკანონიერ დაყენებას გადაყვა და პრეზიდენტის სავარძელი დროზე ადრე დატოვა. ეს ამბავი მსოფლიო უახლეს ისტორიაში "უოტერგეიტის" სახელით არის ცნობილი და ყველას ახსენებს, რომ შემდგარ დემოკრატიებში კანონის წინაშე ყველა თანასწორია და გამონაკლისს არც პრეზიდენტები წარმოადგენენ.

რამდენიმე დღის წინ "რუსთავი 2" აჩვენებს კასეტას, რომელიც ტელეკომპანიის ოფისში ერთ კერძო პირს, ვინმე კაპანაძეს მიაქვს (საინტერესო ტენდენცია ჩნდება ქართულ ტელევიზიებში. "იმედი" სადღაც დამარხულ კასეტას პოულობს, სადაც კვიციანის მოწოდებებია ჩაწერილი. "რუსთავი 2"-ს ამდენი წვალება აღარ უწევს და კასეტა პირდაპირ ოფისში მიაქვთ). ფარული ჩანაწერი ამხელს კონსერვატიული პარტიის ლიდერს კობა დავითაშვილს, რომელიც რესტორანში, სადილობის დროს, აზებაიჯანელი ეროვნების საქართველოს მოქალაქისაგან 20 ათასს დოლარს პარტიის დასაფინანსებლად იღებს.

გაგრძელება A3 გვერდზე



"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

# მიგრაცია - საშიში თუ სასარგებლო?

B

*მიგრაციული პროცესები პოლონეთისათვის არასოდეს ყოფილა უცხო. პოლონელები სოციალისტურ ბანაკში ყოფნის დროსაც გადიოდნენ საზღვარგარეთ საცხოვრებლად თუ სამუშაოდ. მაგრამ ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესები დაიწყო, უმუშევრობამ აქამდე არნახულ მასშტაბებს, თითქმის 20 პროცენტს მიაღწია. ამან მრავალ პოლონელს უბიძგა უცხოეთში ბედისა და სამუშაოს საძებნელად წასულიყო. პოლონელთა მიგრაციამ ბოლო დროს მაინც არნახული სახე მიიღო.*



# 20 000 დოლარი და განხეთქილება ოპოზიციაში

*სკანდალი, რომელიც რამდენიმე დღის წინ "კონსერვატორების" ერთ-ერთი ლიდერის კობა დავითაშვილის ირგვლივ აგორდა, როგორც ჩანს, შედეგის გარეშე არ ჩაივლის.*

თამარ ასათიანი

"კონსერვატორებისა" და "რესპუბლიკელების" ალიანსს სერიოზული საფრთხე ემუქრება. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტში საუბრობენ, რომ "რესპუბლიკელებისთვის" კობა დავითაშვილის საქციელი სრულიად მიუღებელი და მოულოდნელი აღმოჩნდა. მეტიც: შინაურულ საუბრებში "რესპუბლიკელები" აცხადებენ, რომ ამ სკანდალმა მათ იმიჯს და რეიტინგს საკმაოდ დიდი ზიანი მიაყენა. ასე რომ, პარლამენტშიც მათი მომავალი თანამშრომლობის საკითხი უკვე ეჭვის ქვეშ დგას.

პარალელურად, "რესპუბლიკელებს" ურთიერთობა გაუფუჭდათ "მრეწველებთანაც" - ეს მას მერე მოხდა, რაც საარჩევნო ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" რესპუბლიკურმა ფრთამ თბილისის საკრებულოში დამატებითი მანდატი სწორედ "მრეწველების" ხარჯზე მოითხოვა. მართალია, სასამართლომ ბლოკის სარჩელი არ დააკმაყოფილა, მაგრამ ამ დავამ ორ ოპოზიციურ პარტიას შორის ურთიერთობა საგრძნობლად გააფუჭა. ასე, მაგალითად, სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ დავით ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ სასამართლომ ხელისუფლების დაკვეთა შეასრულა და რომ ბლოკმა არჩევნებში რეალურად ორი მანდატი მოიპოვა, მაგრამ ერთი ხელისუფლებამ "მრეწველებს" გადასცა, "რათა ოპოზიციაში განხეთქილება ჩამოეგდო". თუმცა მას არ უთქვამს, რომ მანდატის დამატებას ისინი სწორედ თოფაძის პარტიის ხარჯზე ითხოვდნენ. თანაც, მათთან შეუთანხმებლად.

ასე რომ, უახლოეს მომავალში ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში საპარლამენტო უმცირესობის შექმნის შესაძლებლობა გამორიცხულია.

ცალკე საუბრის თემაა კობა დავითაშვილის "წყალობით" "კონსერვატორთა" რიგებში დაწყებული შიდაპარტიული გარჩევები.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ამინდი

| | 17/10 | 18/10 |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | 20 |
| ბათუმი | 21 | 17 |
| სოხუმი | 19 | 15 |
| ქუთაისი | 22 | 20 |
| გორი | 17 | 17 |
| თელავი | 20 | 19 |
| ონი | 16 | 13 |
| ზუგდიდი | 22 | 19 |
| ახმეტა | 20 | 20 |
| სამტრედია | 22 | 20 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7455 |
| ევრო | 2.1850 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2466 |
| რუბლი | 0.0647 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| სპორტი | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| ტენდერი | A 7 |
| რევიუ | A 8 |

# "პრომეთეს" დახურვის ოფიციალური და არაოფიციალური ქრონიკა

ნინია კაკაბაძე

თბილისის მე-7 საერთაშორისო კინოფესტივალი "პრომეთე" ტრადიციულად, ყოველგვარი ზარ-ზეიმის და გრანდიოზული "ტაშ-ფანდურის" გარეშე დაიხურა. 6 დღის განმავლობაში კინოთეატრ "ამირანში" როგორი საქმიანი გარემოც იყო შექმნილი, ასევე საქმიანად და მოკრძალებულად დასრულდა დღესასწაული კინოს მოყვარულთათვის. სულ ხუთი გამარჯვებული იყო და, შესაბამისად, პრემიაც ხუთი გახლდათ.

წელს პირველად წარმოდგენილ ფილმებს "ფიპრესის" (კინომცოდნეების საერთაშორისო ორგანიზაცია) წარმომადგენლებიც აფასებდნენ და პრემია საუკეთესო ფილმისათვის გადაეცა ესპანელი რეჟისორის ჰავიერ ბერმუდესის ნამუშევარს "ლეონი და ოლვიდო".

გაგრძელება A6 გვერდზე



*"კაცი საელჩოდან"*

# პასუხისგებაში მიცემული გამომძიებელი

*გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექცია კრიმინალური პოლიციის თანამშრომლის მიერ სამსახურებრივი სიყალბისა და თანხის მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს იძიებს.*

ჩვენი ინფორმაციით, გამოძიების დაწყებას საფუძვლად დაედო გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში, 2006 წლის 9 ივნისს შესული მსჯავრდებულ გიორგი ბერუაშვილის საჩივარი. საჩივარში მსჯავრდებული განმარტავდა, რომ მისი პირადი ჩხრეკისას ამოღებული 400 ლარიდან გამომძიებელმა 300 ლარი მიითვისა.

გამოძიების ინფორმაციით, თბილისის ისანი-სამგორის შს სამმართველოს პოლიციის პირველი განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების გამომძიებელს დავალებული ჰქონდა ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარება, რომლის დროსაც დააკავეს ძებნილი გიორგი ბერუაშვილი.

გიორგი ბერუაშვილის ჩხრეკისას, სხვა ნივთებთან ერთად, სამართალდამცველებმა ფულადი თანხა - 400 ლარი ამოიღეს. გამომძიებნის მტკიცებით, მიუხედავად იმისა, რომ ჩხრეკისას ამოღებული თანხა ეკუთვნოდა ბერუაშვილის დას და მის მეუღლეს, იმავდროულად, სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, ეს თანხა არ წარმოადგენდა მტკიცებულებას და, შესაბამისად, მისი საქმეზე დართვის საჭიროება არ არსებობდა. არადა, კანონიერ მფლობელებს თანხა არ დაუბრუნდათ და იგი შესანახად გადაეცა ამავე განყოფილების კრიმინალური პოლიციის ჯგუფის უფროს ინსპექტორს ზურაბ ჩილოშვილს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# "უმწიფრობა და პოლიტიკური სიბეცე"

## "მემარჯვენეების" ლიდერის შეკითხვებს, ადრესატების ნაცვლად, მაია ნადირაძე პასუხობს

*"მემარჯვენე ოპოზიცია" პარლამენტის სხდომების ბოიკოტს განაგრძობს და ხელისუფლებასთან აქტუალურ საკითხებზე საკამათოდ, ეპისტოლარულ ჟანრს მიმართავს.*

დავით გამყრელიძე ცდილობს, მიხეილ სააკაშვილსა და ნინო ბურჯანაძეს დაუმტკიცოს, რომ გაერო-ს უშიშროების საბჭოს ბოლო რეზოლუცია ამ ორგანიზაციის მიერ საქართველოს შესახებ მიღებულ რეზოლუციებს შორის ყველაზე მეტად ნეგატიურია.

თავისი მოსაზრების სისწორის საილუსტრაციოდ, "მემარჯვენეების" ლიდერი რეზოლუციის იმ ნაწილზე ამახვილებს ყურადღებას, რომლის თანახმადაც, ბოლო პერიოდში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დაძაბვაზე, ასევე კოდორის ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციაზე, პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებას ეკისრება.

გამყრელიძე იმასაც იხსენებს, რომ უშიშროების საბჭომ შეშფოთება გამოთქვა ქართული მხარის მიერ მოსკოვის 1994 წლის ხელშეკრულების დარღვევის გამო და საქართველოს მოუწოდა, სამხედრო რიტორიკისგან და პროვოკაციული მოქმედებებისგან თავი შეიკავოს.

**"აღნიშნული რეზოლუციით, მოწონებულია იქნა რუსი სამშვიდობოებისა და გაერო-ს სამხედრო დამკვირვებელთა მიერ კოდორის ხეობაში ერთობლივი პატრულირების აღდგენა და დადგინდა, რომ ამ ღონისძიებას რეგულარული ხასიათი ექნება. ვინაიდან გაერო-ს დამკვირვებელთა მისიას მანდატი 2007 წლის 15 აპრილამდე გაუგრძელდა, ეს ავტომატურად ნიშნავს, რომ რუსი სამშვიდობოების მანდატიც ანალოგიური ვადით არის გაგრძელებული",** - აღნიშნა გამყრელიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

გაერო-ს მიერ საქართველოს შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ირგვლივ "მემარჯვენეების" ლიდერი საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტის სპიკერს რამდენიმე შეკითხვით მიმართავს.

დავით გამყრელიძე, კერძოდ, კითხულობს, თუ რას ემსახურებოდა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ერთხმად მიღებული 2006 წლის 18 ივლისის დადგენილება საქართველოს ტერიტორიიდან რუსი სამშვიდობოების გაყვანის შესახებ და რატომ არ ასრულებს პრეზიდენტი ამ დადგენილებას; რატომ არის იგნორირებული ოპოზიციის ინიციატივა რუსი სამშვიდობოებისთვის მანდატის ცალმხრივად შეწყვეტისა და დსთ-დან საქართველოს გამოსვლის შესახებ; რას ემსახურებოდა ბოლო პერიოდში რუსეთის წინააღმდეგ გადადგმული უმწვავესი ნაბიჯები, თუ საქართველო მაინც დსთ-ს სივრცეში დარჩებოდა...

გამყრელიძეს ასევე აინტერესებს, რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას აპირებს საქართველოს პრეზიდენტი ე.წ. "სამხრეთ ოსეთში" 12 ნოემბერს დაგეგმილ რეფერენდუმთან დაკავშირებით და რას დაუპირისპირებს სააკაშვილი რუსეთს, თუ ეს ქვეყანა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის დამოუკიდებლობას აღიარებს.

ვიდრე გამყრელიძის წერილი სააკაშვილამდე და ბურჯანაძემდე მიაღწევდა, ოპოზიციონერი დეპუტატის შეკითხვებს, მათი ადრესატების ნაცვლად, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი მაია ნადირაძე პასუხობს. თავისი კოლეგის მიმართ მისი შეფასებები საკმაოდ მკვეთრია: **"ძნელია, რაიმე აზრის პოვნა იმ პოლიტიკოსის პოზიციაში, რომელიც საპარლამენტო სესიებზე არ დადის, პოლიტიკურ ცხოვრებაში არ ერევა და მხოლოდ კრიტიკული დამოკიდებულების გამოთქმით კმაყოფილდება".**

მისივე თქმით, ქვეყნისათვის მძიმე პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას დამსახურება უნდა. **"გამყრელიძე მხოლოდ შეკითხვებს სვამს რუს სამშვიდობოებთან დაკავშირებით და ამ დადგენილებას ხმას არ აძლევს. ამდენად, მისი მიმართვის ტექსტი პოლიტიკური უმწიფობის და სიბეცის შედეგია",** - აცხადებს ნადირაძე.

*24 საათი*

# დაბალი შობადობა, ალკოჰოლი და უიმედობა რუსეთში

ამერიკული გაზეთი "ლოს-ანჯელეს თაიმსი" რუსეთში დემოგრაფიულ სიტუაციას ვრცელ მასალას უძღვნის და წერს: "რუსი ერი დაბალი შობადობისგან, ავადმყოფობებისგან და უიმედობისგან იღუპება".

მასალა მოსკოვიდან 130 კილომეტრით დაშორებული სოფლის კსტინოვოს აღწერით იწყება. იქ მხოლოდ ერთი ადამიანი, 70 წლის ანტონია მაკაროვა ცხოვრობს. მისი უახლოესი მეზობელი, 80 წლის მარია ბელკოვა, გვერდით მდებარე სოფელ სოსონოვიცისში ცხოვრობს. აღნიშნული სოფლის მოსახლეობის რაოდენობა ორ ადამიანს შეადგენს.

მოსკოვიდან 130 კილომეტრით დაცილებულ ტვერის ოლქში ამგვარი სოფლების რაოდენობა, რომლის გასწვრივაც სიაში სიტყვა "ნეჟილოე" წერია, 1400-ზე მეტია.

"რუსეთი კარგავს მოსახლეობას. მოსახლეობა იღუპება შიდსით, სხვადასხვა დაავადებით, თვითმკვლელობით. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს რუსეთში აბორტების რაოდენობამ შობადობის რაოდენობას 100 ათასჯერ გაუსწრო. ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის რაოდენობა 300 მილიონი იყო. საბჭოთა კავშირს მაშინ მოსახლეობის რაოდენობით მხოლოდ ჩინეთი და ინდოეთი უსწრებდა. დღეს რუსეთის ფედერაციაში 142 მილიონი ადამიანი ცხოვრობს", - წერს ამერიკული გაზეთი.

რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის თავმჯდომარემ სერგეი მირონოვმა განაცხადა, რომ თუ ეს ტენდენცია უახლოეს მომავალში არ შეიცვლება, 2080 წლისთვის რუსეთის მოსახლეობა კიდევ 52 მილიონით შემცირდება. მისივე თქმით, დიადი რუსეთი უკვე აღარ იარსებებს. იგი ნაწილებად დაიშლება და არსებობას შეწყვეტს.

"შესაძლოა, ეს გადაჭარბებითაც იყოს ნათქვამი, მაგრამ რამდენად შეძლებს დეგრადირების გზაზე მდგარი რუსეთი ჩინეთისგან თავისი ტერიტორიის დაცვას, ეს სერიოზული საკითხია", წერს გაზეთი და აგრძელებს: "რუსეთის ხელისუფლებამ დაიწყო აღნიშნულ პრობლემაზე ზრუნვა. პუტინმა მიმდინარე წელს ყოველ მეორე დაბადებულ ბავშვზე თვეში 111 დოლარი დააწესა. ამავე დროს, მან მოუწოდა რუსეთის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ეთნიკურ რუსებს სამშობლოში დაბრუნებისკენ: "რუსეთს უზარმაზარი ტერიტორია აქვს, ყველაზე დიდი მსოფლიოში. თუკი სიტუაციას არ შევცვლით, მალე მისი დაცვა უბრალოდ აღარავის შეეძლება".

ამერიკული გაზეთის მონაცემებით, 90-იან წლებში რუსეთში თვითმკვლელობის რაოდენობა 50 პროცენტით გაიზარდა. 1995-დან 2003 წლამდე რუსეთში თვითმკვლელთა რიცხვმა ნახევარ მილიონს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ რეგიონებში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დიდია.

რუსეთს ალკოჰოლიზმიც ღუპავს. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის ტატიანა იაკოვლევას ინფორმაციით, ალკოჰოლური მოწამვლებისგან უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში რუსეთში 900 ათასი ადამიანი დაიღუპა.

გაეროს მონაცემებით, რუსეთში, მთელ ევროპასთან შედარებით, შიდსით დაავადებულთა ყველაზე დიდი რაოდენობაა დაფიქსირებული. რუსეთის ფედერაციის ოფიციალური მონაცემებით, დღეს ამ ინფექციის მატარებელთა რაოდენობა რუსეთში 300 ათასზე მეტია. გაეროს მონაცამებით კი, ამ მაჩვენებლის გაზრდა შთამბეჭდავ რაოდენობამდე შეიძლება.

ვაშინგტონის ვუდრო ვილსონის სახელობის საერთაშორისო კვლევითი ცენტრის წამყვანი ექსპერტის, მიურეი ფეშბახის მონაცემებით, რუსეთში 30 წელს ქვემოთ ამ ინფექციით დაავადებულთა რაოდენობა 80 პროცენტს შეადგენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 5 წლის განმავლობაში აღნიშნული ინფექციით 5-დან 10 მილიონამდე მოზარდი შეიძლება დაავადდეს.

ფეშბახს რუსეთის სამხედრო-სამედიცინო კომისიის მონაცემებიც მოჰყავს, რომელთა მიხედვითაც წვევამდელთა შორის შიდსის შემთხვევები 25-ჯერ არის გაზრდილი.

"ყველაზე ოპტიმისტური მონაცემებით, 2020 წლისთვის ამ ინფექციით რუსეთში 250 ათასი ადამიანი დაიღუპება. ყველაზე პესიმისტურით კი - 650 ათასი", - ამბობს ფეშბახი. მისივე ინფორმაციით, სიკვდილიანობა 25-დან 49 წლის ასაკის ადამიანებს შორის იქნება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# სუამ-ის არადეკლარირებული თანადგომა

*კიშინიოვში მყოფმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ღიად დაანაშაულა რუსეთი საქართველოს მიმართ აგრესიაში და სუამ-ის წევრ-ქვეყნებს მხარდამჭერი განცხადების მიღება სთხოვა. მართალია, ამჯერად ერთიანი "დემარშის" გაკეთება ვერ მოხერხდა, მაგრამ ბურჯანაძის მეორე ინიციატივის შედეგად, შესაძლოა, სუამის სამშვიდობო ძალებმა საქართველოს კონფლიქტის ზონებში რუსული სამშვიდობო ძალებიც ჩაანაცვლოს.*

ნათია მსხილაძე

სუამ-ის მესამე საპარლამენტო ასამბლეაზე კიშინიოვში ჩასული საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პირველივე დღიდან კოლეგების სრული მხარდაჭერის მოპოვებას ცდილობდა. **"ეს არის პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკადა, ნადირობა ეთნიკურ ქართველებზე. უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა, აქვთ თუ არა ამ ადამიანებს რაიმე დამსახურება - რუსეთში ყველა ქართველს დევნიან. შესაბამისად, უკვე დადასტურებული ფაქტია, რომ რუსეთს არ სურს და არც შეუძლია საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში პოზიტიური როლის შესრულება"**, - განაცხადა საგანგებო პრესკონფერენციაზე ბურჯანაძემ და რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ ცივი ომის წარმოებაში დაადანაშაულა.

ნინო ბურჯანაძე ერთობლივი განცხადების მიღების ინიციატივითაც გამოვიდა. თუმცა, როგორც " ბი-ბი-სი"-ს რუსულენოვანი ინტერნეტ-გამოცემა იუწყება, სუამ-ის ქვეყნებმა რუსეთთან დაპირისპირების საკითხში საქართველოს მხარი არ დაუჭირეს - თანაც, საქართველო-რუსეთის ურთიერთობებთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადების მიღებაზე უარი განაცხადეს.

მოლდოვისა და აზერბაიჯანის პარლამენტების თავმჯდომარეების, ასევე უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარის აზრით, სუამ-ის ქვეყნებმა, "პირველ რიგში, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების აქტივიზირება" უნდა მოახდინონ.

**"გულწრფელად გიცხადებთ თანადგომას, მაგრამ დღეს, ზამთრის სეზონის დასაწყისსა და რთული ეკონომიკის პირობებში ურთიერთთანამშრომლობასა და ეკონომიკური პრობლემების დაძლევაზე უნდა ვიფიქროთ. დეკლარირებული დოკუმენტების მიღების დრო ამჟამად არ არის,"** - აცხადებს მოლდოვას პარლამენტის თავმჯდომარე მარიანა ლუპუ.

სხვა მხრივ სუამ-ის წევრ-სახელმწიფოთა საკანონმდებლო ხელისუფლებების წარმომადგენლები მზად არიან დნესტრისპირეთში, მთიან ყარაბაღში, "სამხრეთ ოსეთსა" და აფხაზეთში "გაყინული კონფლიქტების" გადასაჭრელად კონსოლიდაცია მოახდინონ. დასკვნით დოკუმენტში საუბარია იმაზე, რომ სუამ-ის ქვეყნებს, სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების მანდატის მოსაპოვებლად, თხოვნით გაერო-სა და ეუთო-ს შეუძლიათ მიმართონ.

ნინო ბურჯანაძემ კიშინიოვში სხვა ოფიციალური შეხვედრებიც გამართა. გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მოლდოვური ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს იური როშკასაც შეხვდა. ეს სწორედ ის ოპოზიციონერია, რომელმაც გასულ კვირას მოლდოვას პარლამენტში შეიმუშავა საქართველოს მხარდამჭერი დადგენილების პროექტი, თუმცა, მოლდოველმა კანონშემოქმედებმა საბოლოოდ მის მიღებაზე უარი განაცხადეს. ამასთან დაკავშირებით, ოპოზიციამ ხელისუფლება სუამ-ის წევრი ქვეყნისა და ამ ქვეყნის პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ღალატშიც კი დაადანაშაულა.

# რუსეთის მყისიერი რეაქცია

*"აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან სიტუაციის შესაძლო გამწვავებას საქართველო მომზადებული შეხვდება. რუსული მხარე, ასე თუ ისე, გაამწვავებს ამ თემას, ჩვენ ამისთვის მზად ვართ და სხვას არაფერს არ ველით. საბოლოო ჯამში, ჩვენთვის ეს ნიშნავს ტერიტორიების ძალისმიერი გზებით გამიჯვნას, რაც საბოლოოდ ომს მოიტანს," - განაცხადა ირაკლი ოქრუაშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში. გუშინვე აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციებმა, საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა ხელი მოაწერეს დე-ფაქტო პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის და აფხაზეთის პარლამენტისადმი მიმართვის ტექსტს, რომლითაც ისინი აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას რუსეთის ფედერაციას სთხოვენ. სააგენტო "ინტერფაქსი"-ს ცნობით, ტექსტი რუსულ მხარესთან უკვე შეთანხმებულია. აფხაზური ორგანიზაციების ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, რუსეთთან აფხაზეთის დე-ფაქტო რესპუბლიკის სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულების გაფორმება. ასევე, აფხაზეთსა და რუსეთს შორის სავალუტო-საბაჟო და საზღვრის დაცვის საკითხებზე ხელშეკრულებების გაფორმება.*

საქართველოს თავდაცვის მინისტრის განცხადებას ყველაზე ოპერატიულად რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელი იური ბალუევსკი გამოეხმაურა.

**"რუსეთი საქართველოსთან ომს არ აპირებს, ხოლო თუ საქართველო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს საომარ მოქმედებებში ჩაითრევს, ეს ოფიციალური თბილისის უპასუხისმგებლო პოლიტიკის შედეგი იქნება. თუ ირაკლი ოქრუაშვილს გული საომრად ერჩის, მას ამის შედეგებიც კარგად უნდა ესმოდეს. თუ საქართველო საკუთარი და რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ საომარ მოქმედებებს წამოიწყებს, გამოწვეულ მსხვერპლზე პასუხისმგებლობა სწორედ ოქრუაშვილს დაეკისრება,"** - ეს განცხადება ბალუევსკიმ მოსკოვში ნატო-ს წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა. ბალუევსკისთან შეხვედრის შემდეგ, საქართველოს შესახებ კომენტარის გაკეთება ნატო-ს თავდაცვის კომიტეტის წარმონადგენელს რაიმონ ენოსაც მოუწია. ნატო-ს წარმომადგენლის მტკიცებით, ალიანსი საქართველოსაც და რუსეთსაც მხოლოდ კეთილგონიერებისაკენ მოუწოდებს. **"ნატო საქართველოში საკუთარი სამშვიდობოების შეყვანას საერთოდ არ განიხილავს,"** - აღნიშნა ნატო-ს თავდაცვის კომიტეტის წარმომადგენელმა. მისივე თქმით, ჯერჯერობით ძალიან შორია საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებამდეც. **"საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება ნატო-ს წევრი ქვეყნების ხელმძღვანელების პოლიტიკური გადაწყვეტილებაა, თუმცა იქამდე რამდენიმე რთული წინააღმდეგობის გადალახვაა საჭირო. ჩვენ ისტორიის ამ ეტაპთან ჯერჯერობით ახლოსაც არ ვიმყოფებით,"** - განაცხადა რაიმონ ენომ.

ირაკლი ოქრუაშვილმა რუსულ გაზეთ "ვერსიასთან" საუბარში აღნიშნა, რომ კოსოვოს სცენარი მიუღებელია "სამხრეთ ოსეთისა" და აფხაზეთის საკითხების მოსაგვარებლად. **"რუსეთსა და საქართველოს შორის მოლაპარაკებების პროცესმა სრულიად ამოწურა საკუთარი თავი. ის არაეფექტიანი იყო და ჩვენ ამის თაობაზე ჯერ კიდევ ერთი წლის წინ ვამბობდით. დღეს კი, ეს პროცესი უფრო სერიოზული დაძაბულობის წყარო გახდა. ფორმატი უნდა შეიცვალოს, მოლაპარაკებები მკვდარი წერტილიდან უნდა დაიძრას. უარი უნდა ვთქვათ პირდაპირ დიალოგზე, ჩავრთოთ მოლაპარაკებებში შეერთებული შტატები და ევროკავშირი. ისინი ჩვენი გარანტები იქნებიან. რაც შეეხება ომს, რუსეთის არმია სიდიდით გაბერილია, ტექნიკურად მოძველებულია, ჯარისკაცები კი ბრძოლისუუნარონი არიან. ჩვენ ომის არ გვეშინია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ომი არ მოგვიწევს, რადგან რუსეთს თავდაცვისუნარიანობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები აქვს. ეს კარგად დაადასტურა ჩეჩნეთში განვითარებულმა მოვლენებმა. ჩვენ ჩეჩნეთი არ ვართ. ჩვენი თავდაცვისუნარიანობა, როგორც არასდროს, მაღალია და ხვალვე მზადა ვართ საბრძოლველად. რუსეთი პატარა ომებს ვერასოდეს იგებს, ეს დაადასტურა რუსეთ-იაპონიისა და რუსეთ-ფინეთის ომმა. რუსეთ-საქართველოს ომის შემთხვევაში რუსეთი მარცხისთვის არის განწირული,"** - დასძინა მინისტრმა.

ოქრუაშვილის განცხადების შემდეგ, რუსულ პრესაში რუსეთის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის დირექტორის სერგეი მარკოვის მოსაზრებები გამოჩნდა:

**"არავის გასჩენია კითხვა, რატომ იღწვის ჩრდილოეთ კორეა და ირანი ბირთვული იარაღის შექმნისათვის? იმიტომ, რომ მათ ეშინიათ, რომ ამერიკა მათი სახელმწიფოების დაბომბვასა და მთავრობების ჩამოგდებას დაიწყებს. დღეს ამერიკა ისე იქცევა, თითქოს ველური ტომი იყოს. ამერიკა დღეს ისე ველურად იქცევა, რომ მისი ბირთვული იარაღის კლუბის წევრებსაც - რუსეთს, ჩინეთს, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს და მათთან დაახლოებულ გერმანიას, იაპონიასა და იტალიასაც ეშინიათ, ამერიკის შეერთებული შტატების ქმედებები დღეს მსოფლიოს თითოეული სახელმწიფოსთვის გამოწვევაა. ამიტომაც მასთან სასწრაფოდ მოლაპარაკებების დაწყებაა საჭირო. საბედნიეროდ, გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია. ჩვენ მოვუხსენით ვეტო აშშ-ის საწინააღმდეგო რეზოლუციას, ჩრდილოეთ კორეასთან მიმართებაში. თავის მხრივ ამერიკელებმა რუსეთის მიერ წარმოდგენილ საქართველოს საწინააღმდეგო რეზოლუციას მოხსნეს ვეტო. ეს, მართალია, პატარა, მაგრამ მაინც კომპრომისია, ყველაზე დიდი და მართებული კომპრომისი აშშ-ს პოსტსაბჭოთა სივრციდან საერთოდ წასვლა იქნება. აშშ-მ კეთილგონიერება უნდა გამოიჩინოს, მთელი პოსტსაბჭოთა სივრციდან უნდა გავიდეს და ჩვენ უნდა დაგვიტოვოს. ამერიკის მიერ ამგვარი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, რუსეთმა პოსტსაბჭოთა სივრცეში თვითგამორკვევის მსურველი ყველა ერი და სახელმწიფო უნდა ცნოს და საკუთარ სახელმწიფოში შეიყვანოს.**

**უნდა არსებობდეს ერთგვარი თანაცხოვრების საერთო სივრცე. თუკი ამერიკა რუსეთს პოსტსაბჭოთა სივრცეზე კონტროლის აღდგენაში დაეხმარება, რუსეთი თავის მხრივ ამერიკას "ურჩ სახელმწიფოებთან დაკავშირებულ" პრობლემების მოგვარებაში უშველის,"** - დარწმუნებულია რუსეთის პოლიტიკური კვლევევის ინსტიტუტის დირექტორი.

*24 საათი*

# თბილისი ავტოფარეხების გარეშე

თამარ დვალი

*"სპორტული მოედნები და გასართობი პარკები ავტოფარეხების ნაცვლად!" - ამ დევიზით გუშინ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლებმა თბილისის ცენტრალურ უბნებში 80-მდე უკანონოდ აშენებული ავტოფარეხის დემონტაჟი განახორციელეს.*

**"არ ვურჩევ არავის ახალი, უსახური ავტოფარეხების მშენებლობას, რადგან ისინი მაინც დაინგრევა,"** - აცხადებს მერიის ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელი ლაშა მაქაცარია და დასძენს, რომ ავტოფარეხების ადგილას დასასვენებლი სკვერები და სპორტული მოედნები გაკეთდება.



კანონიერი ავტოფარეხი თბილისში არ არსებობს, - აცხადებენ დედაქალაქის ჩინოვნიკები.

გუშინ ვაკე-საბურთალოსა და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონებში სულ 80-მდე ავტოფარეხის დემონტაჟი განხორციელდა. როგორც ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში ამბობენ, ეს აქცია ერთჯერადი არ იქნება და თბილისის ყველა უბანში გაგრძელდება. მათივე განმარტებით, მიწისზედა ავტოფარეხების მშენებლობაზე ნებართვა აღარ გაიცემა. მოქალაქეს მშენებლობის ნებართვის მიღება იმ შემთხვევაშიც კი არ შეეძლება, თუკი მას მიწის ნაკვეთი დაკანონებული ექნება.

როგორც დედაქალაქის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოადგილე გიორგი საგინაშვილი განმარტავს, კანონიერი ავტოფარეხი თბილისში არ არსებობს და ეტაპობრივად ყველა მიწისზედა ავტოფარეხის დემონტაჟი მოხდება.

**"ამიერიდან მიწის ზევით ავტოფარეხები ვეღარ აშენდება. მერიის ურბანული სამსახური ყველა მენაშენეს, ვინც ბინის მშენებლობას დააპირებს, აუცილებელ პირობად წაუყენებს მიწისქვეშა ავტოფარეხის აშენებას,"** - აღნიშნა საგინაშვილმა.

მისივე განმარტებით, იმ მოქალაქეებს, რომლებსაც ზედამხედველობის სამსახური ავტოფარეხს დაუნგრევს, შეუძლიათ ავტომობილი გარეთ დააყენონ. **"პირადად მე ავტომობილი გარეთ მყავს და ამაში პრობლემას ვერ ვხედავ,"** - აცხადებს საგინაშვილი. დაზარალებულ მოსახლეობას ზედამხედველობის სამსახური არც კომპენსაციის მიცემას ჰპირდება.

იმ შემთხვევაში, თუკი მერია დანგრეული ავტოფარეხების ნაცვლად, სკვერებსა და მოედნებს მოაწყობს, გაურკვეველია როგორ მოახერხებენ მოქალაქეები სახლთან ავტომობილის გაჩერებას. ამ კითხვაზე ზედამხედველობის სამსახურში პასუხი ჯერჯერობით არ გააჩნიათ. როგორც ირკვევა, მერიაში არც ალტერნატიული ავტოსადგომების მშენებლობაზე მიდის მსჯელობა.

## მოკლედ

### საპარლამენტო მდივანი მთავრობაში გადაადგილებებს უარყოფს

მთავრობის საპარლამენტო მდივანი გია ხუროშვილი აცხადებს, რომ მთავრობის ცვლილება დგეგმილი არ არის და "გავრცელებული ხმები მხოლოდ მონაჭორია". ხუროშვილის თქმით, ეკონომიკისა და ენერგეტიკის სამინისტროების გაერთიანებაზე საუბარი დიდი ხანია რაც მიმდინარეობს, თუმცა, მათი შესაძლო გაერთიანება მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში არ მოხდება. იგი უარყოფს, ასევე, მინისტრების შეცვლის საკითხსაც და აცხადებს, რომ ეს თემაც "ხელოვნურადაა აგორებული", რასაც რეალური საფუძველი არ გააჩნია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### დსთ-ის საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაზე სამშვიდობოების საკითხი განიხილება

აფხაზეთში განლაგებული რუსი სამშვიდობო ძალების შესახებ საკითხის განხილვა დსთ-ის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სხდომაზე იგეგმება. ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა. "სამშვიდობო მოლაპარაკებათა პროცესი არა დსთ-ის, არამედ გაეროს ეგიდით მიმდინარეობს, დსთ კი მას სამშვიდობო მომსახურებით უზრუნველყოფს", - განაცხადა ლავროვმა. მანვე აღნიშნა, რომ ყველა კონფლიქტან დაკავშირებით მხარეთა შეთანხმების საფუძველზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს და სამშვიდობო მისიები იქმნება. "თუ მოლაპარაკებათა პირობები შესრულდა, საკითხი გადაწყდება", - განაცხადა ლავროვმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ბაღდადში ტერაქტს კიდევ 20 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა

გუშინ ბაღდადში განხორციელებულ ტერორისტულ აქტს კიდევ 20 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, 30 კი მძიმედ დაშავდა. ამის შესახებ ინფორმაციას "ინტერფაქსი" ავრცელებს. ერაყის დედაქალაქის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში ერთდროულად ორი დანაღმული ავტომობილი აფეთქდა. ადგილობრივი პოლიციის განცხადებით, აფეთქების ძლიერმა ტალღამ ერთი მანქანა ჰაერში ააგდო. იგი შიიტური კვარტლის ერთ-ერთი ბაზრის გვერდით ჩამოვარდა. ტერაქტი მას შემდეგ მოხდა, რაც დაბნელდა და ხალხმა საღამოს კაფეში დაიწყო შეგროვება. აღსანიშნავია, რომ ასეთ კაფეებში შესვლა რამადანის პერიოდში დღის საათებში აკრძალულია. **ჯი-ეიჩ-ენი**

### პუტინი მიგრაციულ პოლიტიკაში ცვლილებებს ითხოვს

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ქვეყნის მთავრობას მიგრაციული პოლიტიკის რეგულირებისათვის სასწრაფო ღონისძიებების გატარება მოსთხოვა.

აღნიშნულთან დაკავშირებით რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განმარტა, რომ "საუბარი არ არის ქართველებზე, საუბარია აღნიშნულ სფეროში წესრიგის დამყარებაზე", - შესაბამის ინფორმაციას რუსული სააგენტოები ავრცელებენ. ქვეყნის ჯანდაცვისა და სოციალური განვითარების მინისტრმა მიხეილ ზურაბოვმა რუსეთის პრეზიდენტს რუსეთთან უვიზო რეჟიმის მქონე ქვეყნებთან შრომითი მიგრაციის რეგულირების დადგენილების წინადადება შესთავაზა. ზურაბოვის განმარტებით, რუსეთის ფედერაციაში სხვადასხვა ქვეყნიდან შვიდიდან რვა მილიონამდე უკანონო შრომითი მიგრანტი იმყოფება. ამასთან, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შრომითი კვოტები დადგენილია მხოლოდ იმ ქვეყნებისათვის, რომელთაც რუსეთთან სავიზო რეჟიმი აქვთ.

მაგალითისათვის, ზურაბოვმა საქართველოდან შრომითი ძალის დაქირავების მაგალითიც მოიყვანა და აღნიშნა, რომ "მომავალი წლისთვის საქართველოდან შრომითი ძალის დაქირავებაზე ამჟამად რუსეთში რეგისტრირებულია დამქირავებელთა განაცხადი 6 ათას 894 ადამიანზე..

"აღწერა, ლეგალიზაცია - ეს სწორია. ვისაც რუსეთის მოქალაქეობის მიღება სურს -ესეც სწორია. მაგრამ ჩვენ შეგვწევს ძალა და მე ამაში ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ განვახორციელოთ კონტროლი: არსებობს ნებართვა შრომით საქმიანობაზე, მით უფრო კომერციულზე, თუ არ არსებობს. აუცილებელია, რომ სამართალდამცავი ორგანოები შესაბამისი ფორმებით მუშაობდნენ", - განაცხადა ვლადიმირ პუტინმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# რა უფრო საგანგაშოა - ფარული კამერა თუ ადგილებით ვაჭრობა

პირველი გვერდიდან

ეს ამბავი, რომელიც გასული კვირის მთავარ პოლიტიკურ მოვლენად იქცა, ასოციაციებს ზემოთ ნახსენებ ცნობილ ისტორიასთან აღძრავს, მაგრამ - მხოლოდ ასოციაციებს. განსხვავებული საკანონმდებლო სივრცისა და ზუსტი მსგავსების არარსებობის გამო, კობა დავითაშვილის პოლიტიკური სკანდალი იდენტური შედეგებით არ დამთავრებულა.

სამაგიეროდ, უმრავლესობამ კონსერვატორული პარტიის ლიდერის ამ ქმედებას ამორალური, არაეთიკური უწოდა და სამართალდამცავ სტრუქტურებს ამ ამბით დაინტერესება ურჩია.

მოკლედ, გასულ კვირას პოლიტიკური სპექტრი დიდმა უხერხულობამ მოიცვა. მაგრამ ამ სიტუაციას, მიუხედავად მთელი თავისი სერიოზულობისა, კომიკური ელფერი აშკარად დაჰკრავდა, რაც "ნაციონალური მოძრაობის" ახალგაზრდა სახეების მკაცრი და დაუნდობელი შეფასების დამსახურებაა.

მაშინ, როცა დღესავით ნათელია, რომ საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში (დემოკრატიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტრადიციების მქონე ინგლისშიც კი) პოლიტიკური პარტიები ზუსტად ამგვარი ან ოდნავ განსხვავებული მეთოდებით აგროვებენ ფულს, ბიძინა ბრეგაძის, რატი სამყურაშვილის და მათი თანაპარტიელების მიერ გაკეთებული "ეთიკური და უმწიკვლო" განცხადებები ძალიან სასაცილოდ ჟღერს.

საინტერესოა, თავის დროზე რა ნიშნით დაიმეგობრა მაშინ სრულიად უცნობი და პოლიტიკური ცხოვრებისათვის სრულიად "ულიმღამო" სახე ვალერი გელაშვილი "ნაციონალურმა მოძრაობამ" და თავად პრეზიდენტმა? ნუთუ მაღალი ინტელექტისა და ორატორული ნიჭის გამო? ან რატომ მოხვდა პარლამენტში ძალიან მდიდარი დავით ბეჟუაშვილი? რა ნიშნით შევიდა "ახალი მემარჯვენეების" სიაში პატარკაციშვილის და? - და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

რა თქმა უნდა, ძალიან უსიამოვნო სანახავი იყო ის, რაც ამ ფარულ ჩანაწერზე ვიხილეთ. თუმცა, ეს გარიგება სხვა მსგავსი გარიგებებისაგან, ალბათ, იმით განსხვავდება, რომ, რბილად რომ ვთქვათ, დახვეწილობა აკლდა (ანუ ძალიან "გოიმური" იყო).

მაგრამ ამ ისტორიაში უფრო მნიშვნელოვანი ერთ შეკითხვაზე პასუხის გაცემაა - როგორ აღმოჩნდა ფარული კამერა რესტორანში? ამ შემთხვევაში, ყველაზე სერიოზული ეჭვმიტანილი, რასაკვირველია, ხელისუფლებაა, რადგან ვერავინ დაიჯერებს იმას, რომ ვიღაც კაპანაძემ ამის გაკეთება საკუთარი ინიციატივითა და ძალებით შეძლო.

ხოლო ის, რომ ამ ქვეყანაში პოლიტიკური პარტიების წევრებსა თუ უბრალოდ ადამიანებს იმის შიში შეიძლება გაუჩნდეთ, მათ ვიღაც ფარული კამერით უკანონოდ უთვალთვალებს, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საგანგაშოა, ვიდრე კობა დავითაშვილის არაეთიკური ქცევა.

და კიდევ ერთი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ყველაფერს პოლიტიკური ბრძოლის სუნი ასდის, ის მაინც კობა დავითაშვილზე პირად შურისძიებას უფრო ჰგავს. რამდენიმე თვის წინ კონსერვატორების ლიდერის მიერ პირდაპირ ეთერში გაკეთებული განცხადება პრეზიდენტის პირად ცხოვრებაზე, სრულიად აღმაშფოთებელი და ამორალური იყო და პირველ რიგში, ის პრეზიდენტის მეუღლის პირად ცხოვრებაში უკანონო შეჭრას ნიშნავდა. ასე რომ, გასულ კვირას მიხეილ სააკაშვილის ემოციური განცხადება ფარულ ჩანაწერზე, სადაც მან უხვად იხმარა სიტყვები "ამორალური და ამაზრზენი", დავითაშვილის შეურაცხმყოფელ განცხადებაზე რეაქციას უფრო ჰგავდა, ვიდრე ოპოზიციაში ადგილების გაყიდვით გამოწვეულ შეშფოთებას.

ამ შურისძიების მიზანი ამომრჩევლის თვალში კობა დავითაშვილის, როგორც ამორალობის წინააღმდეგ მებრძოლი, მართალი პოლიტიკოსი ხატის დანგრევა იყო. რამდენად გაამართლებს ეს ტაქტიკა კონსერვატორების ლიდერის წინააღმდეგ, ამას მომდევნო არჩევნები აჩვენებს. ამომრჩევლის მეხსიერება ხომ საკმაოდ მოკლეა.

# 20 000 დოლარი და განხეთქილება ოპოზიციაში

პირველი გვერდიდან

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, პარტიაში შიდარეორგანიზაცია დაიწყო. როგორც ამბობენ, პარტიას დავითაშვილის მომხრეები ტოვებენ და ეს ყველასთვის კარგად ცნობილ სკანდალს უკავშირდება. ამავე დროს, ვრცელდება ინფორმაცია ზვიად ძიძიგურის მიერ ფრაქცია "დემოკრეტიული ფრონტის" დატოვების შესახებ. თუმცა ძიძიგური აცხადებს, რომ ეს მხოლოდ ჭორია და არსად წასვლას არ აპირებს.

დაბოლოს: რაც შეეხება თავად კობა დავითაშვილის ბედს. პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბეჟაშვილის აზრით, სამართალდამცავ ორგანოებს სრული საფუძველი აქვთ, რათა ქართულ ტელეკომპანიების მიერ გადაცემულ მასალასთან დაკავშირებით კობა დავითაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრას.

შეგახსენებთ, რომ ტელევიზიების მიერ გავრცელებული ვიდეომასალის მიხედვით, დავითაშვილმა მარნეულის ბაზრის დირექტორ ალადინ მირზოევს საარჩევნო კამპანიის დაფინანსების მიზნით 150 ათას დოლარი მოსთხოვა, სანაცვლოდ კი საარჩევნო სიაში შეყვანას შესთავაზა. თანაც, მირზოევსგან დავითაშვილმა 20 ათასი დოლარი მოთხოვნისთანავე მიიღო.

სხვათა შორის, საარჩევნო კოდექსის თანახმად, ნებისმიერი პარტია საკუთარ საარჩევნო ფონდს არჩევნების დღის დანიშვნის შემდეგ ხსნის. ასე რომ, მირზოევის 20 ათასი დოლარი ნამდვილად არ შეიძლება ჩაითვალოს წმინდა წყლის "საარჩევნო შემოწირულობად", რადგან, იმავე დავითაშვილის მტკიცებით, ბაზრის დირექტორთან მოლაპარაკება მაისში გაიმართა - ანუ მაშინ, როდესაც არათუ დასახელებული არ იყო არჩევნების თარიღი, არამედ ისიც გაურკვეველი იყო, გაიმართებოდა თუ არა, საერთოდ, შემოდგომაზე არჩევნები. სწორედ ამიტომაც, რომ საარჩევნო ბლოკ "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" მიერ ცესკო-ში შეტანილ ფინანსურ ანგარიშში ეს თანხა მითითებული არ არის.

აქედან გამომდინარე, ლევენ ბეჟაშვილის განმარტებით, დარღვეულია კანონი "საფინანსო სახსრების მიმოქცევის შესახებ" და სამართალდამცავ ორგანოებს "შესაბამისი პროცედურების დაწყების სრული საფუძველი აქვთ".

იგივე აზრისაა ყოფილი დეპუტატი, იურისტი ვახტანგ ხმალაძე, რომელიც აცხადებს, რომ, **"რადგან ცესკო-ში შეტანილ ფინანსურ ანგარიშში ეს თანხა მითითებული არ არის, ამიტომაც, შესაძლებელია, ეს თანხა კონსერვატიული პარტიის მიმართ გაღებულ შეწირულობად ჩაითვალოს, მაგრამ ამის დასადასტურებლად საჭიროა პარტიაში თანხა ბუღალტრული წესით იყოს აღრიცხული. თუ ეს ასე არ არის და ფული, ელემენტარულად, შეიჭამა, მაშინ ნამდვილად შეიძლება დადგეს დავითაშვილის პასუხისმგებლობის საკითხი და მას საგადასახადო ორგანოებისთვის სერიოზული ჯარიმის გადახდა მოუწიოს".**

# ხმაური გაერო-ს რეზოლუციის გამო გრძელდება

პირველი გვერდიდან

პოლიტიკური გაერთიანების - "ჩვენ თვითონ" - ლიდერმა პაატა დავითაიამ კი გაერო-ს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუციის გამო გაერო-დან საქართველოს ელჩის ირაკლი ალასანიას გამოწვევა მოთხოვა, რადგანაც მისი "ელჩობის დროს გაერო-მ ჩვენი ქვეყნისთვის ორი მძიმე რეზოლუცია მიიღო"

**"აღნიშნული რეზოლუცია საქართველოსთვის უმძიმესია. იგი 1994 წლის 14 მაისის მოსკოვის შეთანხმების შესრულებას უჭერს მხარს. რეზოლუციის შედეგად, უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია, ბაგაფშის ხელისუფლებამ შტურმი მიიტანოს ზემო აფხაზეთზე, რუსეთმა კი რეგიონში კიდევ ერთი ახალი პოსტი გახსნას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აფხაზებს ექნებათ სრული ინფორმაცია, თუ რა ხდება კოდორის ხეობაში,"** - აცხადებს დავითაია.

უაზრო და არაეფექტური "დოკუმენტი უწოდა გაერო-ს მორიგ რეზოლუციას პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნიკა რურუამ. მისი თქმით, აფხაზური მხარე, რომელიც ყოველთვის იგნორირებას უკეთებდა ხოლმე გაერო-ს უშოშროების საბჭოს რეზოლუციებს, **"ამჯერად გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით იმის გამო დაინტერესდა, რომ მოეწონათ რუსეთის მიერ შეტანილი დოკუმენტი. ამიტომაც იცავენ მას ასე თავგამოდებით."**

*24 საათი*

რადიო თავისუფლება

## ტერი დევისი:
# "მტკიცებულებებს ძებნას ვერ დავუწყებ"

*ორი კვირაა, რაც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ, ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი ოთხი რუსი ოფიცრის დაკავების საპასუხოდ, სანქციები აამოქმედა.*
*რამდენად სარგებლობს თბილისი დასავლეთის მხარდაჭერით? უფრო მეტს ხომ არ უნდა აკეთებდნენ საერთაშორისო ორგანიზაციები და ცალკეული ქვეყნების მთავრობები იმისთვის, რომ რუსეთმა ხელი აიღოს ეთნიკური ნიშნით ადამიანთა შევიწროებაზე, ადამიანის უფლებათა სისტემატურ დარღვევებზე? ამ საკითხებზე სასაუბროდ რადიო "თავისუფლების" კორესპონდენტი სალომე ასათიანი ტელეფონით დაუკავშირდა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ტერი დევისს (ინტერვიუ გუშინ გადაიცა რადიო "თავისუფლების" ეთერით). თუმცა, ვიდრე საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს შეეხებოდა, ჩვენმა კოლეგამ გენერალურ მდივანს სთხოვა, შეეფასებინა საქართველოში "ვარდების რევოლუციის" შემდგომ წლებში შექმნილი მდგომარეობა.*



ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ტერი დევისი.

- მდგომარეობას დადებითად შევაფასებდი. ჩემი აზრით, საქართველო ვითარდება. ახლახან იქ ადგილობრივი არჩევნები გაიმართა და მისი მსვლელობისას არავითარი ინციდენტი არ აღრიცხულა. ცხადია, გარკვეული დარღვევები ალბათ იქაც იყო, მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ხანს საქართველოში ჩატარებული ყოველი მორიგი არჩევნები წინაზე უკეთესია. ამიტომ შემიძლია გავიმეორო, რომ საქართველოს წინსვლას დადებითად ვაფასებ.

**- როცა შეშფოთება გამოთქვით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დაძაბვის გამო, თქვენ აღნიშნეთ, რომ რიგითი მოქალაქეები პასუხს არ უნდა აგებდნენ მთავრობებს შორის არსებული უთანხმოებისთვის. არადა, რუსეთის მიერ შემოღებული სანქციების შედეგად სწორედ ასე ხდება: ეს ზომები რიგით მოქალაქეებს მათი ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე აზარალებს. რატომ არ დაიკავა ევროპის საბჭომ რუსეთის მიმართ უფრო კრიტიკული პოზიცია?**

- უნდა აღვნიშნო, რომ, თუ ესა თუ ის ადამიანი არალეგალურად იმყოფება რუსეთში, ხელისუფლებას სრული საფუძველი აქვს, იგი ქვეყნიდან გააძევოს. ასეთი რამ ჩვენს წევრ ყველა ქვეყანაში ხდება. მაგალითად, როცა ვინმე არალეგალურად იმყოფება გაერთიანებულ სამეფოში, მას ქვეყნიდან აძევებენ. ასე რომ, დასაგმობი აქ არაფერია. მაგრამ შეშფოთებას იწვევს, რომ ბავშვებს სკოლაში სიარულის უფლებას არ აძლევენ. ეს ხდება როგორც საქართველოში, ისე რუსეთში. ეს, ვფიქრობ, დაუშვებელია - არ შეიძლება ბავშვის სწავლა-განათლების საქმეში ჩაერიო. ისევე, როგორც არ შეიძლება ხალხს აუკრძალო საქართველოში ფულის გაგზავნა - როცა კაცი რუსეთში ლეგალურად მუშაობს. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა რიგით მოქალაქეებს პასუხს აგებინებენ მთავრობებს შორის არსებული უთანხმოებისთვის. ეს კი ნამდვილად არ მომწონს.

**- მაგრამ ეს ზომები ხომ მარტო არალეგალურ მიგრანტებს არ ეხება. სანქციები წარმოშობით ქართველ რუსეთის მოქალაქეებსაც აზარალებს...**

- ასეთი ბრალდებების შესახებაც მსმენია. თუ ვინმეს მართლაც ავიწროებენ მისი წარმოშობის საფუძველზე, ეს, რა თქმა უნდა, არ ვარგა. ეს მე არ მომწონს, და არა მგონია, ვინმეს მოსწონდეს. მაგრამ მხოლოდ პრესაში გავრცელებული ცნობების საფუძველზე რუსეთის კრიტიკას ვერ მოვყვები. აუცილებელია, მქონდეს მტკიცე საბუთი, რომ ეს მართლაც ხდება. ხოლო თუ ხდება, კარგი არ არის.

**- ასეთი მტკიცე საბუთები არ მოგეპოვებათ?**

- არა, მე მხოლოდ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს ვიცნობ. საკმარისად მოწიფული ვარ იმისთვის, რომ მესმოდეს: არ უნდა დაიჯერო ყველაფერი, რასაც გაზეთებში წაიკითხავ.

**- რუსეთმა სანქციები შემოიღო საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგაც. როგორ ფიქრობთ, რამდენად მისაღებია, ევროპის საბჭოს ერთი წევრი ასე ექცეოდეს საბჭოს სხვა წევრს?**

- ეს სხვა შემთხვევებშიც მომხდარა. ჩემთან დაუჩივლიათ თურქეთის ქცევის გამო, მგონი, სომხეთის მიმართ. დიახ, ასეა, სწორედ სომხებმა გამომითქვეს პრეტენზიები. მაშინ მათ ვუთხარი, ეს ქვეყანათშორისი უთანხმოებაა და ზოგჯერ ხდება, რომ ერთი მთავრობა მეორე მთავრობის წინააღმდეგ სანქციებს მიიღებს-მეთქი. ცხადია, ყოველი ცალკეული შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა განვიხილოთ. ვწუხვარ, როცა ასეთი რამის მოწმენი ვხდებით, მაგრამ ეს დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს უფლებაა. უნდა გესმოდეთ, რომ რუსეთიც, საქართველოც, თურქეთიც და სომხეთიც სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან და მათ შორის ურთიერთობების წარმართვა ევროპის საბჭოს საქმე არ არის.

**- რუსეთმა სანქციები ისე შემოიღო, რომ არც კი განუმარტავს, რას მოითხოვს საქართველოსგან. რა არის ამ სანქციების მიზანი?**

- არ ვიცი, განუმარტეს თუ არა პრეზიდენტმა პუტინმა და მისმა ადმინისტრაციამ პრეზიდენტ სააკაშვილს, რას მოითხოვენ ქართველებისგან. ასეთ რალაცებს ზოგჯერ საჯაროდ არ აცხადებენ და ჩვენთვის ძნელი ხდება დასკვნების გამოტანა, ასე არ არის? მაგრამ ვიმეორებ: ევროპის საბჭო არ არის უწყება - განსხვავებით ევროპის კავშირისგან - რომელიც დაკავებული იქნებოდა ერთიანობისა თუ ინტეგრაციის საკითხებით. ეს არის გაერთიანება დამოუკიდებელი მთავრობებისა, რომლებმაც - ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის საფუძველზე - მზადყოფნა გამოთქვეს, საკუთარი თავი ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს დაუქვემდებარონ. და თუ საქართველოს მთავრობას აქვს საჩივარი, რომელსაც ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია ფარავს, მაშინ, დარწმუნებული ვარ, ამ საჩავარს იგი ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში შეიტანს. სასამართლო სწორედ ამისთვის არსებობს. მაგრამ მისი ფუნქცია არ არის, ესა თუ ის საკითხი პოლიტიკურ ჭრილში განიხილოს; მისი ფუნქციაა, ის განიხილოს სამართლებრივი კუთხით. ჩემი აზრით, სიტუაცია, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის შეიქმნა, პოლიტიკური სიტუაციაა.

**- მინდა დავუბრუნდე თქვენს ნათქვამს, რომ პრესაში გავრცელებული ცნობების ნდობა ყოველთვის არ შეიძლება. თუ ცნობების სისწორე დადასტურდა, შეიძლება თუ არა ველოდეთ, რომ ევროპის საბჭო ამ მოვლენებს პოლიტიკურ შეფასებას მისცემს?**

- არასოდეს ვუპასუხებ ჰიპოთეტურ შეკითხვებს, რომლებიც სიტყვა "თუ"-თი იწყება...

**- მაშინ ასე დავიწყებ: თქვენი აზრით, დადასტურდება თუ არა ეს ცნობები? ელით თუ არა რუსეთისგან ოფიციალურ ინფორმაციას?**

- არაფერსაც არ ველი. ხშირად ყოფილა, გაზეთში ისეთი რამ წამიკითხავს, რაც მერე არ დადასტურებულა. უკვე მოგახსენეთ: არასოდეს ვაკეთებ დასკვნებს იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელსაც მედიიდან ვიღებ.

**- არ გიჩნდებათ სურვილი, ეს ინფორმაცია შეამოწმოთ მაინც?**

- გაზეთებიდან მიღებული ინფორმაციის გადამოწმება ჩემს ფუნქციებში არ შედის.

**- იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს ინფორმაცია ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებს ეხება?**

- თუ საქმე მართლაც ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებთან გვაქვს, უკვე მოგახსენეთ, აუცილებელია მტკიცებულების წარმოდგენა. მე მას ძებნას ვერ დავუწყებ, პოლიციელი არ გახლავართ.

**- ჩემი ბოლო შეკითხვა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონს - სამხრეთ ოსეთს უკავშირდება. 12 ნოემბერს ამ რეგიონში ჩატარდება რეფერენდუმი დამოუკიდებლობის საკითხზე. წარსულში თქვენ არაერთხელ გითქვამთ, რომ რეფერენდუმი დროისა და ენერგიის ფუჭად კარგვაა, რადგან მის შედეგეს მაინც არავინ აღიარებს. მაგრამ ევროკავშირის საგარეო ურთიერთობათა კოორდინატორმა ხავიერ სოლანამ ამას წინათ განაცხადა, რომ კოსოვო შეიძლება იქცეს ერთგვარ პრეცედენტად ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული სეპარატისტული რეგიონებისთვის. ახლაც გგონიათ, რომ რეფერენდუმი დროის ფუჭად კარგვაა?**

- დიახ, ჩემი აზრით, ეს დროის კარგვაა. თუ კოსოვო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, ვფიქრობ, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქცეს პრეცედენტად სამხრეთ ოსეთისთვის, აფხაზეთისთვის, დნესტრისპირეთისთვის, ჩრდილოეთი კვიპროსისთვის, თურქეთის ქურთებით დასახლებული რეგიონისთვის, ან რუსეთის ჩეჩნური ნაწილისთვის. მე მტკიცედ მწამს ჩვენი ყველა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობისა - მათ შორის, რუსეთისაც და საქართველოსიც. და სამხრეთი ოსეთი საქართველოს ნაწილია.


# ინოვაციური ფასდაკლება "საქართველოს ტელეკომისაგან"

- ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს, რათა მომხმარებელმა თქვას: "მე კმაყოფილი ვარ... "საქართველოს ტელეკომი" ჩემი კომპანიაა...". კლიენტის ინტერესებზე ორიენტირებული მომსახურების უზრუნველყოფა ჩვენი სტრატეგიული მიზანია, რომლის გარშემო გაერთიანებულია კომპანიის უკლებრივ ყველა თანამშრომელი, დაწყებული უმაღლესი მენეჯმენტიდან, აბონენტების მომსახურე პერსონალით დამთავრებული - აცხადებენ სატელეკომუნიკაციო კომპანია "საქართველოს ტელეკომში".

ერთ წელზე მეტი გავიდა საქართველოში პირველი, დღესდღეობით კი ერთ-ერთი წამყვანი საერთაშორისო ოპერატორის "საქართველოს ტელეკომის" პრივატიზაციიდან. ამ პერიოდის მანძილზე "საქართველოს ტელეკომმა" შექმნა მძლავრი ფინანსური ბერკეტები და სრულყოფილი ტექნიკური ბაზა. დღეს კი, კომპანიის ახალი ხედვა ცალსახად მომხმარებლისკენაა მიმართული. კერძოდ, საერთაშორისო და საქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურების სფეროში კავშირის უმაღლესი ხარისხის უზრუნველყოფის გარდა, "საქართველოს ტელეკომი" აბონენტებისათვის ის ქმნის მაქსიმალურ კომფორტს, რაც მოიცავს დავალიანების გადახდის პირობებსა და ვადებს, ინფორმაციის მიღების სისტემებს, სადღესასწაულო ფასდაკლებებს, საპრიზო რეიტინგებს.

კომპანიამ შეიმუშავა დიფერენცირებული სატარიფო პოლიტიკა, რომლის თანახმად, შაბათ-კვირასა და სადღესასწაულო დრეებში, ასევე, დანარჩენი დღეების ღამის საათებში მომხმარებელი სარგებლობს პრაქტიკულად განახევრებული ტარიფით. რაც მეტად საყურადღებოა, შემცირებული ტარიფები საუბრის დაწყების პირველივე წუთიდან ვრცელდება.

მომსახურების სრულიად ახალი, ინოვაციური ფორმების შემოღება მომხმარებლისაკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

- ჩვენ, ქართულ სინამდვილეში შექმნილ და უცხოური ინვესტიციებით განახლებულ კომპანიას გვაქვს პრეტენზია, საზოგადოების წინაშე წარვსდგეთ, როგორც თანამედროვე, პროგრესული, ნოვატორი. ბევრი უცხოეთში აპრობირებული და პოპულარული სატელეფონო სერვისი შესაძლოა მეტად სასარგებლო აღმოჩნდეს ჩვენი მომხმარებლისთვისაც, ამიტომაც მათი მუდმივი მონიტორინგისა და ქართულ მოთხოვნილებაზე ადაპტირების პროცესი ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი წამყვანი მიმართულებაა - აცხადებს "საქართველოს ტელეკომის" ხელმძღვანელობა.

როგორც "ტელეკომში" განმარტავენ, ახლახანს ჩატარებულმა მარკეტინგულმა კვლევამ ნათელყო, რომ საერთაშორისო სატელეფონო მომსახურებით მოსარგებლეთა უმრავლესობა საზღვარგარეთ სისიტემატურად ერთ ნომერზე რეკავს, უმეტესწილად ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან, ეს კი, თავის მხრივ, ადამიანების ის კატეგორიაა, ვისთანაც განსაკუთრებით ბევრს ვლაპარაკობთ. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებით გვესაჭიროება შეღავათი, რაც გაითვალისწინა "საქართველოს ტელეკომმა" და სრულიად ახალი ტიპის ფასდაკლების სისტემა შემოიღო. კერძოდ, მომხმარებელი "საქართველოს ტელეკმში" არეგისტრირებს იმ ერთ ნომერს, რომელზეც ყველაზე ხშირად რეკავს საზღვარგარეთ და ამ ნომერზე იღებს 10-30 %-მდე ფასდაკლებას, რაც, ბოლო პერიოდში ტარიფების ისედაც შემცირების ფონზე, მნიშვნელოვანი შეღავათია მომხმარებლისათვის.

სერვისის ანალოგიური ფირმა საკმაოდ ცნობილია ამერიკასა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სახელწოდებით "Friend and Family" და მას წარმატებით იყენებენ მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო ოპერატორები: AT&T, FRANCE TELECOM და სხვა.

- მომხმარებლისათვის სერვისის ინოვაციური ფორმების შეთავაზება ამით არ ამოიწურება, კომპანია აგრძელებს კლიენტის მოთხოვნილებათა შესწავლას, რაც განსაზღვრავს, სამომავლოდ, ახალი პროდუქტების ხასიათს, - ამბობენ "საქართველოს ტელეკომში".



# ქალი და ჯანმრთელობა

"ვიცოდეთ, დავძლიოთ დაავადება და ვიცხოვროთ" - ამ ეგიდით ხორციელდება "ძუძუს კიბოს დაძლევის საინფორმაციო პროგრამა", რომლის ინიციატორია შვეიცარული კომპანია "ჰოფმან - ლა როშის" წარმომადგენლობა საქართველოში.

შესაძლებელია ახლახანს გაიგეთ, რომ ძუძუს კიბო გაქვთ, შესაძლოა უკვე დაიწყეთ მკურნალობა, ან შეიძლება შეიტყვეთ, რომ თქვენთვის ძვირფასი ადამიანია ამ სენით დაავადებული. რასაკვირველია, თქვენ უამრავი შეკითხვა გაგიჩნდებათ, გაინტერესებთ, თუ რა არჩევანი არსებობს, რათა თქვენ ან თქვენმა ახლობელმა საუკეთესო მკურნალობა მიიღოს. "ჰოფმან - ლა როში" ამის უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა და თქვენი ინტერესის დაკმაყოფილებას ყოველ ორშაბათს სპეციალური რუბრიკით - "ქალი და ჯანმრთელობა" შეეცდება.

რომელია კიბოს ყველაზე გავრცელებული ფორმა, ამ დაავადების რისკ-ფაქტორები, ნიშნები და სიმპტომები, კლასიფიკაცია, როგორ ხდება მისი დიაგნოსტიკა, მკურნალობა და ასე შემდეგ, ამ საკითხთან დაკავშირებით გვესაუბრება ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის დირექტორი პროგრამების მართვის დარგში, პროფესორი **ზაზა ზარქუა:**

**ძუძუს სიმსივნეებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ონკოლოგიაში თავისი სიხშირით, ქალის რეპროდუქციულ ფუნქციასთან დამოკიდებულებით, მკურნალობის მეთოდების მრავალფეროვნებით და არაერთგვაროვანი პროგნოზით. ძუძუს კიბო, რომელიც კიბოს ყველაზე გავრცელებული ფორმაა ქალებში, კიბოს შემთხვევათა 24 პროცენტს შეადგენს. დასავლეთის ქვეყნებში ყოველი მეათე ქალი ამ დაავადების მსხვერპლია. ძუძუს კიბოს, ავთვისებიან სიმსივნეებით ავადობის სტრუქტურაში, საქართველოშიც პირველი ადგილი უკავია, ყოველ 100 000 ქალზე ავად ხდება 28-30 ადამიანი და ყოველწლიურად ძუძუს კიბოს დაახლოებით 2 ათას შემთხვევას აქვს ადგილი, აღინიშნება ამ დაავადების მატება 8 პროცენტით და 10-12 წლის შემდეგ მოსალოდნელია ამ მაჩვენებლის გაორმაგება. სულ საქართველოში 8 ათასზე მეტი ძუძუს კიბოთი დაავადებულია. ყოველ წელს კი ამ დაავადებით 650 ადამიანი იღუპება.**

როგორ ხდება ამ დაავადების დიაგნოსტიკა? რა სამედიცინო პროცედურები უნდა გაიაროს ქალმა ასაკის შესაბამისად?

**დაავადების გამოვლენის მიზნობრივი საერთაშორისო პროგრამებით შესაძლებელი გახდა 0,5 სანტიმეტრიანი და უფრო მცირე ზომის სიმსივნეების დიაგნოსტირება. ამ პროგრამების ზოგადი სქემა ასეთია: 20 წლის ასაკიდან ყოველთვიური თვითგასინჯვა და საექიმო გასინჯვა 3 წელიწადში ერთხელ. 35-40 წლის ასაკიდან საექიმო გასინჯვა წელიწადში ერთხელ, 35 წლის ასაკიდან პირველი მამოგრაფია, როგორც ეტალონი შემდგომი შედარებისთვის, დამძიმებული ოჯახური ანამნეზის პირობებში პირველი მამოგრაფია შეიძლება ჩატარდეს 30 წლის ასაკში, 40 წლის ასაკიდან მამოგრაფია ტარდება კომბინაციაში ულტრასონოგრაფიასთან ერთად 2 წელიწადში ერთელ. 50 წლის ასაკიდან მამოგრაფია სონოგრაფიით ყოველწლიურად. 75 წლის ზემოთ კი თუ წინამორბედი გამოკვლევებით რაიმე პათოლოგია არ იყო დაფიქსირებული, მამოგრაფია აღარ ტარდება. ეს არის ძუძუს კიბოს დიაგნოსტიკის "ოქროს სტანდარტი". საერთოდ კი, ძუძუს კიბოს პათოლოგიის დროს ზუსტი დიაგნოზის დადგენა მოითხოვს ყოველი მკვრივი წარმონაქმნის ამოკვეთას ძუძუდან.**

რომელია ძუძუს კიბოს ყველაზე გამორჩეული ფორმა?

**ძუძუს HER2 დადებითი, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, რადგან ამ სიმსივნეს სწრაფი ზრდა ახასიათებს. მის გამო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეს სტატუსი განისაზღვროს ძუძუს კიბოს დადგენისთანავე და არ უნდა გადაიდოს დაავადების რეციდივამდე ან პროგრესამდე.**

როგორია ძუძუს კიბოს მკურნალობა?

**დაავადების ადრეულ სტადიაში მკურნალობა ქირურგიულია; გავრცელებული სიმსივნეების დროს კი კომბინირებული და კომპლექსურ ხასიათს ატარებს - ქირურგიულ მეთოდთან ერთად გამოიყენება რადიოთერაპია და მედიკამენტური მკურნალობა (ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია, იმუნოთერაპია).**

რამდენად ეფექტურია ქიმიოთერაპია?

**ფარმაცევტულ ბაზაზე თანამედროვე ქიმიოპრეპარატების გამოჩენამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ძუძუს კიბოს მკურნალობის შორეული შედეგები, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ავადმყოფთა გარკვეულ ნაწილს ისეთი სიმსივნე უდგინდება, რომელიც ქიმიოპრეპარატებისადმი მგრძნობიარე არ არის. დადგინდა, რომ ქიმიომედიკამენტებისადმი რეზისტენტობა გამოწვეულია ნორმალური უჯრედების ზრდისა და გაყოფის მარეგულირებელი გენის გაძლიერებით. შედეგად, ჭარბად გამომუშავდება უჯრედის ზედაპირული რეცეპტორული ცილა. ე.წ. "ადამიანის ეპიდერმული ზრდის ფაქტორის რეცეპტორი" (HER-მა), რომელიც განაპირობებს სიმსივნური უჯრედების უკონტროლო ზრდასა და კიბოს პროგრესირებას.**

თუ არსებობს ასეთი რეზისტენტობის დაძლევის გზები?

**უკანასკნელ წლებში იმუნოლოგიის და ბიოტექნოლოგიის სწრაფი ტემპებით განვითარებამ, კერძოდ, მონოკლონური ანტისხეულების აღმოჩენამ და მისმა სინთეზმა გარდატეხა შეიტანა ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში. სპეციალურად სინთეზირებული მონოკლონური ანტისხეულებით შესაძლებელი გახდა ზემოაღნიშნული გენის დათრგუნვა და ორგანიზმში უჯრედის ზედაპირული რეცეპტორული ცილის პროდუქციის შემცირება, რაც ამორჩევით იწვევს სიმსივნური უჯრედების ზრდის დათრგუნვასა და სიკვდილს ისე, რომ არ აზიანებს ჯანმრთელ უჯრედებს და ამ პრეპარატს პერცეპტინი (ტრასტუზუმაბი) ეწოდება.**

ყველა შემთხვევაში შესაძლებელია ჰრეცეპტინით ძუძუს კიბოს მკურნალობა?

**მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ პაციენტს ლაბორატორიულად უდგინდება HER-2 რეცეპტორის გაძლიერება, ხოლო სიმსივნე სწრაფად განიცდის გენერალიზაციას ან ხშირ რეციდივებს იძლევა. ამიტომ HER-2-ის ჰიპერსეკრეცია უნდა შეფასდეს სიმსივნურ ქსოვილში იმ პაციენტების გამოსავლენად, რომელთა ჰერცეპტინით მკურნალობაც ეფექტური იქნება.**

Roche

# მორიგი რეკომენდაცია

*სახალხო დამცველმა გენერალურ პროკურატურას მორიგი რეკომენდაციით მიმართა. ომბუდსმენის მიმართვა ამჯერად, დუშეთის რაიონის სოფელ სწროფავში ტყეების უკანონო ჭრას ეხება.*



*სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ფოტომასალა*

საქმე ისაა, რომ 2006 წლის 7 სექტემბერს, სახალხო დამცველის აპარატს განცხადებით მიმართა მოქალაქე ვახტანგ ნამგალაურმა. მისი ინფორმაციით, დუშეთის რაიონის სოფელ სწროფავის მიმდებარე ტერიტორიაზე და მთლიანად ფშავის ხეობაში რამდენიმე წელია მიმდინარეობს ტყის უკანონო ჭრა, რაც ღვარცოფებისა და მეწყერის საშიშროებას ქმნის.

**"განცხადებაში მოყვანილი გარემოებების შემოწმების მოთხოვნით მივმართეთ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსს შაქრო აბუსერიძეს.**

**გარემოს დაცვის ინსპექციის უფროსის 3 ოქტომბრის პასუხის თანახმად, გარემოს დაცვის ინსპექციის აღმოსავლეთ ცენტრალური ბიუროს ინსპექტირების განყოფილებამ შეამოწმა აღნიშნული უბანი და დარღვევები ვერ აღმოაჩინა,"** - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსგან მიღებულმა პასუხმა სახალხო დამცველის აპარატი არ დააკმაყოფილა და 11 ოქტომბერს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ნანა ნემსაძემ და გიორგი გეწაძემ, ვახტანგ ნამგალაურთან ერთად ადგილზე მოინახულეს და შეამოწმეს სოფელ სწროფავის მიმდებარე ტერიტორია, სადაც აღმოჩნდა როგორც ძველი, ისე ახლადმოჭრილი ხეები.

**"ამასთან, გაკაფულია დიდი რაოდენობით გზისპირა ფიჭვის ნარგავებიც. საყურადღებოა, რომ როგორც ტყეში, ისე მდინარე არაგვის ნაპირებზე ბევრი გამხმარი ხეა, რომელიც შეშად შეიძლება იყოს გამოყენებული,"** - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

მოკვლეულ მასალებზე დაყრდნობით, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ იკვეთება სამოხელეო დანაშაულის ნიშნები და საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილეს გიორგი ლაცაბიძეს სათანადო რეაგირების თხოვნით მიმართავს.

სახალხო დამცველის აპარატიდან გენერალურ პროკურატურაში რეკომენდაციასთან ერთად აპარატის ხელთ არსებული მასალები და დანაშაულის ამსახველი ფოტოებიც გაიგზავნა.

**24 საათი**

# პასუხისგებაში მიცემული გამომძიებელი

პირველი გვერდიდან

გამოძიების მასალებით, ჩიღოშვილმა ფული არ დაუბრუნა კანონიერ მფლობელს და თანხა მიითვისა. გარდა ამისა, ბერუაშვილის ბრალდების სისხლის სამართლის საქმის მასალებში, გაყალბებულია მისი დის ხელმოწერა, თითქოს ამ უკანასკნელმა ჩაიბარა ჩხრეკისას ამოღებული 400 ლარი. გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში, თეა ბერუაშვილმა უარყო, როგორც ფულის მიღების, ასევე, ხელის მოწერის ფაქტი. იგივე დასკვნა აქვს მიღებული წინასწარ კრიმინალისტიკურ ექსპერტიზასაც - სისხლის სამართლის საქმის მასალებში მოთავსებული ხელმოწერის დედანი არ ეკუთვნის თეა ბერუაშვილს.

გენერალური ინსპექციის გამოძიებით დადგენილია, რომ პირადი მოტივით, კერძოდ, თანხის დაუბრუნებლობისთვის მოსალოდნელი პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით, ხელმოწერა გაყალბებულია ზურაბ ჩიღოშვილის მიერ.

ზურაბ ჩიღოშვილს ბრალი სამსახურებრივი სიყალბის, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, მითვისება ან გაფლანგვის მუხლებით წარუდგინეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის გადაწყვეტილებით, აღკვეთის ღონისძიების სახით, მას შეეფარდა გირაოს გადახდა 10 ათასი ლარის ოდენობით.

***24 საათი***

სასამართლო დარბაზი

# მოქალაქის სასარგებლოდ გადაწყვეტილი დავა

*ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა მოქალაქეთა მიერ სასამართლოებში შეტანილი სარჩელების რაოდენობა. თუ ადრე ამა თუ იმ ყოფითი საკითხების განხილვა "ქუჩური გარჩევების" დონეზე ხდებოდა, ახლა მოქალაქეები პრობლემების მოგვარებას სამართლებრივი გზით ცდილობენ. ეს ტენდენცია სასამართლო სისტემისადმი მოსახლეობის ნდობის ზრდაზე მეტყველებს.*

*"დღეისთვის სასამართლოები ასეულობით დავას იხილავენ - საუბარია სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე. მედიის საშუალებით კი ყველაზე ხშირად, მხოლოდ ისეთი საქმეები ხმაურდება, სადაც აქცენტი სკანდალურ გვარებზე ან გახმაურებულ ფაქტებზეა გადატანილი, ჩვეულებრივი ადამიანების ჩვეულებრივი საქმეები კი ყურადღების მიღმა რჩება", - აცხადებენ უზენაეს სასამართლოში.*

*გაზეთი "24 საათი" გთავაზობთ ახალ რუბრიკას, სადაც მკითხველს იმ ჩვეულებრივი, რიგითი საქმეების შესახებ მოვუთხრობთ, რომელსაც ყოველდღე იხილავს ქართული მართლმსაჯულება. საქმეები, რომლებიც საინტერესოა, როგორც ადამიანური ისტორიებით, ასევე სამართლებრივი შეფასებით. გარდა ამისა, რუბრიკას კიდევ ერთი, მნიშვნელოვანი, პრეცედენტული დატვირთვა გააჩნია - სამართლებრივი დახმარება გაუწიოს უფლებაშელახულ მოქალაქეებს, რათა მათ ისწავლონ თავიანთი პრობლემების სამართლებრივი გზით გადაწყვეტა; რათა გაიზარდოს მოქალაქეთა სამართლებრივი აზროვნება.*

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მოქალაქეები ხშირად მიმართავენ სასამართლოს და თავიანთი შელახული უფლების აღდგენას ითხოვენ. შემოთავაზებული სამოქალაქო საქმე ერთ ჩვეულებრივ თბილისელ მოქალაქეს ეხება, მან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საჩივარი შპს "თბილწყალკანალის" მიმართ შეიტანა და საქმე მოიგო კიდეც (მოსარჩელის სახელი და გვარი სამართლებრივი მოსაზრებით შეცვლილია).

შემთხვევა, რომელიც სასამართლო განხილვის ობიექტი გახდა დეკემბერში მოხდა. საქმე ისაა, რომ თბილისში მდებარე ერთ-ერთ სახლში წყალსადენი მილი დაზიანდა, დაზიანებული მილიდან გადმოსულმა წყალმა მაია ბაბილოძის საცხოვრებელი სახლი დააზიანა. სასამართლოში შეტანილ საჩივარში მაია ბაბილოძე ამ შემთხვევას ასე აღწერს:

**"დილის 9 საათი იყო, როცა დაზიანებული მილიდან გადმოსულმა წყალმა სახლში შემოაღწია, დაუყოვნებლივ დავუკავშირდი რაიონის წყალკანალის სამსახურს და დახმარება ვთხოვე. მაგრამ ისინი მხოლოდ დღის პირველ საათზე გამოცხადდნენ და დაზიანების შეკეთებაზე უარი განაცხადეს, ვინაიდან, აღნიშნული მათ მოვალეობას არ განეკუთვნებოდა და კერძო მუშების მოყვანა მირჩიეს. მილის შეკეთება ვერც კერძოდ მოყვანილმა მუშებმა შეძლეს, რადგან მათ განაცხადეს, რომ მიწის უნებართვოდ გათხრის უფლება არ ჰქონდათ. წყლის გადაკეტვა მხოლოდ საღამოს, საკრებულოს ჩარევის შემდეგ მოხერხდა. წყლის ნაკადის შეუჩერებლად დინებამ საცხოვრებელი სახლი მთლიანად უვარგისი გახადა".**

დაზარალებულმა სარჩელით მიმართა სასამართლოს, სადაც მოპასუხედ შპს "თბილწყალკანალი" იყო წარმოდგენილი. მოსარჩელე ბინის რეკონსტრუქციისთვის 10 000 ლარს და ყოველთვიურად ბინის ქირის 100 დოლარის გადახდას ითხოვდა.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: თბილისის წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემებით სარგებლობის წესის თანახმად, წყალსადენის განშტოება ქუჩის გამანაწილებელი ქსელიდან წყალმზომი კვანძის ჩათვლით, ეზოს ან კვარტლის ტერიტორიაზე, ითვლება შიდა ქსელად და იქ მომხდარი უწესრიგობის აღმოფხვრა აბონენტს ევალება. ასეთი იყო მოპასუხის განმარტება სასამართლო სხდომაზე.

საქმე სამივე ინსტანციის სასამართლომ განიხილა. სააპელაციო სასამართლომ მაია ბაბილოძის სარჩელი მატერიალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში დააკმაყოფილა.

ასეთ გადაწყვეტილებამდე სააპელაციო სასამართლო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებების დადგენის შემდეგ მივიდა.

კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დაზიანებული წყალსადენიდან გამონადენი წყლის ზემოქმედებით დაზიანდა ბაბილოძის საცხოვრებელი სახლი, რომელიც სერიოზულ რეკონტრუქციას საჭიროებს. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა "წყალსადენისა და კანალიზაციის სისტემით სარგებლობის წესებით" და დაადგინა, რომ ბაბილოძის ბინას წყალმზომი კვანძი და წყალჩამკეტი არმატურა არ გააჩნდა, აღნიშნული წყლის დამკეტი არმატურის არსებობის შემთხვევაშიც კი ბაბილოძე მოვარდნილი წყლის შეჩერებას ვერ შეძლებდა, ვინაიდან წყალჩამკეტი არმატურა, წესების თანახმად, მონტაჟდება აბონენტის ტერიტორიაზე, მილი კი საცხოვრებელი სახლის წინ მდებარე ტერიტორიაზე დაზიანდა.

სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ წყლის დინება დაზიანებული მილიდან დაიწყო დილის 9 საათზე, ხოლო თბილწყალკანალის მიერ წყლის ნაკადის გადაკეტვა მხოლოდ 5 საათისთვის მოხერხდა. ამდენად, მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეულია მოპასუხის ბრალით, მისი უმოქმედობით. რადგან შპს "თბილწყალკანალის" მიერ წყლის დენის დროულად შეჩერების შემთხვევაში სადავო დაზიანება აცილებული იქნებოდა.

რაც შეეხება ბინის ქირის ანაზღაურებას, მოსარჩელის ეს მოთხოვნა სასამართლომ არ დაკმაყოფილა, ვინაიდან, მან ვერ წარმოადგინა ქირით ცხოვრების და ბინის ქირის ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხარეებმა გაასაჩივრეს საკასაციო წესით.

"თბილწყალკანალის" წარმომადგენლები თავის საკასაციო საჩივარში მიუთითებდნენ, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გამოიყენა "წყალსადენის და კანალიზაციის სისტემით სარგებლობის წესების" შესაბამისი მუხლი, რომლითაც გათვალისწინებულია აბონენტის პასუხისმგებლობა სანტექნიკის გამართულ მუშაობაზე მის სახლსა და ეზოში. მათი განმარტებით, სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მათი პოზიცია, რომ წყალსადენის სისტემის გარე და შიდა ქსელებად დაყოფა ემსახურება დაზიანების შემთხვევაში აბონენტსა და შპს "თბილწყალკანალს" შორის პასუხისმგებლობის განსაზღვრის საკითხს. შესაბამისად, "თბილწყალკანალს" შიდა ქსელების მოწესრიგება არ ევალებოდა. ამდენად სადავო შემთხვევაში სასამართლოს კასატორის უმოქმედობა ბრალის წარმომშობ გარემოებად არ უნდა მიეჩნიაო-ასეთი გახლდათ "თბილწყალკანალის" პოზიცია.

უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა "თბილწყალკანალის" საკასაციო საჩივარი.

საკასაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს კეთილსინდისიერების პრინციპი. კასატორი მხარე, ამ შემთხვევაში შპს "თბილწყალკანალი" არის მეწარმე სუბიექტი, რომელსაც წყლის მიწოდების ბაზარზე დომინირებული მდგომარეობა უკავია და მხოლოდ მას შეეძლო ზიანის გამომწვევი გარემოების ალკვეთა წყლის მიწოდების შეწყვეტით.

ამდენად, შპს "თბილწყალკანალის" საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

შპს "თბილწყალკანალს" მოქალაქის სასარგებლოდ მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, კეთილსინდისიერებას აღიარებს რა მთელი სამოქალაქო სამართლის პრინციპად, სამოქალაქო ურთიერთობის სუსტ მხარეს (მომხმარებელს) სხვადასხვა იმპერატიული ნორმების დაწესებით იცავს ძლიერი ეკონომიკური ძალაუფლების მქონე სუბიექტისაგან.

ეკონომიკის არაერთ დარგში დომინირებული მდგომარეობა უჭირავთ კონკრეტულ მეწარმეებს, რომელთა მიერ მომხმარებლებისადმი მიწოდებულმა სახელშეკრულებო პირობებმა შეიძლება ეს უკანასკნელნი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენონ. ამ საშიშროების თავიდან ასაცილებლად კანონი აწესებს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ვალდებულებას - კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. რიგ შემთხვევებში კი, განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინონ მეორე მხარის უფლებებსა და ქონებასთან მიმართებაში.

მოკლედ

### "იტარ-ტასის" საქმეთა მმართველი მოკლეს

მოსკოვში სააგენტო "იტარ-ტასის" საქმეთა მმართველი ანატოლი ვორონინი მოკლეს. 55 წლის ვორონინის ცხედარი გუშინწინ გვიან ღამით, საკუთარ სახლში მძღოლმა აღმოაჩინა. ცხედარს ძალადობის კვალი აღენიშნებოდა. ანატოლი ვორონინის მკვლელობის მოტივი ჯერჯერობით უცნობია.

ვორონინი სააგენტო "იტარ-ტასში" 23 წლის განმავლობაში მუშაობდა.

**24 საათი**

### სამეგრელოს მაღალჩინოსნები უკანონოდ გასხვისებულ მიწებს ეწირებიან

სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა ხობის რაიონის გამგეობის ყოფილი მაღალჩინოსნები თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის დააკავეს. დაკავებულები არიან 2003-2006 წლებში ხობის გამგებელი დავით კუკავა, მიწის მართვისა და პრივატიზაციის სამმართველოს ყოფილი უფროსი იმედო ქანთარია, მისი მოადგილე მერაბ სალაყაია და ხობის რაიონის მთავარი არქიტექტორი ლერი ნანეიშვილი. აღნიშნულ თემაზე ოლქის პროკურორმა როლანდ ახალაიამ სპეციალური ბრიფინგი ჩაატარა, სადაც განაცხდა, რომ დაკავებულებს ბრალი თანამდებობრივი უფლებამოსილების არაერთგზის გადამეტებასა და სახელმწიფო მიწების უკანონო გასხვისებაში ედებათ. ეჭვმიტანილებს შორისაა ხობის რაიონის ყოფილი გამგებელი ანგული მიქავა, რომელიც ამ თანამდებობაზე 2003 წლამდე მუშაობდა. თუმცა, ვინაიდან, მიქავა ამ დროისთვის საქართველოში არ იმყოფება, მას ბრალი დაუსწრებლად წარედგინება. ბრალდების დადასტურების შემთხვევაში კი, დაკავებულებს 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. შეგახსენებთ, სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა ორი დღის წინ იგივე ბრალდებით აბაშის რაიონის ყოფილი მაღალჩინოსნებიც დააკავეს.

**ინტერპრესნიუსი**

### 300 დოლარი მართვის მოწმობისთვის

შსს გენერალური ინსპექციის თანამშრომლებმა თაღლითობის ფაქტზე ია ხონელიძე დააკავეს. როგორც სამინისტროში განაცხადეს, ხონელიძემ მოქალაქეს, საპატრულო პოლიციაში მართვის მოწმობის დამზადების სანაცვლოდ, 300 აშშ დოლარი მოტყუებით გამოსძალა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით სხვა თაღლითობის ფაქტების გამოვლენის მიზნით, ია ხონელიძის მიმართ ოპერატიული საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება. ამ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექცია აწარმოებს. **ინტერპრესნიუსი**

### საერთაშორისო სამართლის გავლენა კავკასიურ სასამართლოზე

ორდღიან საერთაშორისო კონფერენციაზე იურისტები სამხრეთ კავკასიაში ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლოებზე საერთაშორისო სამართლის გავლენის შესახებ იმსჯელებენ. სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გაიხსნა კონფერენცია სახელწოდებით "საერთაშორისო სამართლის გავლენა ეროვნულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში". ღონისძიება საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის (GTZ) მიერ არის ორგანიზებული. კონფერენციაში მონაწილეობენ საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენლები, მეცნიერები და პრაქტიკოსი იურისტები. კონფერენციის მონაწილეები იმსჯელებენ საერთაშორისო ხელშეკრულების სტატუსზე, სასამართლო პრაქტიკაში მათი გამოყენების კუთხით არსებულ პრობლემებსა და სხვა საკითხებზე. როგორც საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ კონსტანტინე კორკელიამ განაცხადა, სამხრეთ კავკასიის რეგიონში სასამართლოები ხშირად არ იყენებენ საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმებს, ამიტომ, სასურველია კონფერენციაზე მონაწილეებმა შეიმუშაონ რეკომენდაციები და დასკვნები, რომელიც ხელს შეუწყობს კავკასიის ქვეყნებში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ნორმების გამოყენებას. მისივე თქმით, საქართველოში საერთაშორისო სამართლის ნორმებს ყველაზე ხშირად უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოები იყენებენ. საერთაშორისო კონფერენცია ორდღიანია და იგი დღეს დასრულდება.

**ინტერპრესნიუსი**

### სოფელ სიომკაში ჰესი არ აშენდა

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის მცხეთა-მთიანეთის სამმართველომ სამშენებლო ფირმა "ორიონის" ხელმძღვანელობა მითვისება-გაფლანგვის ფაქტზე ამხილა და წინასწარი გამოძიება დაიწყო. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ს.ს. "ორიონის" დუშეთის რაიონის სოფელ სიომკაში ჰესი უნდა აეშენებინა. საქართველოს მთავრობამ ჰესის ასაშენებლად 114 ათასი აშშ დოლარი გამოყო. მართალია, სამშენებლო სამუშაოები დაიწყო, მაგრამ მალევე შეჩერდა. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ს.ს "ორინმა" და ფონდმა "იფადიმ" სახელმწიფოს მიერ სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხები არამიზნობრივად გახარჯეს, ნაწილი კი მიითვისეს. დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები. ფირმის საბუღალტრო დოკუმენტაციას კომპლექსური რევიზია ჩაუტარდება და მითვისებული თანხის ზუსტი ოდენობა ამის შემდეგ განისაზღვრება. ფინანსურ პოლიციაში გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით მითვისება-გაფლანგვის მუხლით დაიწყო. **პრამ-ნიუსი**.

# არქაული წესით

უიკენდზე რაგბის საგაისო მსოფლიო თასის ორი საგზურის მფლობელიც გამოვლინდა: ექვსი ერის წევრმა იტალიამ მოსკოვში 67:7 მოსრა რუსეთი, ერთა თასის მფლობელმა რუმინეთმა კი მადრიდში 43:20 ძლია ელიტაში ორი წლის შემდეგ დაბრუნებული ესპანეთი. გამარჯვებულებმა ფინალის პულში ზელანდიასა და შოტლანდიას მიაკითხეს, ძლეულები კი, თუ 28 ოქტომბერს, პორტუგალიასა და საქართველოშიც წაუცდებათ ფეხი, გავარდებიან.

რუმინეთი თავიდან არეკნით ჩამორჩა და პირველი ტაიმი 17:8-ლა მოიგო, სულ კი ექვსი ლელო გაიტანა და სამი გაუშვა. იტალიამ 9 ლელო შეიტანა, პირველი ნახევარი 39:0 მოიგო და საათის თავზე წინ საზარლად 60:0 იყო. ამეების შემდეგ გასათამაშებელი საფრანგეთის ხუთი საგზურიღა დარჩა: თითო აფრიკაში, აზიასა და ევროპაში და ორიც გაისად, ზონათაშორის რეპეშაჟში.

სამხრეთ აფრიკაში ქარრის თასის ფინალი, 1989 წლის აქეთ პირველად, ფრედ 28:28 დასრულდა. დამატებით დროიან, 100-წუთა რკენაში სტუმარმა ბლუ ბულზმა (პრეტორია) ლელოებით 3-2 კი აჯობა მასპინძელ ჩიტაზს (ბლუმფონტეინი), მაგრამ არქაული, ძაან ყარაჩოხული წესის თანახმად, გუნდები თასის თანამფლობელებად გამოცხადდნენ და ჯილდოს ექვს-ექვსი თვით შეინახავენ.

ახალ ზელანდიაში, ეარ ნიუ ზილენდის თასის ნახევარფინალები, მასპინძლებმა უსიტყვოდ მოიგეს. ველინგტონმა (ზე 14-ის ჰარიკენზის ბირთვი) 30:15 ძლია შარშანდელი ჯილა ოკლენდი (ბლუზი), წრიული სტადიის მომგებმა ვაიკატომ (ჩიფსი) კი 6-ჯერ დაალელოვა, 44:15 გაასალა ოთაგო (ჰაილენდერზი) და შაბათს ფინალსაც შინ გამართავს.

13-კაცაში დასრულდა ინგლისის სუპერ-ლიგა და დაიწყო ბოლოლათა სამი ერი. ბრიტულ დიდ ფინალში, 73 ათასი ფანით გადაჭედილ ოლ ტრეფორდზე (მანჩესტერი), სენთ-ჰელენსმა 26:4 ძლია ჰალი და ტრიპლი (თასი, წრიული, ფინალი) შეასრულა, სამი ერის შარშანდელმა ჩემპიონმა, ზელანდიის კივიზმა კი შინ, ოკლენდში, 18:30 წააგო მსოფლიო თასის მფლობელ ავსტრალიის კენგურუზთან.

**მსოფლიო თასის ფინალი**

**ა:** ინგლისი, სამხრეთი აფრიკა / სამოა (ზღვ 1), შტატები (ამერ 3), ტონგა (ზღვ 3) - აზია 2
**ბ:** ავსტრალია, უელსი / ფიჯი (ზღვ 2), კანადა (ამერ 2), აზია 1 (იაპონია - კორეა - ჰონკონგი)
**გ:** ახალი ზელანდია, შოტლანდია / იტალია (ევრ 1), რუმინეთი (ევრ 2), ევრ 4 - აფრ 2 - ურუგვაი (ამერ 4)
**დ:** საფრანგეთი, ირლანდია / არგენტინა (ამერ 1), ევრ 3 (საქართველო - ესპანეთი, პორტუგალია - რუსეთი), აფრ 1 (მაროკო - ნამიბია)
**პლეი ოფი:** ბ1 - ა2, გ1 - დ2 / ა1 - ბ2, დ1 - გ2

**მასალა მომზადებულია ვებგვერდ http://www.geocities.com/Msoflioshi/index.htm-მიერ**

# სიმეონეს ახდენილი ოცნება

არგენტინის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა დიეგო სიმეონემ თებერვალში 19-წლიანი საფეხბურთო კარიერის დასრულება და ძალების სამწვრთნელო ასპარეზზე მოსინჯვა გადაწყვიტა.

"ველეს სარსფილდის" სასკოლო აკადემიაში აღზრდილი "ელ ჩოლოს" (სიმეონეს მეტსახელი) საფეხბურთო დებიუტი 17 წლის ასაკში იმავე სახელწოდების კლუბში შედგა. სამი წლის შემდეგ არგენტინელი ბებერ კონტინენტზე გადაბარგდა. მისი პირველი ევროპული კლუბი იტალიური "პიზა" გამოდგა. აპენინებიდან პირინეებზე გადაინაცვლა და ჯერ "სევილიას", მერე კი "ატლეტიკოს" მაისურა მოირგო. ესპანეთში გატარებული ხუთი სეზონის შემდეგ დიეგო სიმეონემ ისევ იტალიას, კერძოდ კი მილანის "ინტერს" მიაშურა. მერე იყო რომის "ლაციო", ისევ მადრიდის "ატლეტიკო", კარიერის ბოლო სეზონი კი "ელ ჩოლომ" მშობლიურ "რასინგში" გაატარა.

მისი სამწვრთნელო დებიუტიც სამშობლოში შედგა - 35 წლის სიმეონე "ესტუდიანტესს" ჩაუდგა სათავეში. "ალბისელესტეს" ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველის კლუბი დღეისათვის არგენტინის ჩემპიონატში მესამე ადგილს იკავებს და საკმაოდ შთაბმეჭდავად გამოიყურება. "ესტუდიანტესის" თავკაცი თავის ახალ პროფესიაზე ფიფას ოფიციალური ვებ-გვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში საუბრობს.

**- მწვრთნელის ამპლუაში თავს როგორ გრძნობთ?**

- მეტისმეტად კომფორტულად, რადგან ეს ჩემი ბავშვობის ოცნება იყო, რომელიც რეალობაც იქცა. ყოველთვის ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან რომელიმე გუნდის გაწვრთნას მივყოფდი ხელს. ახლა კი, როცა პირველი სამწვრთნელო ნაბიჯები გადავდგი, ჩემი ახლი პროფესიით უფრო და უფრო ვიხიბლები.



*სიმეონესთვის თამაშის სკამიდან ყურება ტანჯვაა.*

**- მოედანზე შესვლა და ბურთის გაგორება არ გენატრებათ?**

- არა. როცა "რასინგთან" გავაფორმე კონტრაქტი, ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ასეთ მოკლე დროში მწვრთნელი გავხდებოდი. იმ დღიდან მოყოლებული, ფეხბურთელობა აღარც გამხსენებია. ახალ ამპლუაში თავს კარგად ვგრძნობ და სხვა არაფერზე ვფიქრობ.

**- დიდი სხვაობა აღმოაჩინეთ ფეხბურთელობასა და მწვრთნელობას შორის?**

- მწვრთნელობა უფრო მეტ პასუხისმგებლობას გაკისრებს. ფეხბურთელი ვარჯიშობს, თამაშობს და შინ დაბრუნებული, ცდილობს ფეხბურთზე აღარ იფიქრობს. მწვრთნელი კი შინ და გარეთ მუდმივად ფეხბურთზეა ორიენტირებული, უმნიშვნელო დეტალებზეც კი უფრო მეტს ფიქრობს, ვიდრე საჭიროა.

**- რა უფრო რთულია, ფეხბურთის თამაში თუ მატჩის სკამიდან ყურება?**

- რა თქმა უნდა, სკამიდან ყურება. მწვრთნელი ამ დროს, ფაქტობრივად, ეპიზოდურ როლშია და მატჩზე სათანადო გავლენას ვერ ახდენს. შეხვედრის ბედი ძირითადად ფეხბურთელებზეა დამოკიდებული. მთავარია, მწვრთნელმა მთელი კვირის განმავლობაში სწორად აკეთო შენი საქმე. თორემ მერე, თამაშისას რამდენიც გინდა, იმდენი იყვირე, მაინც ვეღარაფერს შეცვლი.

**- საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ევროპული კლუბების ღირსებას იცავდით. სამწვრთნელო კარიერის ბებერ კონტინენტზე გაგრძელებას არ ფიქრობთ?**

- ვიმედოვნებ, ეს დროც მალე დადგება. რა თქმა უნდა, სიამოვნებით ვუხელმძღვანელებ რომელიმე ევროპულ კლუბს, მაგრამ ამჟამად თავს ცუდად არც "ესტუდიანტესში" ვგრძნობ. კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდის მომავალი წარმატებები მე მომანდო, რისთვისაც მათი მადლობელი ვარ და ამიტომ ჩემთვის ახლა "ესტუდიანტესის" მიღწევებია მნიშვნელოვანი.

**- რას იზამთ, ერთ დღეს რომ არგენტინის ნაკრების გაწვრთნა შემოგთავაზონ?**

- ნებისმიერი მწვრთნელისთვის ეროვნული გუნდის გაწვრთნა დიდი პატივი და, ამასთან ერთად, დიდი პასუხისმგებლობა იქნება. 1987 წლიდან 2004 წლამდე არგენტინის ნაკრების განუყოფელი ნაწილი ვიყავი და ამიტომ ჩემთვის ნაკრების მწვრთნელობა ორმაგად საპასუხისმგებლო იქნება. კარიერის საუკეთესო მომენტებიც "ალბისელესტესთანაა" დაკავშირებული. ასე რომ, თუ ოდესმე წილად მხვდა ბედნიერება, ჩემი ქვეყნის ნაკრებს ჩავუდგე სათავეში, სიამოვნებით დავთანხმდები.

**- 1990 წლიდან მოყოლებული არგენტინის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში აღარ უთამაშია. თქვენი აზრით, რაშია "ალბისელესტეს" პრობლემა?**

- სამწუხაროდ, მარადონას ეპოქა წარსულს ჩაბარდა. შეიძლება ვცდები, მაგრამ ახალი მარადონა მარტო ჩვენს ქვეყანას კი, მსოფლიო ფეხბურთსაც აღარ ჰყავს და ალბათ, კარგა ხანს არც ეყოლება. არგენტინას ბევრი უმაღლესი დონის ფეხბურთელი ჰყავს, მაგრამ ლეგენდები ნაკლებად.

**- მარადონასთან ერთად თუ გაწვრთნიდით რომელიმე გუნდს?**

- დიეგო არასოდეს ყოფილა და არც იქნება მწვრთნელი. ჩემი ნება რომ იყოს, მას მოედანზე დაბრუნებას და ფეხბურთის თამაშს ვთხოვდი.

# შურისძიება კანადურად

**ნიუ ჯერსი - ტორონტო 110:119**
**სიეტლი - ჩიკაგო 105:110**
**ფენიქსი - ლეიკერსი 99:91**

გუშინ ნაციონალური საკალათბურთო ლიგის რეგულარული სეზონის სამად სამი მატჩი გაიმართა. მათ შორის გამორჩეულად იდგა "ტორონტოსა" და "ნიუ ჯერსის" დაპირისპირება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გასული სეზონის ერთ-ერთმა საუკეთესო გუნდმა "ნიუ ჯერსიმ" საკმაოდ სუსტად დაიწყო სეზონი და საინტერესო იყო რამდენად სერიოზულია ამ გუნდის კრიზისი და მეორე ვინს კარტერი თავის ყოფილ გუნდს უნდა დაპირისპირებოდა. შეგახსენებთ, რომ ვინსმა სეზონის პირევლი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა და მხოლოდ ახლა დაუბრუნდა "ნიუ ჯერსის". შესაძლოა კარტერი კარგ ფორმაში არ იყოს, ან კიდევ ტორონტოელებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ყოფილი თანაგუნდელი არ გაეხარებინათ, ასე თუ ისე კარტერმა ამ შეხვედრაში 10 ქულაზე მეტის დაგროვება ვერ მოახერხა. საკმაოდ უფერულად ითამაშა "ნიუ ჯერსის" კიდევ ერთმა ლიდერმა ჯეისონ კიდმა, რომლის ანგარიშზეც სულ რაღაც 8 ქულა იყო. რაც შეეხება "ტორონტოს", ამ გუნდში თავი გამოიჩინა პი ჯეი ტაკერმა, რომელიც თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო. მის ანგარიშზე საბოლოოდ 18 ქულა აღმოჩნდა. მთლიანობაში კი კანადელებმა მატჩი ანგარიშით 119:110 მოიგეს.



*შეტევაშია პი ჯეი ტაკერი*

დანარჩენ ორ შეხვედრაში "ჩიკაგომ" დაძაბულ ბრძოლაში მხოლოდ ოვერტაიმში მოახერხა "სიეტლის" წინააღმდეგობის დაძლევა, ხოლო "ფენიქსმა" "ლეიკერსს" არ დაუტოვა შანსი. კალიფორნიელთა მარცხის მიზეზი ისიცაა, რომ ჯერჯერობით ვერ თამაშობს კობი ბრაიანტი, რომელსაც ტრავმა ბოლომდე არ მოუშუშებია.



დავით კოვზირიძის სვეტი

# ტკბილი ნაყოფი - ნამდვილი ფეხბურთი

რაც ოფიციალური სათამაშო იყო, საქართველოს ეროვნულმა გუნდმა წლეულს უკვე ითამაშა და ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საწყისი ოთხი მატჩიდან სამი წააგო. წააგო მსოფლიოს ჩემპიონთან, მეორეადგილოსანთან და მეოთხედფინალისტთან. კი, მარცხი მარცხია და ქულას არ ტოვებს, მაგრამ ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ეს წაგებებიც დავყოთ და დასკვნები გამოვიტანოთ.

უპირველესად ის უნდა ითქვას, რომ ჩვენს ნაკრებს და მის გერმანულ ხელმძღვანელობას საშინლად არ გაუმართლა. არც მოედანზე და არც მოედანს გარეთ. ერთადერთი თამაში, რომელიც პირწმინდად და ულაპარაკოდ წავაგეთ, საფრანგეთთან იყო, ვინც სექტემბრის დასაწყისში ზღაპრულ ფორმაში იმყოფებოდა და იტალიაც მიანგრია.

დანარჩენ ორ შეხვედრაში ოთხს თუ არა, ორ ქულას ნამდვილად ვიმსახურებდით. კიევში ოდნავ შეთხელებული შემადგენლობით მასპინძლებს აშკარად ვაჯობეთ, რასაც თავად უკრაინელი გულშემატკივრებიც ერთხმად აღიარებდნენ, ხოლო იტალიის ნაკრებთან მეორე შემადგენლობით მანამ ვიბრძოდით ღირსეულად, სანამ მსაჯმა ეს მეორე შემადგენლობაც კაცით ნაკლები არ დაგვიტოვა. შეიძლება ჯაბა გასაგდები იყო, შეიძლება - არა, მაგრამ ის პადკატი არ უნდა გაეკეთებინა და რომ გააკეთა, მისი გამოუცდელობის ბრალია. გამოცდილებას კი კანკავა ასეთ შეხვედრებში იღებს მაშინ, როდესაც თითოეულ იტალიელს ყოველ უქმეებზე და ხანდახან კვირაში ორჯერ უწევს უმაღლესი დონის საკლუბო ომებში მონაწილეობა.

ასეთი გამოუცდელი ფეხბურთელები ჩვენ უხვად გვყავს და თითოეული მათგანის შეცდომა სწორედ ნაკრებს უჯდება ძვირად. თუმცა დრო გადის და ეს ბიჭები ძალიან ბევრს სწავლობენ როგორც სახელოვანი მწვრთნელისგან თეორიულად, ისე მსოფლიოს საუკეთესო გუნდებისგან - პრაქტიკულად. წინა სვეტში სწორედ ამას ვწერდი - საქართველოს ნაკრები ახლა სწავლობს იმას, რაც არ იცოდა და სხვაგვარად ვერც ისწავლიდა. საქართველოს ნაკრები კლასს იგროვებს!

და რას ნიშნავს თანამედროვე ფეხბურთში კლასი? რას და ყველაფერს, დაწყებული მსაჯთა სიმპათიებით და დამთავრებული გასაოცარი რაციონალურობით - უკრაინის და იტალიის ნაკრებებმა კარში შვიდჯერ დაგვირტყეს და ექვსი გოლი გაგვიტანეს. გლობალურად ეს საზიზღარი ტენდენციაა, ფეხბურთი ემსგავსება კიბერნეტიკულ პროცესს, თან ძალიან მოსაწყენს. და თუ ჩვენ ამ მსჯელობას ბოლომდე გავყვებით, მივიღებთ იმას, რომ უმეტეს შემთხვევაში კლასი არის მოსაწყენი მექანიკა და ეს ამბავი კარგად გამოჩნდა მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე.

ყოველივედან გამომდინარე, საქართველოს ნაკრები ჯერ უნდა გახდეს მაღალი კლასის, შედეგზე ორიენტირებული გუნდი და მხოლოდ შემდეგ იზრუნოს სანახაობაზე. ამას ბევრი დრო, კიდევ უფრო მეტი მოთმინება და შრომა სჭირდება. და კიდევ ერთი აუცილებელი დეტალი - ერთგული, ნამდვილი გულშემატკივარი.

მე მინდა ტაში დავუკრა საქართველოს ნაკრების ქომაქებს, რომლებმაც იტალიასთან, მსოფლიოს ჩემპიონთან, ისე უგულშემატკივრეს მშობლიურ გუნდს, როგორც ჩვენ გვეკადრება. ასეთი დახვეწილი, კომპეტენტური, ფერადი, ემოციური და ლამაზი გულშემატკივრობა მე "ლინფილდის" მერე არ მახსოვს. ძალიან მაგარი სანახავია, როგორ იხატება აღმოსავლეთ ტრიბუნაზე საქართველოს საოცრად ლამაზი დროშა საქართველოს საოცრად ლამაზი ჰიმნის დროს. და ეს შესანიშნავია, რადგან ასეთ ერთგულებას აუცილებლად მოსდევს უკუშედეგი - გუნდის პროგრესი.

ეს პროგრესი გაცილებით სწრაფი და საგრძნობი გახდება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ნაკრები 2007 წლის მარტს შეხვდება უძლიერესი შემადგენლობით და კარგ ფორმაში. ამ დროს შეიძლება 9 ქულა ავიღოთ შოტლანდიასთან, რომელსაც ხუთი საუკეთესო ფეხბურთელი არ ეყოლება, ლიტვასთან და ფარერებთან. ეს 9 ქულა იმის გარანტი კი არ იქნება, რომ ჩვენ ჯგუფიდან გავალთ - ასეთი ჯგუფიდან გასვლა ნებისმიერი ა კლასის ნაკრებისთვის პატივი იქნებოდა - არამედ იქნება დასტური იმისა, რომ საქართველოს ღირსეული პირველი გუნდი ჰყავს. ჰოდა, ზუსტად ამის მერეა საჭირო გაათმაგებული შრომა იმისთვის, რომ ნაკრებს ჰქონდეს მუდმივი შევსება საქართველოს ჩემპიონატიდან, ევროპიდან თუ სხვადსხვა ასაკობრივი ნაკრებიდან.

მე თუ მკითხავთ, 2006 წელი გარდამტეხია საქართველოს ეროვნული გუნდისა და მისი ქომაგების ცხოვრებაში. წარსულს ჩაბარდა უჯიგრო თამაში, უდარდელი სახით წაგება, ხელების შლა, თანაგუნდელების ლანძღვა და ყველაფრის სხვაზე გადაბრალება, ბოთლების სროლა, არაადეკვატური ქცევა ტრიბუნებზე, ცხოველური აგრესია და ასე შემდეგ. გახსოვთ ეს შემზარავად ბნელი ხანა?

ფეხბურთი ჯაჭვურადაა აწყობილი: როცა ფეხბურთელი ხედავს, რომ მასზე ზრუნავენ, თვითონაც თავს დებს. როცა ის ბოლომდე იხარჯება, გულშემატკივარი ამას გრძნობს და ქომაგობს ისე ხოშიანად, როგორც იტალიასთან იყო. თავის მხრივ, ასეთი ერთგულება მოედანზე მყოფთ გაორმაგებულ ენერგიას მატებს და ისინიც კაცურად იბრძვიან. ამას აუცილებლად მოჰყვება ციფრებში გამოხატული წარმატება და ვინაიდან შედეგი სახეზეა, მზრუნველობის ხარისხიც იზრდება. ეს ციკლი მუდმივად მეორდება და ამ პროცესის ნაყოფი გახლავთ ნაღდი ფეხბურთი.

*მომავალ სამშაბათამდე*


# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

**1.** ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში, "მუშთაიდი"-ს პარკის მოვლა-პატრონობის და სადღეღამისო დაცვის საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 ლოტად (პოზიციად):

I ლოტი (პოზიცია) - ქ. თბილისში, "მუშთაიდი"-ს პარკის მოვლა-პატრონობა;

II ლოტი (პოზიცია) - ქ. თბილისში, "მუშთაიდი"-ს პარკის სადღეღამისო დაცვა.

გასაწევი მომსახურების მოკლე დახასიათება: I ლოტზე (პოზიციებზე) - დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების გატანა, კომუნალური ხარჯების დაფარვა, აგრო-ტექნიკური ღონისძიებების გატარება (დაბარვა, მორწყვა); II ლოტზე (პოზიციაზე) - ობიექტის სადღეღამისო (24 საათიანი) დაცვა: არსებული მატერიალური ფასეულობების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

*2*. მომსახურების გაწევის ვადა - ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

*3*. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას 2006 წლის 7 ნოემბრის 12 საათიდან 7 ნოემბრის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*4*. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**

■ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

■ ცნობებს რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

■ ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ;

**ფიზიკური პირისათვის:**

■ ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

■ ცნობა სასმართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**

■ ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

■ ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

■ ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

*5*. თუ პრედენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებამდე დადებამდე.

*6.* სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 17 ოქტომბრის 12 საათიდან 6 ნოემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

*7.* ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

*8.* დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: გიორგი დათუნაშვილი - საკონტაქტო ტელეფონი 99-60-35, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

# "პრომეთეს" დახურვის ოფიციალური და არაოფიციალური ქრონიკა

პირველი გვერდიდან

ეს არის ფილმი ტყუპი და-ძმის შესახებ. ძმა დაუნის სინდრომით არის დაავადებული. ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, სხვადასხვა მიზეზების გამო, ოლვიდოსათვის გაუსაძლისი ხდება, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც გოგონა სამსახურს დაკარგავს. ოლვიდო რამდენჯერმე ცდილობს სახლიდან, ძმისგან გაქცევას, მაგრამ საბოლოოდ ხვდება, რომ ლეონისაგან მიღებული სიყვარული და მზრუნველობა მისი ერთადერთი თავშესაფარია. ფილმი ადამიანურ ურთიერთობებზეა კეთილი დასასრულით, სადაც გმირი ხვდება, რომ დაუნის სინდრომით დაავადებულ ძმას სიყვარულის ყველაზე დიდი უნარი აქვს.

"ფარაჯანოვისა" და ვერცხლის "პრომეთეს" პრემია ლატვიელმა კინორეჟისორმა ფრედ კელემენმა მიიღო ფილმისათვის "ვარდნა". იმისათვის, რომ ყველა ფილმი სათითაოდ არ განვიხილოთ, მოკლედ ვიტყვით - ყველა ლაურეატი ოქროსა და ვერცხლის "პრომეთეს" მფლობელი ფილმები (აქვე მოგახსენებთ, რომ "ოქროს პრომეთე" გერმანელმა კინორეჟისორმა დეტლეფ ბუკმა მიიღო ფილმისათვის "მაგარი ბიჭი") თემატურად ენათესავება ერთმანეთს. ეს არის სოციალურად დაუცველი ფენის ადამიანური ურთიერთობები და რიგ შემთხვევაში დაუცველობისგან გამოწვეული სისასტიკეც, რომელიც საბოლოო ჯამში მაინც ჰუმანურ ჩარჩოში ექცევა და გამოსავალს ისევ სხვა ადამიანში, როგორც სიკეთეში, პოულობს. ეს ტენდენცია ალბათ ლოგიკურად მოსდევს მე-20 საუკუნის საერთო ნიჰილისტურ განწყობას, სადაც 21-ე საუკუნეში ხელოვანები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ადამიანი არა მხოლოდ მგელი შეიძლება იყოს მეორე ადამიანისთვის, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამისათვის ყველა პირობა არსებობს. ერთი სიტყვით, ადამიანურ ურთიერთობებს, სიყვარულს და მკაცრ და სასტიკ გარემოს აღწერდა კინოფესტივალზე წარმოდგენილი ფილმების უმეტესი ნაწილი და ჯილდოებიც სწორედ მათ შორის საუკეთესოებს გადაეცათ.

მაგრამ იყო კიდევ ერთი ჯილდო, ჩვენთვის ალბათ ყველაზე სასიამოვნო, რომელიც ორგანიზაცია "ვიდეოსკოპმა" და მისმა თავმჯდომარე ვალერი ოდიკაძემ დააწესა. ჯილდო, რომელიც საქართველოში დარჩა და ქართველ კინორეჟისორს გადაეცა. პრემია შესაძლებელია უცნაური შინაარსის მოგეჩვენოთ, მაგრამ მერწმუნეთ, ყველა ბრინჯაოს, ვერცხლის თუ ოქროს ფიგურებს სჯობია. მაღალპროფესიულ "ჰაი დეფინიშენის" კამერა, რომლის ხარისხიც პრაქტიკულად კინოკამერას და ფირზე გადაღებულ ხარისხს უტოლდება. ეს კამერა არ არის საჩუქარი, საჩუქარი ამ კამერით უსასყიდლოდ მომდევნო ფილმის გადაღებაა, რაც უდავოდ ძალიან ძვირადღირებული საჩუქრის თუ პრემიის ტოლფასია. ამ საჩუქრის ადრესატი თაკო შავგულიძეა, ფილმისათვის "გზავნილი ქართველებს".

"აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ომმა, სამი ადამიანის ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. ეს ფილმი მათ დღევანდელ ყოფაზე მოგვითხრობს" - ასეთი მოკლე და ლაკონურია ფილმის ოფიციალური სინოფსისი ფესტივალის კატალოგში. თავად ფილმი 25 წუთს გრძელდება და ამ 25 წუთში სამი სხვადასხვა, ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ამბავია მოყოლილი. მათ ერთი რამ აერთიანებთ, - სამივე ნოველის გმირი აფხაზეთიდან დევნილია. პატარა ბიჭი, რომელიც 1 წლის ასაკში დედასთან ერთად გაიქცა სოხუმიდან, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გოგონა, რომელიც, თუ არ



თაკო შავგულიძის "გზავნილი ქართველებს".

ვცდები, 7-8 წლის ასაკში მოდის საკუთარი სახლიდან და დაახლოებით 40 წლის მამაკაცი, რომელიც ომის მიწურულს ტოვებს საკუთარ სახლ-კარს. ფილმი არ არის სწორხაზოვანი, მასში რამდენიმე პლასტია მოცემული: ქვეყნის დედაქალაქში ინტეგრირებული სტუდენტი გოგონა, საზოგადოებისგან გარიყული მამაკაცი და პატარა ბიჭი, რომელსაც "მისი" ზღვა არც ახსოვს, მაგრამ ამჟამად მისი საცხოვრებელი ადგილი, რომელიც თბილისის ზღვაზეა, მას საკუთარ სახლთან აახლოებს და "მას" ახსენებს. პირველი ორი ნოველის გმირებმა, პატარა ბიჭმა და სტუდენტმა გოგომ მამა ომში დაკარგეს და დედასთან ერთად დღეს თბილისში ცხოვრობენ. ამ ორ კინოამბავში სიცოცხლის წყურვილიც იგრძნობა და საკუთარი სახლ-კარის ნოსტალგიაც. მათ აქაც შეძლეს მოცემულ გარემოში ადაპტირება და აფხაზეთიც ენატრებათ, ისინი ამ გარემოსაც მიეჯაჭვნენ და ვერც საკუთარს სცილდებიან. ყველაზე ემოციური და საინტერესო ფილმის ბოლო ნოველაა, სადაც ნათლად ჩანს, რომ გარემოსგან მუდმივად გაუცხოებული მამაკაცის არჩევანი გარემოსგან გარიყვა და მარტოობაა, სადაც ის თავის მოგონებებში ცხოვრობს. ომი, რომელმაც მისი ცხოვრება დაასახიჩრა და სამუდამო დაღი დაასვა. თაკო შავგულიძის ფილმი სინამდვილესთან ახლოს დგას, ვილაც ახერხებს ახალ გარემოში ინტეგრირებას და ვიღაც ვერ ახერხებს, მაგრამ საერთო ის არის, რომ ყოველ მათგანს სახლი ენატრება. "გზავნილი ქართველებს" არა ჰაგვს, მაგალითად, საპრეზიდენტო პროგრამა "ჩემი სახლის" ვიდეორგოლებს, რომლის მიზანიც მხოლოდ ოპტიმიზმია. თაკო შავგულიძის მიზანი სინამდვილის ასახვაა, სადაც არის ოპტიმისტური განწყობაც და პესიმისტურიც.

ჩვენთვის, როგორც მაყურებლისათვის კი ყველაზე სასიამოვნო ის არის, რომ ახალგაზრდა რეჟისორებმა იმ თემებით და იმ პრობლემებით დაიწყეს დაინტერესება, რომელიც აქვე, ახლოს, ჩვენს გარშემო არის. იმედია, ახალი თაობის კინემატოგრაფისტები, არც მომავალში გაიქცევიან ფილმის იდეის საძიებლად სინამდვილისგან შორს.

დაბოლოს ფესტივალის არაოფიციალური ნაწილი, ფესტივალის დახურვა. დიტო ცინცაძის ფილმი "კაცი საელჩოდან". ეს უკანასკნელი ყველა იმ თემას მოიცავს, რომელიც სხვადასხვა ფილმებთან მიმართებაში მოვიხსენიეთ. სოციალურად დაუცველი ადამიანი, დევნილი, ადამიანური ურთიერთობები და ა.შ. საქმე კი რაშია! ფილმის მთავარი გმირი გერმანელი ჰერბერტ ნოიმანი გერმანიის საელჩოში ფინანსურ მრჩევლად მუშაობს. "არც ისეთი საამურია უცხოელი დიპლომატის ცხოვრება საქართველოში, როგორც ეს წარმოგვიდგენია" - ასე წერდნენ ფილმის გმირის შესახებ უცხოელი ჟურნალისტები მას შემდეგ, რაც დიტო ცინცაძის უკანასკნელი ნამუშევარი ლოკარნოს კინოფესტივალზე ნახეს. ბაზარში პროდუქტების შესაძენად მისული გერმანელი დიპლომატი, პატარა ჯიბის ქურდს (ბიჭივით გამოწყობილი, დაახლოებით, 12 წლის გოგონა) დააკავებს და პოლიციას ჩააბარებს, შემდეგ კი მას გაქცევაში დაეხმარება. ამის შემდეგ მას დაუმეგობრდება და ადამიანურ მზრუნველობას იჩენს მის მიმართ. ორგვარად შეიძლება აიხსნას მისი მოულოდნელი სიყვარული ობოლი ბავშვის მიმართ; ეს მისი მარტოობის და მოწყენილობის გასაქარწყლებლად საუკეთესო საშუალებაა ან კი უბრალოდ ჰერბერტში ადამიანური მგრძნობელობა იღვიძებს და გაჭირვებულის დახმარება მის ჰუმანურ მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს. ერთი სიტყვით, როგორც არ უნდა იყოს, მისი ჰუმანისტური მიდრეკილებების ყველას არ სჯერა და მას პატარა გოგონასთან სექსუალურ ურთიერთობებში სდებენ ბრალს, რის გამოც ფილმის ფინალში მთავარ გმირს ფიზიკურად უსწორდებიან. ნაწყენი ჰერბერტი საქართველოს დროებით ტოვებს. ერთი სიტყვით, ფილმში თითქოს მათხოვარი ბავშვების, მათი გარემოს, გაჭირვებული ადამიანების ყოფაც არის ნაჩვენები, გერმანელი დიპლომატიც, რომელიც ვერც ლამაზ ქართველ ქალთან ირთობს თავს და ვერც საკმაოდ კეთილმოწყობილ სახლში. ორივე მათგანს ადამიანური ურთიერთობა აკლია, რომლის მიმართ გარემომცველი საზოგადოება უნდობლობით არის განმსჭვალული.

თითქოს ისტორია ემოციურიც არის, დრამატურგიულად გამართულიც, რეალისტურიც, ცოტა სენტიმენტალურიც, მაგრამ დანაკლისის გრძნობა მაყურებელს მაინც ეუფლება. და რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? მაყურებლისათვის დიტო ცინცაძის ფილმებში, ყველაზე ფასეული, საინტერესო და მიმზიდველი, მისი იუმორის გრძნობა იყო, რომელსაც ავტორი სასტიკი სამყაროს აღბეჭდვისას რბილი და დახვეწილი იუმორით წარმოადგენდა. მის უკანასკნელ ფილმში თითქოს იუმორს სენტიმენტები ჩაენაცვლა და ამიტომ სურათმა მთავარი ღირსება დაკარგა. იუმორი არის, მაგრამ ძალიან ლოკალური, ძალიან თბილისური ან კი ქართული, ანუ ისეთი რომელიც ჩვენთვის ქართველი მაყურებლისათვის ახლობელი და სამწუხაროდ უკვე არაერთხელ ნანახია. თუკი "დაკარგულ მკვლელებში" მთელი სამყაროს სისასტიკე, რამდენიმე განსხვავებული გმირის ცხოვრების მეშვეობით იყო წარმოდგენილი და მას მუდმივად თან სდევდა ძალიან მსუბუქი იუმორი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უკარგავდა იდეის სიმძაფრეს, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სენტიმენტალურ ისტორიასთან, ადამიანზე, რომლის სიკეთე თანამედროვე გახრწნილ საზოგადოებაში გაუგებარი და დაუფასებელი რჩება. სენტიმენტალიზმს კი ის ამძაფრებს, რომ უანგარო ზრუნვასა და სიყვარულს მხოლოდ მისი მეგობარი, მისი სიყვარულის ახალი ობიექტი იღებს. სამწუხაროა, მაგრამ თითქოს დიტო ცინცაძის ფილმი ძალიან სტანდარტული, ბანალური და სხვების მსგავსი გახდა, რასაც მის წინამორბედ ნამუშევრებზე ვერ ვიტყვით. აქ არაფერია განსხვავებული, ეს ჩვეულებრივი კარგი ფილმია, რომლის მსგავსი მსოფლიო კინემატოგრაფში დღეს ბევრი იქმნება, თუმცა დიტო ცინცაძის ინდივიდუალური ხელწერა ადრეულ ფილმებში გაცილებით მასშტაბური და კოსმოპოლიტური იყო. და რას ვგულისხმობთ კოსმოპოლიტიზმში? ისევ "დაკარგულ მკვლელებზე" დაყრდნობით ვიტყვით, რომ დიტო ცინცაძის ფილმს არ ჰქონდა ეროვნება, ის ქართულიც იყო, გერმანულიც, ამერიკული და სხვა. მაგრამ "დაკარგული მკვლელების" შემდეგ გაჩნდა გერმანულ კინოესთეტიკაში გადაღებული ფილმი "გასროლის შიში" და მას მოსდევს ქართული კინოენით, ქართული ადგილობრივი იუმორით შესრულებული "კაცი საელჩოდან".







# ძალმომრეობა კულტურული მემკვიდრეობისადმი ძველ თბილისში

უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული სიძლიერით იჩინა თავი ძველი თბილისის ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობისადმი აღმაშფოთებელმა ძალმომრეობამ, რაც უპასუხისმგებლობის, უმეცრებისა და ქვეყნის სულიერი მონაპოვრებისადმი დაუოკებელი აგრესიის გამოხატულებაა. დროა ამ საშინელ განუკითხაობას ბოლო მოეღოს!

ამგვარი, მეტად სამწუხარო და საქართველოს პრესტიჟისათვის უკიდურესად უარყოფითი პროცესის ერთი უთვალსაჩინოესთაგანი გამოხატულებაა გუდიაშვილისა და არჩილ ჯორჯაძის ქუჩათა გადაკვეთაზე მდებარე საცხოვრებელი სახლის ნგრევა-განადგურება, რომელიც XIX ს. დასაწყისის ცნობილი მოღვაწე ქალბატონის, მანანა ორბელიანის სახელს უკავშირდება. თბილისში შემორჩენილ უადრეს კლასიცისტურ ნაგებობათა შორის (რაც უკვე დიდი იშვიათობაა), იგი ღირსშესანიშნავი ნიმუშია. უდავოდ მაღალია მისი ურბანული ღირებულებაც. ასეთი რანგისა და ხარისხის უნიკალურ ძეგლთა ფასეულობა და კულტურულ - ისტორიული მნიშვნელობა მთელ მსოფლიოში სულ უფრო მეტად მატულობს და ღრმავდება, საქართველოში კი პროცესები საპირისპირო მიმართულებით მიექანება, რაც დასავლეთთან ინტეგრაციის მოსურნე ქვეყნისათვის ანომალიის სახეს იძენს.

ზემოაღნიშნული სახლის მაღალ სააღმშენებლო ხრისხზე მეტყველებს ნაგებობის განაპირა რიზალიტთა რუსტირებული პილასტრები და თაღოვანი ღიობის ასევე რუსტირებული სათაური, სარკმელების დამასრულებელი, აგურით გამოყვანილი ფრონტონები და აგურისავე თაროები. მკვიდრად ნაშენ, მართლაც სიძველის "სურნელით" საზრისმიცემულ, ფასადის მკაფიოდ, ნათლად აღნაგ ფორმებს ეზოს მხრიდან ხის აივანი ებმოდა. ამ ნაგებობაში სადა კლასიციზმისა და ადგილობრივი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის ორგანული შეხამების უადრესთაგან, მრავალმხრივ საგულისხმო ნიმუშთან გვაქვს საქმე.

ისიც გასახსენებელია, რომ დიდმა მეცნიერმა, ბატონმა გიორგი ჩუბინაშვილმა ნათელყო, რომ კლასიციზმის დამკვიდრებამ ხელი შეუწყო ოდითგანვე ტრდიციული ტექტონიკურობის, სისადავის, სიმწყობრის ახლებურ აღორძინებას ჩვენში, ხოლო ამ პროცესის ნათელსაყოფად განხილული ძეგლი უზარმაზარი ინფორმაციის შემცველია.

გარდა ნაგებობის ეჭვმიუტანელი თავისთავადი ღირებულებისა, დიდი დატვირთვა ენიჭება მის სივრცით განთავსებას, კონტექსტუალურ მხარეს. ეს შენობა ხომ ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე "ინტენსიურ" ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი აღმართულია ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობისა და წმიდა სამების ეკლესიების ეროვნული ბიბლიოთეკის უმთავრესი მუზეუმებისა და სხვათა მახლობლად. აქ უდავოა კონცენტრაცია, თავმოყრა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ნაგებობებისა. ამ განსაკუთრებული გარემოცვიდან ზემოთ განხილული შენობის "ამოგლეჯა" კი, ფაქტობრივად. "ურბანული ტერორიზმის" სახეს იძენს, რაც ყოვლად დაუშვებელია, მით უმეტეს, რომ ადრეც, ამ მიკრო-სივრცეში უკვე მოხდა უახლეს კულტურულ პროცესთა მააკუმულირებელი ცენტრის, კარგად ცნობილი "მხატვრის სახლის" განადგურება, რამაც დიდად დასწია უკან ჩვენი სახვითი ხელოვნების ძლიერი და მრავლისმომცველი გამოცოცხლება.

ყოველივე ეს კი მეტყველებს, რომ ჩვენში თავს იჩენს თვით ძველი ქალაქის "სულის" თანდათანობითი მოსპობა, რაც კულტუროსანი ერისათვის სამარცხვინოა.

კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს მანანა ორბელიანის სახლის ნგრევა და უახლოეს მომავალში მისი აღდგენის მიზნით მომზადდეს სათანადოდ დასაბუთებული პროექტი, რომლის შემუშავებაში ყოველი ხელისმომწერი პირი მზადაა უშუალოდ ჩაერთოს.

დანამდვილებით დადგა დრო, რომ ბოლოს და ბოლოს, პატივისცემით მოვეპყროთ ჩვენს უმდიდრეს კულტურულ მემკვიდრეობას!

**ლალი ანდრონიკაშვილი** - ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, **ირინე ელიზბარაშვილი** - ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, საქართველოს იკომოსის წევრი, თსს აკადემიის ასოცირებული პროფესორი, **ნესტან თათარაშვილი** - არქიტექტორ-რესტავრატორი, **ნინო კორძახია** - არქიტექტორ-რესტავრატორი, **მაია მანია** - ხელოვნებათმცოდნეობისა და არქიტექტურის კანდიდატი, თსს აკადემიის ასოცირებული პროფესორი, **სამსონ ლეჟავა** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, **ეთერ მახათელაშვილი** - არქიტექტორრესტავრატორი, **მანანა სურამელაშვილი** - ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს იკომოსის წევრი, **მარინე ყენია** - ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, საქართველოს იკომოსის წევრი, **ნანა ყიფიანი** - ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, ხელოვნების ინტერდისციპლინარული კვლევის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, **ციცინო ჩაჩხუნაშვილი** - ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი, საქართველოს იკომოსის წევრი, **ნატო ცინცაბაძე** - კონსერვაციის ექსპერტი, საქართველოს იკომოსის გენერალური მდივანი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

გაერთიანებული მეთოდისტური კომიტეტის ჰუმანიტარული მისიის საქართველოს წარმომადგენლობა (ამქორ-საქართველო) აცხადებს ტენდერს მზესუმზირის ზეთისა და რძის ფხვნილის დასაწყობება / შენახვაზე და იწვევს ყველა კვალიფიცირებულ კომპანიას მონაწილეობის მისაღებად. პროდუქცია იმპორტირებული იქნება ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) ფინანსირებით, "FY06, საკვები პროგრესისათვის" პროგრამის ფარგლებში.

ამქორი არის ჰუმანიტარული ორგანიზაცია რომელიც ფუნქციონირებს სამართლიანობის, სუვერენიტეტის და ნეიტრალიტეტის პრინციპებზე დაყრდნობით.

დაინტერესებული კომპანიები უნდა იყვნენ იურიდიულად რეგისტრირებულნი და ჰქონდეთ მოთხოვნილი მომსახურების გაწევის სათანადო გამოცდილება.

ტვირთის საქართველოში (ფოთი) შემოტანის ვადებია 2006 წლის ნოემბერი, 2007 წლის იანვარი.

პროდუქციის აღწერილობა

პროდუქცია: რაფინირებული მზესუმზირის ზეთი;
დაფასოება: 208 ლიტრიანი ლითონის კასრი;
რაოდენობა: 600 ტონა;
დაფასოება: 20 ლიტრიანი ლითონის კასრი;
რაოდენობა: 600 ტონა;
დაფასოება: 4 ლიტრიანი ლითონის ქილა;
რაოდენობა: 300 ტონა.

პროდუქცია: რძის ფხვნილი;
დაფასოება: 25 კგ პოლიეთილენის ტომარა;
რაოდენობა: 500 ტონა.

აუცილებელი პირობები

■ საწყობს უნდა ჰქონდეს სარკინიგზო მისასვლელი;
■ შესანახი პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ სტანდარტებს;
■ საწყობი უნდა იყოს უზრუნველყოფილი 24 საათიანი დაცვით;

დაინტერესებულმა კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი:

1. ხელმოწერილი და ბეჭედდასმული სატენდერო წინადადება, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:
■ თანხმობას ტენდერში მონაწილეობაზე;
■ კომპანიის დასახელება;
■ იურიდიული სტატუსი;
■ საკონტაქტო ინფორმაცია;
■ საბანკო რეკვიზიტები;
■ საგადასახადო კოდი;
■ შემოთავაზებული ფასი 1 ტონა პროდუქციის შესანახად ან 1 მ2 ფართის ფასი აშშ დოლარი თვეში;
■ შემოთავაზებული სასაწყობო ფართის სიდიდე (მ2) და შენახვის პირობების აღწერა;
■ ზოგადი ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის შესახებ;
■ სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა.
2. ბეჭდის ასლი;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან საწარმოს რეგისტრაციის შესახებ;
4. ცნობა სასამართლოდან რომ კომპანიის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
5. ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ კომპანიის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
6. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**შენიშვნა: ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი უნდა იყოს დედანი ან ნოტარიულად დამოწმებული ასლი.**

* ბიდები გაიხსნება ამქორ-საქართველოს სატენდერო კომიტეტის მიერ;
* ტენდერში გამარჯვებული კომპანია შეირჩევა შემოთავაზებული ფასის, მომსახურების ხარისხის, ტექნიკური შესაბამისობის, საწყობის ადგილმდებარეობის და სხვა მონაცემების გათვალისწინებით.
* ამქორი იტოვებს უფლებას არ განაცხადოს საჯაროდ ტენდერში მონაწილე კომპანიების შემოთავაზებები.
* ამქორი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევეში მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია.
* ტენდერში მონაწილეები არ იქნებიან უფლებამოსილი ჩაასწორონ, შეცვალონ ან გამოითხოვონ ბიდი მათი ჩაბარების ვადის გასვლის შემდეგ;
* ამქორ-საქართველო იტოვებს უფლებას უარყოს ნებისმიერი ბიდი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე წარმომდგენის მიმართ;
* ამქორ/საქართველოს იტოვებს უფლებას გადაამოწმოს და შეაფასოს შესაძლო გამარჯვებული კომპანია.

ბიდების წარდგენის პროცედურა

■ დაინტერესებული კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები ქართულ ან ინგლისურ ენაზე, დაბეჭდილი კონვერტით რომელზეც აღნიშნულია კომპანიის დასახელება და აღნიშვნა, რომ დოკუმენტები არის გამოცხადებული ტენდერისთვის;
■ ბიდების შემოტანა უნდა მოხდეს შემდეგ მისამართზე: ი. აბაშიძის ქ. N75, თბილისი, საქართველო, ამქორ/საქართველოს ოფისი. ტელ.: (99532) 227068, 250845, 941581; ფაქსი: (99532) 231366;
■ ბიდების წარდგენის ბოლო ვადაა 17:00 საათი, 2006 წლის 26 ოქტომბერი;
■ ამ ვადის გასვლის შემდეგ წარმოდგენილი ბიდები არ განიხილება;

ბიდების მიღებაზე უფლებამოსილი პირია ამქორ/საქართველოს ოფისის მენეჯერი..
დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ამქორ/საქართველოს მონეტიზაციის განყოფილებას.

# შპს "სახელმწიფო უზრუნველყოფა" აცხადებს კონკურსს

**ქ. თბილისში, კრწანისის ქ. N49-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე 11D253 კვ.მ. მიწის ფართობი, მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობების და მათში არსებული აქტიური ნაწილის რეალიზების მიზნით**

- **ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
- **მისამართი:** ქ.თბილისი, კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორია (ნაკვ. 15/058).
- **შენობა-ნაგებობების ფართობი:** 6006,49 კვ.მ.
- **ობიექტზე დამაგრებული მიწის ფართობი:** 11D253 კვ.მ.
- **საწყისი გასაყიდი ფასი:** 1D500D000 (ერთი მილიონ ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით).
- **ობიექტის დახასიათება:** ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განლაგებულია შემდეგი შენობა-ნაგებობები: 4 სათბური, სამრეცხაო, საჯინიბო, ავტოფარეხი და საყარაულო ჯიხურები. აქტიური ნაწილი: სარეცხი მანქანა (სამრეცხაო N1), სარეცხი მანქანა, საწური ცენტრი 2ც, საუთაო მანქანა, მაგიდა ჟურნალის (მეცხ. ფერმა), ტელევიზორი შავ-თეთრი, თერმექსი, კარადა ტანსაცმლის, მაგიდა ძველი 3ც, სასწორი, ელ.წისქვილი, საბეჭდი მანქანა, ელ.რადიატორი, ტურბო გენერატორი.

საჯინიბოს შენობა დაკავებული აქვთ აფხაზეთიდან დევნილებს.

**საკონკურსო პირობები და თანხის გადახდის ვადები:**
ობიექტის მყიდველს (კონკურსში გამარჯვებულ პირს) ეკისრება ვალდებულება საჯინიბოს შენობაში განთავსებული აფხაზეთიდან დევნილების დაკმაყოფილება საკუთარი ძალებით (სახსრებით) და გამყიდველის პასუხისმგებლობა აღნიშნულთან დაკავშირებით გამოირიცხება.
"მყიდველი" ვალდებულია ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ კონკურსზე დასახელებული ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი.

**კონკურსი ჩატარდება 2006 წლის 31 ოქტომბერს დღის 13 საათზე.**
კონკურსის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ "მესაკუთრეს" 14.10.06წ N41 (486), (ჭანტურიას ქ. N12, VIII სართული).
**შ.პ.ს. "სახელმწიფო უზრუნველყოფა"**
**მისამართი:** ქ.თბილისი, ჭანტურიას ქ. N12, II სართული.
**საკონტაქტო ტელეფონი:** 99-01-48, 99-01-49, 899 35-55-35

# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური"**

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური", მდებარე ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ.N15ა, აცხადებს ღია ტენდერს სარეზერვო ფონდის შექმნის მიზნით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლების წინააღმდეგ ღონისძიებების გასატარებლად საქართველოში რეგისტრირებული პესტიციდების (პირეტროიდული ჯგუფის ულტრამცირე მოცულობიანი შესხურებისათვის ინსექციდი) შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესასყიდი საქონლის საერთო რაოდენობა შეადგენს 3500 ლიტრს.

2. საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2006 წლის 25 დეკემბრისა. საქონელი მოწოდებულ უნდა იქნეს DDP პირობებით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.N82.
3. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 8 ნოემბრის 14 საათამდე შემდეგ მისამართზე: სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, მ. თამარაშვილის ქ.N15ა.
4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
ა. ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
ბ. ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
გ. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია; (იურიდიული პირის შემთხვევაში).
d. ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება.
e. ტენდერში მონაწილე პირის რეკვიზიტები.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისათვის, თუ პრეტენდენტები დადგენილ ვადაში არ წარმოადგენენ მე-4 პუნქტში მითითებულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას და/ან რომელიმე მათგანი აღმოჩნდება ყალბი.
6. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ **200 (ორასი)** ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ განცხადების გამოქვეყნების დღიდან 6 ნოემბრის 18 საათამდე, შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა.
7. პრეტენდენტის მიერ სატენდერო მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, ანგარიშის N200122900, სახაზინო კოდი: 302003000, ინფორმაცია: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური", ს/კ: 205142200.
8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ.N15ა, მე-3 სართული, ტელ: (895) 22 42 42, (995 032) 39 74 98.

***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახურის სატენდერო კომისია***

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ღია ტენდერს ქ/ს "გორში და ქ/ს "ზუგდიდში" მართვის ფარის და რეაქტორების შენობების სახურავების შეკეთების შესყიდვაზე (2 ლოტი)

**შესაკეთებელი ობიექტების მიხედვით:**

**ლოტი N1** - ქ/ს "გორში" მართვის ფარის და რეაქტორების შენობების სახურავების აღდგენა.
**ლოტი N2** - ქ/ს "ზუგდიდში" მართვის ფარის და რეაქტორების შენობების სახურავების აღდგენა.
სამუშაოს შესრულების სასურველი ვადა არის შემსყიდველის მოთხოვნისამებრ 2006 წლის განმავლობაში. თუმცა თითოეული ლოტში მითითებული სამუშაოები სასურველია დასრულდეს შემსყიდველის მოთხოვნიდან 40 დღის განმავლობაში.
ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, დაფინანსების წყარო ---- საზოგადოების სახსრები.
ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.
პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 27 ოქტომბრის 12:00 საათამდე (თბილისის დროით), ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა.
სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2006 წლის 27 ოქტომბრის 12:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა --- მე-4 სართული
საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
იურიდიულ პირთათვის;
1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
2. ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
3. ცნობა სასამართლოდან ან/და საგადასახადო ინსპექციიდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან სანაციის საქმის წარმოების პროცესი, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)
ფიზიკური პირებისათვის
1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი; საკონტაქტო რეკვიზიტები,
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.
საქართველოში არ რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ მათ ქვეყანაში არსებული შესაბამისი ორგანოებიდან.
ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:
პრეტენდენტის დასახელება, შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სატენდერო კომისიას. ტენდერი N T 0906 G 0239

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ტელ: +995 989816; ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. N2. შესყიდვების სამსახური

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილისის წყალი", იურიდიული მისამართით: თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33 აცხადებს ღია ტენდერს **გამანაწილებელი რეზერვუარების სანიტარულ ზონებში განლაგებული ინფრასტრუქტურის ობიექტების კაპიტალური შეკეთების და კეთილმოწყობის სამუშაოების შესასყიდად.**

2. შესყიდვის ობიექტებია:
■ **ხუდადოვის რეზერვუარის სანიტარული ზონა;**
■ **ხუდადოვის მთაზე დაცვის პოლიციეს ლეგიონის ტერიტორია**
■ **ვაზისუბანი-3 რეზერვუარის სანიტარული ზონა;**
■ **ლილოს (საქნავთის) რეზერვუარის სანიტარული ზონა;**
■ **კრწანისის რეზერვუარის სანიტარული ზონა;**
■ **წყნეთის რეზერვუარის სანიტარული ზონა;**
■ **სოლოლაკის რეზერვუარის სანიტარული ზონა;**

პროექტები ითვალისწინებს არსებული შენობების კაპიტალურ შეკეთებას და საინჟინრო კეთილმოწყობას.

3. სამუშაოების დასრულების სასურველი ვადაა: **ერთი თვე.**

4. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია ანალოგიური სახისა და მოცულობის სამუშაოების შესრულების, გამოცდილება.

5. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის **6 ნოემბრის** 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, ოთახი N28.
სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

6. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები:
შპს "თბილისის წყალი";
ს/კოდი: 203826002;

ა/ა: N900467730;
ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
კოდი: 2200101502.

7. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის **7 ნოემბრის** 10:00 საათიდან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, **ოთახი N28.**

8. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

8.1 იურიდიული პირებისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
დ) ინფორმაცია უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ დამკვეთის მითითებით.

8.2 ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ინფორმაცია უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების შესრულების შესახებ დამკვეთის მითითებით.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთხსენებულ მისამართზე შემდეგი პირებისაგან:

**ქეთევან კაციტაძე,**
ტელ: **99 67 82;**
ელ. ფოსტა: **kkatsitadze@ Tbilisiwater.com**

სატენდერო კომისია

# ორჰან პამუკის გენოციდი

## ნობელის პრემიის ლაურეატს სამშობლოში არ აღიარებენ




ია ვეკუა

ორჰან პამუკი ნობელის პრემიის არსებობის ისტორიაში ალბათ ყველაზე ხმაურიანი სახელია. გარდა იმისა, რომ წლევანდელი ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა ლიტერატურის დარგში, მრავალი სასამართლო გარჩევისა და სკანდალის მონაწილეცაა. რაც მთავარია, ეს არის ადამიანი, რომელიც ყველაზე მეტად საკუთარ სამშობლოში სძულთ და დიდი ხანია მისთვის ცალკე საკანიც აქვთ გამზადებული.

მიუხედავად ამისა, ორჰან პამუკმა მაინც შეძლო ნობელის პრემიის კომისიის წევრთა გულების მოგება და სასურველ ჯილდოსთან ერთად 1,1 მილიონ დოლარსაც დაეპატრონა. პამუკმა პრემია მიიღო "საკუთარი მელანქოლიური ქალაქის ძიებისთვის" (როგორც ცნობილია, ის ძირითადად თავის მშობლიურ ქალაქზე - სტამბულზე წერს). რაც შეეხება წმინდა ლიტერატურულ დამსახურებებს, როგორც აღმოჩნდა, უკანასკნელი წლები მისთვის ძალიან ნაყოფიერი იყო: შარშან გამოსცა წიგნი "თეთრი ციხესიმაგრე", ორი წლით ადრე კი - "სტამბულური რომანი". 2002 წელი პამუკისთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა, რადგან ერთბაშად ორი ნაწარმოები შესთავაზა მკითხველს: "შავი წიგნი" და "თოვლი". როგორც ლიტერატურის კრიტიკოსები ირწმუნებიან, მის ნაწარმოებებში ღრმადაა გაანალიზებული აზიისა და ევროპის ურთიერთობა, ამ ორი სამყაროს ურთიერთობის ფონზე კი საინტერესოდ იშლება სიყვარულისა და ბოროტების თემები.

ორჰან პამუკს პოსტმოდერნიზმის მიმდევრად მიიჩნევენ. ის თურქეთსა და მთელ მსოფლიოში უდიდესი პოპულარობით სარგებლობს. მისი ნაწარმოებები 40 ენაზეა თარგმნილი და ასამდე ქვეყანაშია გამოცემული. ნობელის გარდა, უამრავ საერთაშორისო ლიტერატურულ პრემიას ფლობს. 1999 წელს ბრიტანულმა გაზეთმა Observer-მა პამუკი 21-ე საუკუნის 21 საუკეთესო მწერალს შორის მოიხსენია. 2003 წელს კი რომანისთვის "მე მქვია წითელი" დუბლინის ლიტერატურული პრემია დაიმსახურა. თუმცა ეს ყველაფერი მის ქვეყანაში არავის ახარებს, რადგან პამუკი დიდი ხანია საკუთარი ქვეყნის მოღალატედაა შერაცხული.

ორჰან პამუკი ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან თურქებს შორის, ვინც თურქეთის მიერ სომხების გენოციდს აღიარებს და საკუთარ სამშობლოს ქურთების დისკრიმინაციაშიც სდებს ბრალს. ამის გამო თურქეთის მთავრობამ მას სასამართლოშიც კი უჩივლა. კანონის თანახმად, საკუთარი ქვეყნის სახალხოდ შეურაცხყოფისთვის მწერალს 6-დან 36 თვემდე პატიმრობა ემუქრებოდა.

ამ სარჩელის საფუძვლად პამუკის მიერ შარშან ზამთარში შვეიცარიული გაზეთის Tages Anzeiger-ისთვის მიცემული ინტერვიუ იქცა. "მაშინ 30 ათასი ქურთი და მილიონამდე სომეხი დაიღუპა და ამის შესახებ ჩემს გარდა ვერავინ ბედავს ლაპარაკს!" - განაცხადა ინტერვიუში მწერალმა. სწორედ ამ სიტყვებმა გამოიწვია თურქეთის მთავრობის განრისხება, რომელიც, თავის მხრივ უკვე, თითქმის საუკუნეა უარყოფს, რომ 1915 წელს მილიონნახევარი სომხის გენოციდი განახორციელა.

ამ დღეებში თურქეთის მთავრობამ მორიგი სასამართლო პროცესი წამოიწყო, რომლითაც ორჰან პამუკის დაჯილდოებისთვის ნობელის პრემიის კომისიას უჩივის. თურქეთის ადვოკატთა კავშირის წარმომადგენლების განცხადებით, კომისია ნობელის პრემიის ლაურეატის ამორჩევისას პოლიტიკური მოტივებით მოქმედებდა. თურქეთის ადვოკატთა კავშირის წარმომადგენლების განცხადებით, ნობელის კომისიაზე სომხურმა დიასპორამ მოახდინა გავლენა. მათივე თქმით, სარჩელს შვედეთის სასამართლოში შეიტანენ. მანამდე კი შვედურ სამართალს შეისწავლიან და სარჩელს ამ ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობით მოამზადებენ.

ორჰან პამუკი დაიბადა 1952 წელს სტამბულში, საკმაოდ მდიდარ ოჯახში. მან სტამბულში არსებული ამერიკული Robert College დაამთავრა. ტექნიკურ უნივერსიტეტშიც სწავლობდა, თუმცა სამი წლის შემდეგ უნივერსიტეტი მიატოვა და მწერლობაზე დაიწყო ფიქრი. 80-იან წლებში ამერიკაში ცხოვრობდა. მწერალი ამ წლებს თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან პერიოდად მიიჩნევს, რადგან, მისივე თქმით, ბევრი რამ გადააფასა. მოგვიანებით პამუკი თურქეთში დაბრუნდა და აქტიურ მწერლობას მიჰყო ხელი.

P.S. საინტერესოა, რომ სწორედ იმ დღეს, როდესაც ორჰან პამუკს ნობელის პრემია გადასცეს, საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც სომხების გენოციდის უარყოფა სისხლის სამართლის დანაშაულია...

# მუზეუმის გადარჩენის სახელით

## ეროვნულმა მუზეუმმა და სმითსონიანის ინსტიტუტმა მემორანდუმი გააფორმეს

ია ვეკუა



საქართველოს ეროვნული მუზეუმი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საცავია, თუმცა მისი სტრუქტურა, ექსპონატთა შენახვის წესი და გარეგნული იერსახეც აშკარად სცილდება თანამედროვე კრიტერიუმებს. ამ სიტუაციის გამოსწორების მიზნით ორი წლის საქართველოს რვა მუზეუმი გაერთიანდა და ერთიან სტრუქტურად იქცა. გუშინ კი ეროვნულმა მუზეუმმა ამერიკის სმიტსონიანის ინსტიტუტთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა.

მემორანდუმს ხელი საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ, სმიტსონიანის პოლიტიკისა და ანალიზის ინსტიტუტის დირექტორმა ქეროლ ნევესიმ და სმიტსონიანის მუზეუმების კონსერვაციის ინსტიტუტის დირექტორმა რობერტ კოსტლერმა მოაწერეს.

თუმცა ჩვენს მუზეუმსა და სმიტსონიანის ინსტიტუტს შორის თანამშრომლობას გაცილებით ადრე, დაახლოებით ერთი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი. აღნიშნული პროექტი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ამერიკელმა ექსპერტებმა ჩაატარეს ორი სემინარი, რომელსაც თბილისისა და რეგიონების მუზეუმების 80-ზე მეტი თანამშრომელი ესწრებოდა.

ახალ მემორანდუმზე ხელის მოწერა საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და სმიტსონიანის ინსტიტუტის ურთიერთობების ახალ პარტნიორულ ურთიერთობებზე გადასვლის წინაპირობაა. მემორანდუმი შემდეგ კონკრეტულ მიმართულებებს ითვალისწინებს: ორ მხარეს შორის ჩატარდება ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, სმიტსონიანის ინსტიტუტის სპეციალისტების დახმარებით მოხდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაცია-კონსერვაცია. ასევე დაგეგმილია საგამოფენო საქმიანობა, სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული პუბლიკაციების მომზადება და პროფესიონალთა გაცვლითი პროგრამები.

ამ გეგმის უახლოესი პროექტია 2007 წელს საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანძურის, კოლხეთის ოქროს გამოფენა სმიტსონიანის ინსტიტუტის ფრირისა და სეკლერის გალერეაში. ჯერჯერობით არ არის ცნობილი არც გამოფენის ზუსტი თარიღი და არც ექსპონატთა ნუსხა. მუზეუმის წარმომადგენლები მხოლოდ იმას აცხადებენ, რომ გამოფენა ამერიკიდან ევროპის სხვა ქვეყნებში გადაინაცვლებს და მხოლოდ ორიგინალები გამოიფინება.

**დავით ლორთქიფანიძე**, ეროვნული მუზეუმის დირექტორი: "ამ პროექტზე დიდი ხნის განმავლობაში ვფიქრობდით და ვმუშაობდით. მოხარული ვარ, რომ საბოლოოდ ასეთ მნიშვნელოვან შეთანხმებამდე მივედით. ეს ყველაფერი პირველ რიგში საზოგადოებისთვის კეთდება. ვალდებულები ვართ, ჩვენი სიძველეები მომავალ თაობას საუკეთესო მდგომარეობაში შემოვუნახოთ."

**ჯონ ტეფტი**, აშშ-ს სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში: "პირველად თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლისთანავე დავით ლორთქიფანიძეს შევხვდი, რომელმაც კარგად გამაცნო საქართველოს ისტორია და მუზეუმებში დაცული საუნჯე. სმიტსონიანის ინსტიტუტი მთელ მსოფლიოშია ცნობილი, ამიტომ მოხარული ვარ, რომ ეს ურთიერთობა ამ მემორანდუმზე ხელის მოწერით უფრო გაღრმავდება."

სმიტსონიანის ინსტიტუტი ამერიკის შეერთებული შტატების უდიდესი სახელმწიფო მუზეუმებისა და სამეცნიერო ცენტრების გაერთიანებაა. იგი აერთიანებს 19 მუზეუმსა და 7 სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, მათ შორის ნაციონალურ ზოოპარკს და მოძრავ მუზეუმებს. სმიტსონიანში შემავალი მუზეუმების უმეტესობა ვაშინგტონის ცენტრში, კაპიტოლიუმის მიმდებარე ტერიტორიაზეა განთავსებული.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნული მუზეუმი რვა უდიდეს მუზეუმსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს აერთიანებს.

# ორიგინალური და ხარისხიანი

## სამხატვრო აკადემიამ ფეხსაცმელების გამოფენას უმასპინძლა

მზევინარ ხუციშვილი



გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი... წელიწადის ოთხივე დროს განურჩევლად სქესისა და ასაკისა ვფიქრობთ: როგორი სტილის ფეხსაცმელი შევიძინოთ? აუცილებლად უნდა იყოს გემოვნებიანი, ორიგინალური და რაც მთავარია ხარისხიანი.

სტილი - ორიგინალური, ფერი - არაერთგვაროვანი, ნაწარმი - ხარისხიანი... სწორედ ასე შეაფასა მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ, ფეხსაცმლის სალონ "სტილის" შემოქმედება სამხატვრო აკადემიაში, სადაც გუშინ მათი ფეხსაცმელების და სხვადასხვა აქსესუარების გამოფენა შემოგვთავაზეს სალონის ხელმძღვანელებმა.

სალონი წელიწადნახევარია არსებობს მაჩაბლის ქუჩა №4-ში და მისი მომხმარებელი ერთი წლის ასაკიდან თითქმის ყველა თაობაა, რადგან მათი თქმით, იქ ყველაზე ხარისხიან ფეხსაცმელს და აქსესუარებს სთავაზობენ. ამავე დროს ინდივიდუალური შეკვეთით. "ნაწარმი შესრულებულია ნატურალური მასალით და ხარისხიანი გარანტიით. თანაც პროფესიონალი დიზაინერი გვემსახურება".

სალონის ხელმძღვანელია პროფესიით ინგლისურის სპეციალისტი, ქალბატონი თამარ მესხი, ხოლო დიზაინერი - მეგი გაბუნია.

**თამარ მესხი:** "შეიძლება ითქვას, რომ ამ საქმიანობაში შემთხვევით აღმოვჩნდი. უბრალოდ მეუღლეს შესთავაზეს და მან მე. ყოველთვის მინდოდა რაღაც გამეკეთებინა და ამჟამად ისე ჩავერთე, რომ უკვე სხვა რამ ნაკლებად მაინტერესებს. თვითონ საქმიანობა მომეწონა, რადგან ძალინ შემოქმედებითია, ყოველდღე რაღაც ახალი და უცხოა. მითუმეტეს, როცა მომხმარებლის კმაყოფილ სახეს ვხედავ, ვგრძნობ, რომ რაღაცა ღირებულს ვაკეთებ. შემდგომში აღმოჩნდა, რომ თურმე გენეტიკურადაც მქონია. შემთხვევით გავიგე, რომ ბაბუაჩემს ჰქონდა ფეხსაცმლის საწარმო და გაჰქონდა საფრანგეთში. ახლა, როგორც მეუბნებიან, გენეტიკამ იყივლა. ამავე დროს ძალინ მინდა ისეთი ფასი გვქონდეს, რომელიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება, რადგან მიმაჩნია, რომ ადამიანს ნორმალური ფეხსაცმელი უნდა ეცვას, რისთვისაც სულაც არ არის აუცილებელი დიდი თანხა გადაიხადო. ჩემთვის მთავარია, რაც შეიძლება ბევრმა ადამიანმა ისიამოვნოს. თან ძალინ სახალისო და შემოქმედებითია."

**- რატომ შეარჩიეთ სამხატვრო აკადემია გამოფენისთვის?**

- ვფიქრობ, რომ რაღაც კავშირშია ერთმანეთთან. ეს არის ხელოვნება, რომლის საფუძვლები მოდის აკადემიიდან.

**- სამომავლო პერსპექტივები თუ გაქვთ?**

- უპირველეს ყოვლისა, გაფართოება, რასაკვირველია. ეს ჩემი პირველი მიზანია. ამავე დროს, რაც შეიძლება მეტ ადამიანს მოვემსახურო და კარგი პროდუქცია შევქმნა. რაც შეეხება შედეგს, ეს ჯერ კიდევ გამოფენის გახსნამდე დავინახე და იმედი მაქვს წარმატება კიდევ იქნება.

**მეგი გაბუნია:** "ჩვენთან ნატურალური ნაწარმია. ამავე დროს, რა თქმა უნდა, ყველა თაობის გემოვნება განსხვავდება და გვიწევს სხვადასხვა პროდუქციის შექმნა. რაც ჩემთვის, როგორც დიზაინერისთვის ძალინ საინტერესო და სასიამოვნოა."

გამოფენა დუტა სხირტლაძემ გახსნა. როგორც აღმოჩნდა, იგი თავად არის ამ სალონის მომხმარებელი. მან თავისი ჩვეულებრივი რეკლამის სახით გამოგვიცხადა: "ერთ-ერთ მოდელი, რომელიც აქ არის წარმოდგენილი, მხოლოდ მე და "ჯაფარას" გვაქვს, ჩვენ შევუკვეთეთ და ზუსტი ასლია 1911 წლის მოდელის. იგი ამერიკის ნაციონალურ მუზეუმშია დაცული. ასეთი საქართველოში მხოლოდ ორი ეგზემპლიარია. ამით დაიწყო ჩემი ურთიერთობა ამ სალონთან. გარდა იმისა, რომ ჩვენი მეგობრები არიან, ხარისხი გარანტირებულია."

**- რატომ მაინცდამაინც ეს სალონი, დღეს საქართველოში ხელით ბევრი კერავს?**

- უნდა ვაღიარო, რომ მე ფეხსაცმლის მომხმარებელი კი არ ვარ, არამედ გამფუჭებელი და მათ ფეხსაცმელს ვერაფერი მოვუხერხე. ასე რომ, ხელით შეკერილი ჯობია და განსაკუთრებით, ამ სალონში...


## ს.ს. "პროკრედიტბანკი" აცხადებს ტენდერს საკანცელარიო საქონლით ბანკის მომარაგებაზე

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შემოთავაზებები პრაის-ლისტის სახით, აუცილებლად მიუთითეთ ადგილზე მიტანის პირობები. შემოთავაზება მოგვაწოდეთ დალუქული კონვერტით შემდეგ მისამართზე:

**ს.ს. "პროკრედიტბანკი"**
**სათაო ოფისი**
**ადმინისტრაციული განყოფილება**
**დ. აღმაშენებლის 154.**
**თბილისი**
**ტელ: 202222**

განაცხადის შემოტანის ბოლო
ვადაა 2006 წლის 31 ოქტომბერი

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით**
**ელ. ფოსტაზე: m.gudushauri@procreditbank.ge**
**m.tabidze@procreditbank.ge**


*სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2006 წლის 27 სექტემბრის N213-ში ჩაის პლანტაციების ღრმა შპალერული ანუ დამადაბლებელი და ნახევრადმძიმე გასხვლის მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების*

## შ ე ს წ ო რ ე ბ ა

1. განცხადების მეოთხე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. დაინტერესებულმა პირებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები (დალუქული კონვერტებით, შესაბამისი აღნიშვნებით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 26 ოქტომბრიდან 27 ოქტომბრის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 414."

2. განცხადების მეშვიდე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"7. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ შეეძლებათ 28 სექტემბრიდან 25 ოქტომბრის 12 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა) შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N41, მე-4 სართული, ოთახები N413 და 414.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სატენდერო კომისია**

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება "სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური"-ის მიერ 2006 წლის 7 ოქტომბერს სურსათის ლაბორატორიული კვლევისათვის მომსახურების შესყიდვაზე გამოცხადებული სატენდერო განცხადებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

პრეტენდენტებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოუდგინონ დახურული კონვერტებით 2006 წლის 30 ოქტომბრის 1500 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილი ქ.N15ა III სართული.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 30 ოქტომბერს 1500 საათზე ზემოთ აღნიშნულ მისამართზე.





**ცნობილი სახალხო მკურნალი ანდრო სამხთუაშვილი იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".**

## ს ი ა ხ ლ ე !

## ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

**მის. ი. ჭავჭავაძის 78**

**დავით ტატიშვილის აღდგენითი**

**მედიცინის ცენტრი**
**ტელ: 293 -292**
**(899) 222 - 912**
**(893) 65 38 39**

24 საათი B
© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:




## - ფოსტა

*ყოველ სამშაბათს და პარასკევს, ყველას ვისაც სურვილი გაქვთ შეიტყოთ ყველაფერი საბანკო მომსახურების შესახებ, გამოგზავნეთ შეკითხვები თქვენთვის საინტერესო საბანკო თემებზე გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის N51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86 ; e-mail:ngotsadze@tbcbank.com.ge) და თქვენს შეკითხვებს უპასუხებენ თიბისი ბანკის ექსპერტები.*

B2

### გერმანელებს "იუკოსის" შეძენა სურთ

გერმანული საინვესტიციო Deutsche Bank-ი რუსული ნავთობკომპანია "იუკოსის" საკონტროლო პაკეტის შეძენასა და ვალის გამოსყიდვას აპირებს. აღსანიშნავია, რომ Deutsche Bank-ს რუსულ კომპანიებთან ურთიერთობის გვარიანი გამოცდილება აქვს, კერძოდ, 2004 წლიდან იგი "გაზპრომის" ოფიციალური სტრატეგიული კონსულტანტია. აქედან გამომდინარე, ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, რომ "იუკოსის" ხელში ჩაგდების სურვილი სწორედ გერმანული ბანკისა და რუსული გიგანტის ურთიერთობით იყოს განპირობებული.

ამ დროისათვის "იუკოსის" დავალიანება 311,7 მილიარდ რუბლს (11,6 მილიარდი დოლარი) შეადგენს, ხოლო ცნობილი ხოდორკოვსკის პირმშოს საკონტროლო პაკეტი 259 მილიარდ რუბლად (9,6 მილიარდი დოლარი) გახლავთ შეფასებული. ასე რომ, Deutsche Bank-ს სურვილის განსახორციელებლად დაახლოებით 21,2 მილიარდი დოლარის გადახდა მოუწევს.




### "ნისან ქაშქაი" - გლობალიზაციის ფრანგულ-იაპონური ნიმუში

B2

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3113 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9942 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4747 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7435 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8140 |
| 1 | ბულგარული ლევი | BGL | 1,1196 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2938 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3043 |
| 1 | ევრო | EUR | 2,1895 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,3997 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3353 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1852 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1463 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2445 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1892 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2553 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4109 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5390 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1078 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,3287 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3168 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2588 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5628 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6245 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0647 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1015 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4555 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5150 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4162 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4668 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8242 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0297 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1365 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4452 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2363 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3747 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0776 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2207 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2238 |




# დარგობრივი კომიტეტი 2007 წლის ბიუჯეტს იწუნებს

## დეპუტატებმა ბიუჯეტის პროექტის განხილვა დაიწყეს

მარიამ ჯაჭვაძე

*შემცირებული პროგრამები, დაუსაბუთებელი დეფიციტი და ნაკლებად პროგრესული - ძირითადად, ეს არის ის ხარვეზები, რომელიც პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა მომავალი წლის ბიუჯეტის კანონპროექტში დააფიქსირა. ბიუჯეტის პროექტის მთავარი ავტორი - ფინანსთა სამინისტრო შენიშვნების უმრავლესობას არ იზიარებს.*

- **როგორც დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის წევრები ამბობენ, ამ სახით 2007 წლის ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერენ.**
- **კომიტეტის თავმჯდომარე მომავალი წლის ბიუჯეტს, წლევანდელთან შედარებით, სრულყოფილს უწოდებს, თუმცა დასძენს, რომ მასში სერიოზული და არსებითი ცვლილებებია შესატანი.**
- **საერთო ჯამში, ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები იგეგმება 3.444.350 ლარის ოდენობით, რაც 94.456 ათასი ლარით ნაკლებია წლევანდელი წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან შედარებით.**



B2

# მიგრაცია - საშიში თუ სასარგებლო?

ამბროსი გრიშიკაშვილი
*კრაკოვიდან*

*მიგრაციული პროცესები პოლონეთისათვის არასოდეს ყოფილა უცხო. პოლონელები სოციალისტურ ბანაკში ყოფნის დროსაც გადიოდნენ საზღვარგარეთ საცხოვრებლად თუ სამუშაოდ. მაგრამ ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც ამ ქვეყანაში ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესები დაიწყო, უმუშევრობამ აქამდე არნახულ მასშტაბებს, თითქმის 20 პროცენტს მიაღწია. ამან მრავალ პოლონელს უბიძგა უცხოეთში ბედისა და სამუშაოს საძებნელად წასულიყო. პოლონელთა მიგრაციამ ბოლო დროს მაინც არნახული სახე მიიღო. ქვეყანაში განსაკუთრებით ინტენსიური მიგრაციული პროცესები ქვეყნის ევროკავშირში შესვლას მოჰყვა (2004 წლის 1 მაისი), რადგან ახლა უფრო ადვილი გახდა უცხოეთში, ძირითადად მაინც, დასავლეთ ევროპაში, სამუშაოდ (საცხოვრებლად, სასწავლებლად) წასვლა. როგორც აქაური პრესა წერს, ბოლო წლებში ქვეყანა თითქმის 2 მილიონამდე ადამიანმა დატოვა. მხოლოდ დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში სამუშაოდ თითქმის მილიონამდე ადამიანია ჩასული (გაზეთები არც იმას მალავენ, რომ იქ ჩასულ ყოველ მეათე პოლონელს ხიდქვეშ უხდება ღამის გათევა, რადგან მათ ჯერჯერობით ვერც სამუშაო უპოვიათ და არც ბინის დაქირავების საშუალება აქვთ).*



B4

# "ექსქსონ მობილის" ინდონეზიური გეგმები

მერაბ ლორთქიფანიძე

*ამერიკული ნავთობგიგანტი "ექსქსონ მობილი" მომდევნო სამ წელიწადში ინდონეზიის ოფშორულ ზონაში სამი საძიებო ჭაბურღილის ამოქმედებას გეგმავს. ამერიკულ კომპანიას ინდონეზიის მთავრობასთან კონტრაქტი აქვს გაფორმებული, რომლის მიხედვითაც, "ექსქსონ მობილს" უფლება აქვს, ქვეყნის ოფშორულ ზონაში, რომელიც სურუმანას ბლოკის სახელითაა ცნობილი, 5 339 კვადრატული კილომეტრის ფართის ტერიტორია გამოიკვლიოს.*
*"ექსქსონ მობილის" ინდონეზიური განყოფილების ვიცე პრეზიდენტ მამან ბუდიმანის თქმით, სურუმანას ბლოკის" წიაღი ნავთობის შემცველია, თუმცა რა რაოდენობის შავი ოქრო ინახება მის ბუნებრივ საცავებში, ამაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია.*

**"ექსქსონ მობილს" ეკუთვნის ინდონეზიაში გაზის ყველაზე დიდი საბადო ნატუნა, რომლის დაზვერილი მოცულობა რამდენიმე მილიარდი კუბური მეტრია, თუმცა აქედან ნახევარზე ოდნავ ნაკლების (დაახლოებით 46 პროცენტი) მოპოვებაა შესაძლებელი. დანარჩენი გაზის მოპოვება კი კომერციულად გაუმართლებელია, რადგან მისი დამუშავება უსაშველოდ დიდ კაპიტალდაბანდებას მოითხოვს და მოპოვებული გაზიც არარენტაბელური იქნება.**



B3



*ყოველ სამშაბათს და პარასკევს, ყველას ვისაც სურვილი გაქვთ შეიტყოთ ყველაფერი საბანკო მომსახურების შესახებ, გამოგზავნეთ შეკითხვები თქვენთვის საინტერესო საბანკო თემებზე გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის N51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86 ; e-mail:ngotsadze@tbcbank.com.ge) და თქვენს შეკითხვებს უპასუხებენ თიბისი ბანკის ექსპერტები.*

## თიბისი - ფოსტა

***ერთ-ერთ გაზეთში წავიკითხე სტატია, სადაც ამბობდნენ, რომ სტუდენტური სესხების აღება რეალურად ძალიან რთულია. მაინტერესებს რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს და რა პირობებით გასცემს სტუდენტურ სესხებს თიბისი ბანკი?***



**ლელა ჭინჭარაული, თიბისი ბანკის საცალო საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების უფროსი:**

სიამოვნებით გაგაცნობთ სუდენტური სესხების პირობებს თიბისი ბანკში და დასკვნები თავად გააკეთეთ, თუ რამდენად რთული ან მარტივია ამ ტიპის სესხის აღება.

თიბისი ბანკი სტუდენტურ სესხებს საკმაოდ შეღავათიანი პირობებით გასცემს. გარდა იმისა, რომ წლიური საპროცენტო განაკვეთი ძალიან დაბალია და 14%-ს შეადგენს, სესხი გაიცემა უმოკლეს დროში ხდება და მსესხებელს ბანკი გადასცემს საჩუქრების პაკეტს - ვიზა ჩიპურ ელექტრონ ბარათს და ინტერნეტ ბანკით უფასო სარგებლობას.

სტუდენტებისთვის, რომლებმაც მიიღეს სახელმწიფო გრანტი 100%-ით ან 70%-ით (ანუ პირველი და მეორე კატეგორიის სტუდენტებისათვის) თიბისი ბანკი არანაირ კრიტერიუმს არ აწესებს. ისინი მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე მიიღებენ სესხებს.

სტუდენტებისათვის, რომლებმაც მიიღეს სახელმწიფო დაფინანსება 50%-ით ან 30%-ით (ანუ მესამე და მეოთხე კატეგორიის სტუდენტებისათვის) ბანკი დამატებით ითხოვს მათი მშობლების ან და-ძმის შემოსავლის არსებობას. ეს შემოსავალი უნდა შეადგენდეს მინიმუმ თვეში 300 ლარს. მათთვის, ვისაც ხელფასი თიბისი ბანკში ერიცხებათ, საკმარისია 200 ლარიანი ხელფასის არსებობა.

ვინც საერთოდ ვერ მიიღეს სახელმწიფო გრანტი, სტუდენტურ სესხებს ისინიც მიიღებენ, ოღონდ მათი სწავლის დასაფინანსებლად სესხი მშობლებმა ან ოჯახის სხვა წევრებმა უნდა აიღონ და მსესხებლის მინიმალური ხელფასი უნდა შეადგენდეს 600 ლარს.

გარდა ამისა, თიბისი ბანკი განსაკუთრებით შეღავათიანი პირობებით აკრედიტებს იმ სტუდენტებს, რომლებმაც მიიღეს სახელმწიფოსგან 100% და 70%-იანი დაფინანსება და სწავლის გაგრძელებას აპირებენ სასწავლებელში, სადაც სწავლის ღირებულება აღემატება წელიწადში 1500 ლარს. (მაგ. ESM-თბილისი, კავკასიის ბიზნეს-სკოლა და სხვა).

ასეთ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ დაიწყონ სესხის ძირითადი თანხის დაფარვა სწავლის დასრულებიდან 6 თვის შემდეგ და ბოლომდე დაფარონ სესხი სწავლის დასრულებიდან 66 თვის შემდეგ. ამასთან, პროცენტის დაფარვა ყოველთვიურად უნდა მოხდეს.

4-წლიანი სწავლის პირობებში სესხი გაიცემა ეტაპობრივად, წელიწადში ერთხელ. ასეთი სესხის გრაფიკი საგანგებოდ იქნა შექმნილი იმისათვის, რომ სტუდენტის მიერ ყოველთვიურად გადასახდელი თანხა მინიმალური იყოს. ყოველი მომდევნო წელს სესხის გაცემა მოხდება მომენტალურად, სესხის დამტკიცების დამატებითი პროცედურის გარეშე. ამისათვის სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მომდევნო კურსზე გადასვლის დამადასტურებელი საბუთი.

რაც შეეხება სესხის აღების სირთულეს თიბისი ბანკში ეს პროცესი მაქსიმალურად გამარტივებულია და სტუდენტები, რომლებმაც მიიღეს სახელმწიფო გრანტი, სესხს განაცხადის შევსების დღესვე, დაახლოებით 1 საათის განმავლობაში მიიღებენ. თანამსესხებლის შემოსავლების გადამოწმების აუცილებლობის შემთხვევაში, სესხის გაცემა მოხდება განაცხადის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 2-3 სამუშაო დღისა.

***რა ასაკიდან შეიძლება გავუხსნა ჩემ შვილს საბავშვო ანაბარი? როგორია ამ ანაბრის პირობები და აუცილებელია თუ არა თანხის ყოველთვიური დამატება?***



**ვაჟა ბერიაშვილი, თიბისი ბანკის პროდუქტების განვითარების განყოფილების უფროსი:**

საბავშვო ანაბრის გახსნა შესაძლებელია ბავშვის დაბადებისთანავე. ანაბრის გახსნისთვის თქვენ უნდა შეიტანოთ მინიმალური პირველადი თანხა 50 ლარი/დოლარი/ევროს ოდენობით. თუ ბავშვის დაბადების მოწმობა ბანკში ვიზიტისას არ აღმოგაჩნდათ, არაფერია - საბავშვო ანაბრის გახსნა თავდაპირველად ამ საბუთის გარეშეც შეგიძლიათ, თუმცა 1 თვის განმავლობაში იგი ბანკში უნდა წარმოადგინოთ.

ანაბრის გახსნის დღიდან თქვენ იწყებთ ფულის შეგროვებას თქვენი შვილისათვის. იმ დროისთვის, როცა იგი სრულწლოვანი გახდება, მის ანგარიშზე უკვე იქნება თანხა, რომელიც მნიშვნელოვან შეღავათს შეგიქმნით მისი სწავლისა თუ სხვა ხარჯების დაფინანსებაში, რადგან მაღალი წლიური საპროცენტო განაკვეთის დარიცხვით, ეს თანხა ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზრდება.

თქვენ შეგიძლიათ ანაბარზე დაამატოთ თანხა ყოველთვიურად ან სხვა ნებისმიერი პერიოდულობით. შენატანი მინიმუმ 50 ლარი/დოლარი/ევროს უნდა შეადგენდეს.

თუ თქვენ უკვე თიბისი ბანკის კლიენტი ბრძანდებით, თქვენთვის ძალიან მოსახერხებელია, ბანკს მისცეთ დავალება, რომ თქვენი სახელფასო ან სხვა ანგარიშიდან საბავშვო ანაბარზე თანხა ავტომატურად გადარიცხოს. ამ შემთხვევაში ყოველთვიური შენატანის მინიმუმი განსაზღვრული არ არის.

საბავშვო ანაბრის ვადაა 2 წლიდან ბავშვის სრულწლოვანებამდე. იმ შემთხვევაში , თუ თქვენ ყოველთვიურად შეიტანთ თანხას დეპოზიტზე, თქვენ დაგერიცხებათ:

ლარის ანაბარზე - 11.5%,
დოლარის ანაბარზე - 9.5%,
ევროს ანაბარზე - 8.5%.

სხვა პერიოდულობით დაგერიცხებათ არსებულ საპროცენტო განაკვეთზე 0.5%-ით ნაკლები.

***როგორ ვისარგებლოთ ავტომატური კომუნალური გადასახადების პროგრამით და რა გადასახადების გადახდაა შესაძლებელი ამ პროგრამის ფარგლებში?***



**ვახტანგ ჯავახიშვილი, პროდუქტების განვითარების მენეჯერი:**

ავტომატური კომუნალური გადასახადების პროგრამით სარგებლობისთვის ერთადერთი აუცილებელი პირობაა, გქონდეთ თიბისი ბანკში ანგარიში და ამ ანგარიშზე გადარიცხვების განსახორციელებლად საკმარისი თანხა.

სერვისზე დასარეგისტრირებლად თქვენ შეგიძლიათ შეავსოთ განაცხადი თიბისი ბანკის ვებ-გვერდზე, ან მიმართოთ ბანკის ნებისმიერ ფილიალს, სადაც შეავსებთ სპეციალურ განაცხადს.. ამის შემდეგ ბანკი აიღებს პასუხისმგებლობას და თქვენს ნაცვლად გადაიხდის გადასახადებს შემდეგ კომპანიებში: თელასი; ყაზტრანსგაზ-თბილისი, თბილწყალკანალი, დასუფთავების სამსახური; საქართველოს ელექტროკავშირი; აიეტი TV; ჯორჯია ონლაინი; სანეტი; კავკაზუს ნეთვორკი; ახალი ქსელები; ახტელი; საქართველოს ტელეკომი; გლობალ ერთი და ჯიპიაი ჰოლდინგი.

ერთადერთი, რისი უზრუნველყოფაც თქვენ მოგეთხოვებათ, არის ანგარიშზე საკმარისი თანხის არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი ვერ შეძლებს თქვენი დავალიანების დაფარვას.

ავტომატური კომუნალური გადასახადების გადარიცხვა ხორციელდება ორი სახით:

1) ყოველთვიურად ხდება ერთი და იგივე თანხების გადარიცხვა - ეს მაშინ, როცა კომპანიას აქვს ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადი. ამ შემთხვევაში მომხმარებელს შეუძლია მიუთითოს არა მხოლოდ ყოველთვიურად გადასარიცხი თანხა, არამედ გადარიცხვის თარიღი და პერიოდიც, რომლის განმავლობაშიც ბანკი შეასრულებს მის დავალებას.

2) გადასახადის ოდენობა ყოველთვიურად სხვადასხვაა - ასეთ შემთხვევაში ბანკი უშუალოდ კომუნალური კომპანიისგან იღებს ელექტრონულ ქვითარს, რომელშიც აღნიშნულია გადასახდელი თანხა, და მხოლოდ ამის შემდეგ გადარიცხავს შესაბამის თანხას.

***სასწრაფოდ მესაჭიროება ოპერაცია, რომელიც ჯდება 6.000 დოლარი. ანგარიში მაქვს გახსნილი თიბისი ბანკში და ველოდები ფულის ჩარიცხვას საზღვარგარეთიდან. მაინტერესებს, ზუსტად რამდენი უნდა ჩამერიცხოს ანგარიშზე, რომ ჩემს მიერ ხელზე აღებულმა თანხამ სრულად შეადგინოს ეს ოდენობა?***



**ლიკა გუგეშაშვილი, მარჯანიშვილის ფილიალის ფიზიკური პირების მომსახურე ჯგუფის უფროსი:**

თიბისი ბანკში ანგარიშის მქონე კლიენტებისთვის, ანგარიშიდან ნაღდი ფულის გატანის ტარიფები შეადგენს: ლარებში - 0,2%-ს, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 0,6%-ს (50.000-ზე ნაკლები თანხის შემთხვევაში) ან 0,5%-ს (50.000-ის ან მეტი თანხის შემთხვევაში - 0.5%).

ეს იმას ნიშნავს, რომ 1.000 ლარის გატანისას ბანკის საკომისიოს სახით ჩამოგეჭრებათ 2 ლარი, ხოლო 1.000 დოლარის გატანისას - 6 დოლარი.

რაც შეეხება თქვენს კონკრეტულ შემთხვევას, თუ გსურთ, რომ ანგარიშიდან გაიტანოთ სრული 6.000 დოლარის ოდენობის თანხა, მაშინ ანგარიშზე ჩარიცხული თანხა უნდა შეადგენდეს 6.036 დოლარს, რადგან ამ შემთხვევაში ანგარიშიდან მთელი თანხის გატანის (განულების) საკომისიო იქნება 36 დოლარი.

# "ნისან ქაშქაი" - გლობალიზაციის ფრანგულ-იაპონური ნიმუში

მერაბ ლორთქიფანიძე




პარიზში, იაპონურმა კომპანია "ნისანმა" მსოფლიოს საზოგადოებრიობას პირველად წარუდგინა თავისი უგზოობის ახალი ავტომობილი, რომელიც ფრანგულ პლატფორმაზეა ბაზირებული. ავტომობილს, რომელსაც ბრიტანული ქარხანა გამოუშვებს, ერთ-ერთი უძველესი ირანული მომთაბარე ტომის სახელი ჰქვია.

გაიცანით - ავტომობილი "ნისან ქაშქაი", ის "რენო მეგანის" პლატფორმაზეა ბაზირებული და მას სანდერლენდის ქარხანა გამოუშვებს. იაპონური კომპანია იმედოვნებს, რომ მერმისიდან წლიურად ევროპაში მინიმუმ 100 000 ცალ "ქაშკაის" რეალიზებას შეძლებს.

ავტომობილი განკუთვნილია იმ მყიდველებისთვის, რომლებსაც უგზოობის ავტომობილის შეძენა სურთ, მაგრამ იმავდროულად, არ უნდათ, რომ ამის გამო, საწვავის შევსების მუდმივი პრობლემა ჰქონდეთ. "ნისანის" დებიუტანტი სწორედ ასეთია - მას ოთხივე წამყვანი ბორბალი აქვს, შესანიშნავი დიზაინით გამოირჩევა და არც ეკონომიურობასთანაა მწყრალად.

პირველ რიგში, "ქაშკაი" ევროპისთვისაა განკუთვნილი, თუმცა მალე მას მწარმოებელი იაპონიაშიც შეიტანს, სადაც იქ სხვა სახელით (დუალისი) გაჰყიდის. იაპონიის შემდეგ კი ეს სიმპატიური ავტომობილი მსოფლიოს სხვა ბაზრებსაც ეწვევა. ოღონდ, სხვა ბაზრებში არ იგულისხმება აშშ, სადაც ავტომოყვარულები მცირელიტრაჟიანი ძრავებით აღჭურვილ ავტომობილებს (ყველაზე მძლავრი ძრავი, რომლითაც "ქაშკაი" აღიჭურვება, ორლიტრიანი, ოთხცილინდრიანია, რომლის სიმძლავრე 147 ცხენის ძალაა) არ სწყალობენ.

"ნისანის" მარკეტოლოგები "ქაშკაის" ქროსოვერების კლასს მიაკუთვნებენ. სახურავის უკან ოდნავი დახრითა და უკანა საყრდენის თავისებური მოყვანილობით, ის "ნისან მურანოს" ჰგავს. ავტომობილს სპორტული იერი აქვს, თუმცა კლირენსი და ქვედა ნაწილი უგზოობის ავტომობილებისადმი კუთვნილებას ადასტურებს.

გაბარიტების მიხედვით, "ქაშკაი" ევროპული სტანდარტებით C-სეგმენტის ჰეჩბეკების კლასს შეესაბამება. ეს ის სეგმენტია, რომელშიც მსოფლიოს ბაზარზე წამყვანი პოზიციები უკავიათ "ფოლკსვაგენ გოლფსა" და "რენო მეგანს". "ქაშკაის" გაბარიტებია: სიგრძე 4.310 მეტრი, სიგანე 1.780 მეტრი, სიმაღლე 1.610 მეტრი და ბორბლებს შორის ბაზა - 2.630 მეტრი. მწარმოებელი მყიდველს ოთხი სხვადასხვა ძრავით აღჭურვილ "ქაშკაის" შესთავაზებს. აქედან ორი დიზელისაა და ორიც - ბენზინისა.

"ნისანის" და მისი მფლობელი "რენოს" მთავარი აღმასრულებელი კარლოს გოსნი იმედოვნებს, რომ ახალი ავტომობილის მეშვეობით, მნიშვნელოვნად გაიზრდება "ნისანის" გაყიდვები: "ჩვენი ახალი ავტომობილი კარგად ივლის როგორც უგზოობაში, ასევე საქალაქო გზებზეც, მაგრამ უგზოობის სხვა მოდელებისგან განსხვავებით, ის აგრესიული გარეგნობითაც არ შეგაშინებთ. ვიმედოვნებთ, რომ ევროპაში წლიურად მინიმუმ 100 000 ცალ "ქაშკაის" გაყიდვას შევძლებთ და მყიდველთა 80 პროცენტი პირველად შეიძენს ავტომობილს, რომელსაც კაპოტზე "ნისანის" მარკა აქვს".

პარიზის ავტოშოუზე ავტომობილის წარდგენისას, გოსნმა განაცხადა, რომ "ქაშკაი" ორი კომპანიის, "რენოსა" და "ნისანის" პარტნიორობის შესანიშნავი ნიმუშია. მას არაფერი უთქვამს ავტომობილის ღირებულებაზე, თუმცა ფრანგულ პრესაში გავრცელებული ცნობით, "ქაშკაის" ღირებულება 20 000-30 000 ევროს ფარგლებში იქნება (კომპლექტაციის მიხედვით).

საავტომობილო ანალიტიკოსების უმეტესობა თვლის, რომ "ქაშკაის" ბაზარზე ხელსაყრელი სიტუაცია ხვდება - საშუალო ზომის და კომპაქტური უგზოობის მოდელებზე ევროპასა და მთელს მსოფლიოში მოთხოვნილების სწრაფი ზრდა შეინიშნება, რამაც "ნისანის" ახალი მოდელის წარმატება უნდა უზრუნველყოს.

პარიზშივე გოსნმა გამოაცხადა, რომ მომდევნო 18 თვის განმავლობაში "ნისანი" ბაზარზე გამოუშვებს 21 ახალ ავტომობილს, რამაც ევროპულ ბაზარზე კომპანიის გაყიდვების გაუმჯობესება უნდა გამოიწვიოს.

# "დოჯი" ევროპისთვის "კალიბერის" წარმოებას ვერ აუდის



"დაიმლერკრაისლერის" ამერიკულმა შვილობილმა კომპანია "დოჯმა" თავის ახალ მოდელ "კალიბერის" ევროპაში გაყიდვა ივნისში დაიწყო და უკვე მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ რიგ ქვეყნებში "დოჯი" ვერ აუდის "კალიბერზე" შეკვეთების შესრულებას. საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთი ქვეყნის მყიდველს, სასურველი ავტომობილის მისაღებად, ნახევარი წელი მოუწევს ლოდინი.

"ჩვენ ვერ გავითვალისწინეთ, რომ "კალიბერზე" ასეთი მოთხოვნა შეიძლებოდა ყოფილიყო," - ამბობს "კრაისლერის" ჯგუფის (კრაისლერის ჯგუფში გაერთიანებულია საკუთრივ კრაისლერი, დოჯი და ჯიპი) საერთაშორისო გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორი თომას ჰოიში და იმედოვნებს, რომ საწარმოო რეზერვების ამოქმედების მეშვეობით, შესაძლებელი გახდება მოთხოვნის დაკმაყოფილება.

იმაში, რომ "კრაისლერი" მოუმზადებელი დახვდა "კალიბერზე" არნახულად დიდ მოთხოვნას, გასაკვირი არაფერია - ამ ავტომობილის ევროპული დებიუტის წინ, ბევრი სპეციალისტი დარწმუნებით ამბობდა, რომ ამ ავტომობილს ევროპა ცივად შეხვდებოდა, რადგან "დოჯის" ტიპიური დიზაინი ძველი კონტინენტის მყიდველთა გემოვნებას სრულებით არ შეესაბამება.

ევროპულ ბაზარზე გამოჩენიდან პირველ სამ თვეში "დოჯმა" დასავლეთ ევროპაში უკვე 3 238 ცალი "კალიბერი" გაყიდა. ერთი შეხედვით, ეს არანაირად არ უნდა ჩაითვალოს შთამბეჭდავ მაჩვენებლად, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ამერიკული ბრენდით შარშან იმავე ბაზარზე მხოლოდ 311 ცალი ავტომობილი გაიყიდა, მაშინ პროგრესი აშკარად შესამჩნევი იქნება.

გარდა იმისა, რომ "კალიბერი" მეტად წარმატებული მოდელია, მასზე დიდი მოთხოვნა უზრუნველყო იმ ფაქტმაც, რომ "კრაისლერმა" ევროპულ ბაზარს თავისი ახალი მოდელის დაბალი ფასებით შეუტია. თანაც, მყიდველს ახალ ავტომობილს "კრაისლერის" და "ჯიპის" ყველა ევროპული სადილერო პუნქტი სთავაზობს. რაც შეეხება ფასს, გერმანიაში "დოჯ კალიბერის" საბაზო ღირებულება 14 990 ევროა.

"კრაისლერის" ერთი-ერთი პარიზელი დილერი აცხადებს, რომ სამ თვეში მხოლოდ ოთხი ცალი "კალიბერი" გაყიდა, რიგში კი უამრავი კლიენტი დგას. პრობლემა ისაა, რომ მიწოდება ძალიან იგვიანებს. როგორც ექსპერტები ვარაუდობენ, მსგავსი სიტუაციაა მოსალოდნელი მერმისაც.

"კრაისლერი" იმედოვნებს, რომ "დოჯის" ბრენდის მეშვეობით მნიშვნელოვნად გაზრდის თავის ევროპულ გაყიდვებს. ამერიკულ კომპანიას ევროპულ ბაზარზე თავისი წილის გაორმაგება სურს. კონკრეტულად კი, დაგეგმილია 2009 წლისთვის ამ წილის 1,4 პროცენტამდე გაზრდა, რაც დაახლოებით 200 000 ცალი ავტომობილია.

შარშან "კრაისლერმა" ევროპაში 92 951 ცალი ავტომობილის გაყიდვა შეძლო, რაც წინა წლის 97 551-ზე ნაკლებია. ჰოიშის თქმით, წელს გაყიდვების ზრდა პრაქტიკულად გარანტირებულია. უფრო მეტიც, მოსალოდნელია, რომ ზრდა ორციფრა პროცენტული მაჩვენებლით გამოისახება. ჰოიშის ვარაუდს წლის პირველი ნახევრის სტატისტიკური მაჩვენებლებიც ადასტურებს. კერძოდ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, გაყიდვების 14,5-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. გაყიდვების ზრდის ამაზე უკეთესი მონაცემები აქვთ მხოლოდ იტალიურ "ფიატს" (+26.1) და შვედურ "სააბს" (+24.4). ბაზარზე "კალიბერის" გამოჩენა ამ მაჩვენებელს კიდევ უფრო გააუმჯობესებს. მომავალში კი ამერიკელები აღებულ ტემპს ახალი ავტომობილებისა და დიზელის ძრავების დამატებით შეინარჩუნებენ.

## "ცენტრ-პოინტი" რუსეთიდან დეპორტირებულ ქართველებს შეღავათებს სთავაზობს

"ცენტრ-პოინტ ჯგუფი" რუსეთიდან დეპორტირებულ ქართველებს საცხოვრებელ და კომერციულ ფართებს 3-10%-იანი ექსკლუზიური ფასდაკლებით სთავაზობს.

"ბოლო დროს საქართველოს გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა მრავალი ჩვენი თანამემამულე აიძულა, სამშობლოში დაბრუნებულიყო. ამასთან დაკავშირებით, ქვეყანაში ყველა პირობა იქმნება დაბრუნებული მოქალაქეებისთვის. "ცენტრ-პოინტ ჯგუფმაც" გადაწყვიტა, ამ პროცესში თავისი წვლილი შეიტანოს," - აცხადებენ სამშენებლო კომპანიაში.

აღსანიშნავია, რომ ბენეფიციარები ფასდაკლებით 2006 წლის 31 დეკემბრამდე ისარგებლებენ. ახალ ინიციატივასთან დაკავშირებით "ცენტრ-პონტი" დღეს, 18.00 საათზე პრესკონფერენციას გამართავს. **ინტერპრესნიუსი**

## საქართველოდან რუსეთში ბამბუკის ავეჯის გატანა შეჩერდა

რუსეთ-საქართველოსთან დაძაბული ურთიერთობის ფონზე, რუსეთში ბამბუკის ავეჯის ექსპორტი შეჩერებულია, - ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენს" ბათუმის სს "ბათუმის საავეჯო-ბამბუკის ფაბრიკის" გენერალურმა დირექტორმა რობერტ გველესიანმა აცნობა. როგორც გველესიანი განმარტავს, ექსპორტი, ძირითადად, თურქეთში, სომხეთსა და უკრაინასთან ხორციელდება. თუმცა, მოლაპარაკებები სხვა ქვეყნებთანაც მიმდინარეობს.

**"მეზობელ ქვეყნებთან უკვე დაგეგმილია რამდენიმე პროექტი, რომლის მიხედვითაც წარმოების ექსპორტის არეალიც შესამჩნევად გაიზრდება. წელს კი სს "ბათუმის საავეჯო-ბამბუკის ფაბრიკა" რამდენიმე ქვეყანასთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას აპირებს,"** - აცხადებს გველესიანი. მისივე განმარტებით, წარმოებისათვის საწარმო დიდი რაოდენობის ბამბუკს იყენებს. ბამბუკი, ძირითადად, აჭარასა და გურიაში იზრდება.

საწარმოს ბამბუკის საკუთარი პლანტაციები გააჩნია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ბათუმის "გემთსაშენი ქარხანა" "შავ ზვიგენზე" მუშაობს

ბათუმის სს "გემთსაშენი ქარხანა" წელს 10 კატარღას გამოუშვებს. კატარღებს, სახელწოდებით "შავი ზვიგენი", თავდაცვის სამინისტრო შეიძენს. ბათუმის სს "გემთსაშენი ქარხნის" კომერციული დირექტორის აივენგო რუსიძის ინფორმაციით, თავდაცვის სამინისტროსთან შესაბამისი ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია. ერთი ცალი "შავი ზვიგენი" 150 ათასი დოლარი ეღირება.

ქარხანაში განმარტავენ იმასაც, რომ წელს ბათუმის გემთმშენებელი ქარხანა ერთ სამხედრო კატარღასაც გამოუშვებს. კატარღა ამერიკული მხარის დაკვეთით მზადდება.

"სამხედრო კატარღა ამერიკული მხარის დაკვეთით მზადდება და იგი, ამერიკელებისვე ინიციატივით, სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის სამსახურს გადაეცემა," - განუცხადა სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" ბათუმის სს "გემთსაშენი ქარხანის" კომერციულმა დირექტორმა აივენგო რუსიძემ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველო ირანთან ინტენსიურ მოლაპარაკებებს იწყებს

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური 21 ოქტომბერს თეირანში გაემგზავრება. დაგეგმილია შეხვედრა ირანის სათბობ-ენერგეტიკის მინისტრთან, რომლის ძირითადი თემა ირანიდან გაზის გარკვეული მოცულობის მიღების შესახებ დეტალების დაზუსტება გახლავთ.

როგორც ენერგეტიკის სამინისტროში განმარტავენ, შეთანხმება ირანსა და საქართველოს შორის უკვე მიღწეულია. ირანულ მხარესთან მხოლოდ ტექნიკური დეტალებია დასაზუსტებელი. შეგახსენებთ, რომ ირანული გაზი საქართველოში აზერბაიჯანიდან მოხვდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამერიკული საავიაციო კომპანია ერთ-ერთ პარტნიორად საქართველოს ირჩევს

"AIRKRAFT INVESTOR RECOURSES" მფლობელმა და აღმასრულებელმა დირექტორმა რიკ შრამეკმა, საქმიანი პარტნიორობის ფარგლებში, ქართულ ავიასაწარმო "თბილავიამშენთან" ხელშეკრულება გააფორმა.

კომპანიის დამფუძნებლის რიკ შრამეკის განცხადებით, "თბილავიამშენში" სპეციალურად მომზადებულ ინჟინერთა ჯგუფი იმუშავებს, რომლებიც სერტიფიცირებული, ერთძრავიანი ტურბოპროპელერიანი თვითმფრინავის "EPIK LT"-ისთვის საჭირო დეტალებს დაამზადებენ. "თბილავიამშენის" ახალი პარტნიორის სათაო ოფისი ლას-ვეგასში მდებარეობს. **ინტერპრესნიუსი**

## მსოფლიო ბანკი საქართველოს 20 მილიონ აშშ დოლარს გამოუყოფს

მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს, საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა და მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა საქართველოში როი საუთვორთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, "სიღარიბის დაძლევის მხარდამჭერი მეორე ღონისძიების (PRSO II)-ის ფარგლებში" მსოფლიო ბანკი საქართველოს შეღავათიანი სესხის სახით 20 მილიონ აშშ დოლარს გამოუყოფს.

ფინანსთა მინისტრის ალექსი ალექსიშვილის განცხადებით, საქართველოს საუკეთესო რეფორმატორ ქვეყნად დასახელების შემდეგ, მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილებაც ადასტურებს, საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ეფექტური ღონისძიებები დიდი მხარდაჭერით სარგებლობს საერთაშორისო საფინანსო და დონორ ორგანიზაციებში, რაც კარგი სტიმულია, რათა ქვეყნის მთავრობამ კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი ძალისხმევა ქვეყანაში სიღარიბის დაძლევისა და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

**"სიღარიბის დაძლევის მხარდამჭერი მეორე ღონისძიების მიზანია, გაგრძელდეს საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული რეფორმების ხელშეწყობა. დღეს მთავარი ამოცანაა, საქართველომ შეინარჩუნოს ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებელი, გააგრძელოს სოციალური უსაფრთხოებისა და სიღარიბის დაძლევის მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები,"** - განაცხადა მსოფლიო ბანკის წარმომადგენელმა საქართველოში როი საუთვორთმა.

მსოფლიო ბანკის მიერ "სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობი პროგრამის" დაფინანსება ხორციელდება მსოფლიო ბანკთან საქართველოს ოთხწლიანი (2006-2009წ) პარტნიორობის ფარგლებში. *(PRSO)*-ზე მთლიანობაში გამოყოფილია 60 მილიონი აშშ დოლარი, საიდანაც პირველი ტრანში, 20 მილიონი დოლარის ოდენობით, საქართველომ 2005 წელს მიიღო, მესამე ტრანშის მიღება კი დაგეგმილია 2007 წელს.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ საქართველოში რეფორმების წარმატებით მიმდინარეობის გამო ქვეყანა კიდევ ერთი დონორისაგან იღებს ფინანსურ მხარდაჭერას. ჰოლანდიის მთავრობა საქართველოს "სიღარიბის დაძლევის ხელშემწყობი პროგრამის" თანმდევ გრანტს გამოუყოფს 5 მილიონი ევროს ოდენობით.

საქართველოსთვის მსოფლიო ბანკისა და ჰოლანდიის მთავრობისგან მიღებული აღნიშნული დამატებითი ფინანსური რესურსი ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებასა და რეფორმების მხარდაჭერას მოხმარდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## სტრასბურგში ქართული ღვინის გამოფენა გაიმართება

ქართული ღვინის გამოფენა-დეგუსტაცია სტრასბურგში, ევროპარლამენტის შენობის პირველ სართულზე 14-15 ნოემბერს გაიმართება. ამის შესახებ "პრაიმ-ნიუს ბიზნესს" საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, აღნიშნულ ღონისძიებას ევროპარლამენტარები, სტრასბურგში, ევროპის საბჭოში აკრედიტებული დიპლომატები და ევროპის საბჭოს წარმომადგენლები დაესწრებიან. სამინისტროს ინფორმაციით, 15 ნოემბერს ევროპარლამენტის პლენარულ სესიაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა იგეგმება. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

# მიგრაცია - საშიში თუ სასარგებლო?

პირველი გვერდიდან



### მიგრაცია სოციალისტური ქვეყნებიდან

აღსანიშნავია, რომ მსგავსი მიგრაციული ნაკადები დასავლეთ ევროპისაკენ მხოლოდ პოლონეთიდან არ დაძრულა. მსგავსი ვითარებაა ევროკავშირის სხვა ახალ ქვეყნებშიც. ამგვარი პროცესები განსაკუთრებით დამახასიათებელი გახდა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების - ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთისათვის.

მაგალითად, ესტონეთიდან, რომლის მოსახლეობაც 1,3 მილიონს არ აღემატება, საზღვარგარეთ სამუშაოდ გასულია დაახლოებით 100 ათასი ადამიანი. ამ მხრივ ანალოგიური მდგომარეობაა ლიტვაში, საიდანაც საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულია ნახევარ მილიონზე მეტი კაცი. ისინიც, ისევე, როგორც პოლონელები, სამუშაოს საძებნელად, ძირითადად, დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში არიან ჩასული.

ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან მიგრაციის შედარებით დაბალი მაჩვენებელია სლოვენიაში. ეს გასაგებიცაა - ამ ქვეყანაში ხომ გაცილებით მეტი მთლიანი შიდა პროდუქტი იქმნება, ვიდრე სხვა რომელიმე პოსტსოციალისტურ ქვეყანაში. როგორც სლოვენიის სტატისტიკის სამსახურები აფიქსირებენ, ამ ქვეყნიდან გასულია არა უმეტეს 20 ათასი ადამიანისა, ისინიც - მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, რომელთაც საზღვარგარეთ მაღალი ანაზღაურება ელით.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მიგრაციის მაჩვენებელი შედარებით დაბალია უნგრეთშიც. გასაკვირი იმიტომ, რომ ბოლო წლებში ამ ქვეყანაში საგრძნობლად დაეცა ეკონომიკური განვითარების ტემპები, რამაც მიმდინარე წლის სექტემბერ-ოქტომბერში უნგრეთში ღრმა პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. უნგრეთიდან საზღვარგარეთ ემიგრირებულთა რიცხვი 60 ათასს არ აღემატება, რომელთა უმეტესობა სამუშაოს ავსტრიაში ეძებს. დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიაში სამუშაოდ წასულია მხოლოდ 12 ათასი უნგრელი. უნგრელები ხუმრობენ კიდეც, რომ ამ ქვეყანაში უფრო მეტი ინგლისელია ჩამოსული, ვიდრე - vice versa.

ასევე დაბალია მიგრაციის მაჩვენებელი ჩეხეთშიც. ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ როგორც ჩეხეთიდან, ისე უნგრეთიდან და სლოვენიიდან საზღვარგარეთ იმიგრაციაში, ძირითადად, მაღალი დონის სპეციალისტები მიდიან, ხოლო დაბალი კვალიფიკაციის ხალხი სახლში ზის, რადგან ისინი სოციალურად მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილნი არიან. ჩეხეთიდან საზღვარგარეთ სამუშაოდ წასულია არა უმეტეს 50 ათასი კაცისა, რომელთაგან 22 ათასი დიდ ბრიტანეთში მუშაობს.

სლოვაკეთიდან საზღვარგარეთ იმიგრაციაში წავიდა დაახლოებით 170-200 კაცი, ძირითადად, ბოშები. ამასთან, საინტერესოა ისიც, რომ სლოვაკეთიდან მხოლოდ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში როდი მიდიან სამუშაოდ, მრავალი მათგანი მიდის ჩეხეთში და უნგრეთშიც.

### როგორ იცლება ლატვია

ამ ქვეყნიდან საზღვარგარეთ წასულია 300 ათას ადამიანამდე. ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორიც ლატვიაა, ეს, რა თქმა უნდა, მაღალი მაჩვენებელია. გამოკითხვების თანახმად, ქვეყნიდან წასვლის სურვილს გამოთქვამს სტუდენტთა 70 პროცენტი.

- ყოველ მეორე ქალს, რომელიც ჩვენ დახმარებისათვის გვაკითხავს, საზღვარგარეთ სურს წასვლა, რადგან სამშობლოში ცხოვრების სახსარს ვერ პოულობს, - ამბობს რიგის ქალთა დახმარების ფონდის თავმჯდომარე.

- ჩვენი ხელისუფლება არჩევანის წინაშე დადგა: ერთი მხრივ, მას სურს, რომ ქვეყანა გახსნილი იყოს, მაგრამ მეორე მხრივ, ცდილობს, წინააღმდეგობა გაუწიოს ქვეყნიდან ხალხის წასვლას, - ამბობს ლატვიის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის თანამშრომელი, იმ ჯგუფს ხელმძღვანელი, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის დავალებით იმიგრაციის შესახებ მოხსენებაზე მუშაობდა.

როგორც ამ მოხსენებიდან ირკვევა, ლატვიაში თითქმის აღარ დარჩა ახალგაზრდა მასწავლებელი. მრავალი ფირმა იწყებს უკრაინელთა და ბელორუსთა ლატვიაში მოწვევასა და დასაქმებას. ზოგიერთმა ფირმამ განაშიც (აფრიკა) კი გაგზავნა ხალხი მუშახელის დასაქირავებლად. ლატვიაში მინიმუმამდეა დასული ინვესტიციების მოცულობები. უცხოელი ინვესტორები აქ არ ჩამოდიან, რადგან კარგი ინფრასტრუქტურა არ ეგულებათ.

ლატვიას საკმაოდ დაუგროვდა ეკონომიკური პრობლემები, აქ დაბალია საშუალო ხელფასი (100 ევრო თვეში), რაც, ცხადია, იმიგრაციის უმთავრესი გამომწვევი მიზეზია. თუმცა, მეორე მხრივ, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპები აქ ერთ-ერთი მაღალია ევროპაში. რიგა გადაჭედილია ბანკებით. რიგის ცენტრში უკვე შეუძლებელია ბინის ყიდვა, კვადრატული მეტრის ფასმა 5 ათას ევროს გადააჭარბა. წლის დასაწყისიდან დღემდე ლატვიელებმა შეიძინეს 50 პროცენტით მეტი ავტომანქანა, ვიდრე გასულ წელს. ყოველივე ამის შემხედვარე, ზოგი ამასაც კი ამბობს: ლატვიელები იმიტომ არ არიან მდიდრები, რომ მუშაობა ეზარებათო.

### მოსაზრებები მიგრაციის სასარგებლოდ

მრავალი პოლონელი პოლიტიკოსი თუ ეკონომისტი ქვეყნიდან ასეთი დიდი რაოდენობით ადამიანების გასვლას დრამატულად, პათოლოგიად და პრობლემად სრულიადაც არ აღიქვამს. ისინი არ იზიარებენ კონსერვატორ მოაზროვნეთა შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ადამიანი, როგორც ხე, იქ უნდა გაჩერდეს, სადაც დაიბადა. მათი აზრით, მიგრაცია ხელს უწყობს მიგრანტთა ოჯახების შემოსავლების ზრდას, მათ პროფესიულ დაოსტატებას და, ასევე, ქვეყნის მოდერნიზაციასა და ეკონომიკურ გაძლიერებას.

მიგრაცია მით უფრო არაა ქვეყნისათვის საზიანო, რომ, როგორც სათანადო კვლევებით ირკვევა, ემიგრირებულ პოლონელ რესპონდენტთა მხოლოდ 15 პროცენტს სურს სამუდამო საცხოვრებლად უცხო ქვეყანაში დარჩენა, 22 პროცენტი გასულია სეზონურ სამუშაოზე, ხოლო ნახევარზე მეტს ხუთ წელზე მეტხანს არ სურს საზღვარგარეთ გაჩერება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ემიგრირებულთა 80 პროცენტზე მეტი 35 წლამდე ასაკისაა, მაშინ გასაგები გახდება, თუ რამდენ სარგებლობას მოუტანს ქვეყანას მათი სამშობლოში დაბრუნება. ისინი ხომ სამშობლოს გარკვეული კაპიტალითა და უფრო მაღალი კვალიფიკაციით დაუბრუნდებიან?!

როდესაც შრომითი მიგრაციის სარგებლობაზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ მისი ფინანსური ეფექტიც. საზღვარგარეთ წასული პოლონელები წელიწადში სამშობლოში 6 მილიარდ დოლარზე მეტს აგზავნიან და მათი წვლილი ამ ქვეყნის ეროვნული შემოსავლის ფორმირებაში ძალზე დიდია.

### ზომები მიგრაციის წინააღმდეგ

მიუხედავად ყოველივე ამისა, ქვეყნის მთავრობის მოვალეობაა, მოსახლეობის ადგილზე დასასაქმებლად ქვეყანაში მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები შექმნას.

ნიშანდობლივია, რომ პოლონეთის ხელისუფლება ეძებს კიდეც გზებს მოსახლეობის შრომით პროცესებში ჩასართველად, თუმცა ზოგიერთ მეთოდს ეკონომისტები სკეპტიკურად უყურებენ.

მაგალითად, ამ ბოლო დროს ქვეყნის შრომის მინისტრმა გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვითაც ყველა ფირმა, რომელიც პოლონეთში საქმიანობას მოისურვებს, მუშაობის დაწყებისთანავე ვალდებულია, ორი უმუშევარი პოლონელი დაასაქმოს.

ცხადია, პოლონეთის მთავრობის ამგვარმა მოთხოვნამ პროტესტი გამოიწვია ბიზნესმენთა, განსაკუთრებით, უცხოელ ბიზნესმენთა წრეებში, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ამგვარი რამის გაკეთება მათ ძალებს აღემატება. "ასეთ პირობებში რომ ვიმუშაო, ალბათ, "შავ ბიზნესში" უნდა გადავიდე, სხვა გამოსავალი არაა," - აცხადებს თურქი ბიზნესმენი, რომელიც ქებაბის ჯიხურების ქსელის მფლობელია.

პოლონეთის ეკონომისტთა ასოციაციის თავმჯდომარე პეტრე იავორსკი აცხადებს, რომ ამ გზით ქვეყნიდან წავა ათასობით წვრილი ფირმა და შედეგი უფრო უარესი იქნება, ვიდრე დღეს.

# "ექსქსონ მობილის" ინდონეზიური გეგმები

პირველი გვერდიდან

ინდონეზიის მთავრობის განცხადებით, სურუმანას ბლოკში ნავთობის და გაზის სოლიდური მარაგია. წინასწარი მონაცემების დადასტურების შემთხვევაში, ინდონეზია და კონტრაქტორი კომპანია ნავთობს 65:35 პროპორციით გაინაწილებენ, გაზის განაწილება კი 60:40 პროპორციით მოხდება. ამასთან, ორივე შემთხვევაში, მეტი წილი ინდონეზიისა იქნება.

დღეისათვის ინდონეზიის ნავთობსაბადოების მთლიანი დაზვერილი მარაგი 4.1 მილიარდ ბარელს შეადგენს, დაუდასტურებელი მარაგის მოცულობა კი დაახლოებით 4.5 მილიარდი ბარელია.

ნავთობის მოპოვების მხრივ, ინდონეზია OPEC-ის ქვეყნებს შორის ბოლოდან მეორე ადგილზეა. ქვეყანას ძალიან უჭირს მოპოვებული ნავთობის სანაცვლოდ ახალი საბადოების დაზვერვა. რაც შეეხება "ექსქსონ მობილს", ამერიკულ გიგანტს, ინდონეზიაში ნავთობის და გაზის მომპოვებელი რამდენიმე ჭაბურღილი გააჩნია, რომელთაგან ყველაზე მდიდარი საბადო, სახელად ჩეპუ, კუნძულ იავაზე მდებარეობს.

ნავთობმარაგის მხრივ, ჩეპუს ბლოკი ყველაზე მდიდარია იმ საბადოებს შორის, რომლებიც ინდონეზიაში ბოლო რამდენიმე დეკადის განმავლობაში აღმოუჩენიათ. მისი ათვისება ახალი დაწყებულია და ის სრული დატვირთვით 2008 წელს ამუშავდება, რის შემდეგაც, ინდონეზიის მომპოვებელი სიმძლავრე ახლანდელ მოცულობასთან შედარებით, მეხუთედით გაიზრდება.

"ექსქსონ მობილსვე" ეკუთვნის ინდონეზიაში გაზის ყველაზე დიდი საბადო ნატუნა, რომლის დაზვერილი მოცულობა რამდენიმე მილიარდი კუბური მეტრია, თუმცა აქედან ნახევარზე ოდნავ ნაკლების (დაახლოებით 46 პროცენტი) მოპოვებაა შესაძლებელი. დანარჩენი გაზის მოპოვება კი კომერციულად გაუმართლებელია, რადგან მისი დამუშავება უსაშველოდ დიდ კაპიტალდაბანდებას მოითხოვს და მოპოვებული გაზიც არარენტაბელური იქნება.

ნატუნას ბლოკის სექტორ "D-ალფას" გაზის საბადო ქალაქ ჯაკარტადან ჩრდილოეთით, 1 100 კილომეტრში მდებარეობს. ეს საბადო ინდონეზიის გაზის მთლიანი მარაგის დაახლოებით მეოთხედს მოიცავს. ცნობისათვის, ნატუნას აღმოსავლეთის სექტორის საბადო გაზით მთლიანად ამარაგებს ქალაქ-სახელმწიფო სინგაპურს.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდაა




გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა გაგრძელდა. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის ფასმა მოიმატა და ოპეკის მიერ ძშავი ოქროს" მოპოვების შემცირების შესახებ ინფორმაცია გავრცელდა, ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა კვლავინდებურად მოახდინა კომპანიათა დამაიმედებელმა კვარტალურმა ანგარიშებმა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,06 პროცენტით, 11.967,15 პუნქტამდე გაიზარდა. 0,36 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.365,87 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,09 პროცენტით, 1.366,86 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობის ფასმა კვლავ მოიმატა

გუშინ, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 60,1 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 59,12 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ბუნებრივი აირის ფასმა კვლავ მოიკლო და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ღირებულებამ 5,59 დოლარი შეადგინა. ამის მიზეზი კვლავინდებურად, აშშ-ში ბუნებრივი აირის დიდი მარაგის არსებობა გახლავთ, რაც შესყიდვებისადმი ინტერესის შემცირებას იწვევს.

"შავი ოქროს" გაძვირება ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლით სიტუაციის მორიგი დაძაბვის მოლოდინმა განაპირობა. როგორც ცნობილი გახდა, ევროკავშირის 25 ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი გაეროში ამ ქვეყნის მიმართ სანქციების დაწესებას კვლავ მოითხოვს, რასაც, შესაძლოა, ბაზარზე ნავთობის მიწოდების შემცირება მოჰყვეს. გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ 19 ოქტომბერს ყატარში გაიმართება ოპეკის საგანგებო სხდომა, რომელზეც პირველად უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ნავთობის მოპოვების დღე-ღამეში 1 მილიონი ბარელით შემცირების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

## ძვირფასი ლითონების გაძვირება გრძელდება

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე ოქროსა და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე ფასების მცირე ზრდა გაგრძელდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ღირებულებამ 593 დოლარი შეადგინა. ვერცხლი 11,76 დოლარი/უნციამდე, პლატინა 1084,1 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 316,02 დოლარი/უნციამდე გაძვირდა.

ანალიტიკოსთა აზრით, ძვირფასი ლითონების გაძვირებას კვლავინდებურად ნავთობის ფასის მატება და მსოფლიოში გეოპოლიტიკური დაძაბულობის გაზრდის საფრთხე განაპირობებს. როგორც ცნობილია, ერთობ რთული ვითარებაა შექმნილი ჩრდილოეთ კორეის ირგვლივ. გარდა ამისა, შესაძლებელია, მალე სიტუაცია ირანთან დაკავშირებითაც დაიძაბოს.

## Volkswagen მზადაა Scania-ის აქციები გაყიდოს

გერმანული ავტოკონცერნი Volkswagen მზად არის მის მფლობელობაში არსებული შვედური Scania-ს აქციების 18,7 პროცენტი სატვირთო ავტომობილების გერმანულ მწარმოებელს MAN-ს მიჰყიდოს. მხოლოდ, ამისათვის საჭიროა MAN-ის წინადადება Scania-ს სხვა აქციონერებმაც მოიწონონ. შეგახსენებთ, რომ Volkswagen-თან ერთად შვედური კომპანიის უმსხვილესი აქციონერი საინვესტიციო Investor AB არის, რომელსაც 19,3 პროცენტი ეკუთვნის.

აღსანიშნავია, რომ Volkswagen თავდაპირველად MAN-ისა და Scania-ს შერწყმის წინააღმდეგი იყო, მაგრამ პოზიცია მას შემდეგ შეიცვალა, რაც MAN-ის აქციების 15 პროცენტი თავად შეიძინა, რითაც შეუძლია სატვირთო ავტომობილების ბაზარზე თავისი სტრატეგიული ინტერესები დაიცვას.

## თურქეთის ევროკავშირში შესვლა 20 წლით გადაიდება

თურქეთის ევროკავშირში შესაძლო შესვლის პროცესი ყოვნდება და იგი შეიძლება დაახლოებით 20 წლით გადაიდოს, განაცხადა ევროკავშირის თავკაცმა ჟოზე ჟოზე მანუელ ბაროზუმ. როგორც მან აღნიშნა, ევროკავშირში ძლიერდება პესიმიზმი იმასთან დაკავშირებით, რომ თურქეთი ერთიან ევროპასთან შესაერთებლად წამოყენებულ მთავარ მოთხოვნებს შეასრულებს. განსაკუთრებით ეს სიტყვის თავისუფლებასა და სამხედრო სტრუქტურებზე სამოქალაქო ხელისუფლების კონტროლის დამყარებას ეხება.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ევროპარლამენტის დეპუტატებმა უკმაყოფილება გამოთქვეს ევროკავშირში შესვლისათვის თურქეთში განხორციელებული რეფორმებით. მაშინ "რეფორმებში პროგრესის არარსებობის" რეზოლუციას მხარი 429 დეპუტატმა დაუჭირა, 71 წინააღმდეგ წავიდა, 125-მა კი თავი შეიკავა.

## აღმოაჩინეს ოქროს უდიდესი საბადო

ახალზელანდიელმა გეოლოგებმა ახალ გვინეაში ოქროს გიგანტური ჰიდროთერმული საბადო აღმოაჩინეს. იგი მოქმედი ვულკანის ცენტრში, 400 მეტრის სიღრმეში მდებარეობს და მისი ფართობი 2 კვადრატული კილომეტრია. წინასწარი მონაცემებით, აღნიშნული საბადოს მარაგი 1300 ტონამდეა. ამასთან, როგორც სწავლულებმა დაადგინეს, საბადოს ასაკი დაახლოებით 55 ათას წელს აღწევს.

# "ემ-სი-ჯი", EBRD-ი და სხვა დონორები ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებას ერთობლივი ძალებით შეუდგებიან

ლიკა ჯობაძე

ფონდი "ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს", ქვეყანაში ინფრასტრუქტურული და მუნიციპალური პროექტების განხორციელების ფარგლებში, დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ინიციატივით გამოდის. 13 ოქტომბერს, სასტუმრო თბილისი მარიოტში "ემ-სი-ჯიმ" ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან (EBRD) ურთიერთთანამშრომლობის პირველი პრეცედენტის აღსანიშნავი ღონისძიება გამართა.

შეგახსენებთ, რომ "ემ-სი-ჯიმ" და ევროპის რეკონსტრუქციული განვითარების ბანკმა ერთობლივი პროექტის ფარგლებში პირველი ნაბიჯები უკვე გადადგეს. მათ ფოთის წყალმომარაგების სარეაბილიტაციოდ პარალელური დაფინანსების ხელშეკრულებას მიმდინარე წლის 15 სექტემბერს მოაწერეს ხელი.

"ემ-სი-ჯის" ინიციატივა - მოიზიდოს დონორი ორგანიზაციები, ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყნის ინფრასტრუქტურა სავალალო მდგომარეობაშია. "ემ-სი-ჯის" მიერ გამოყოფილი 60 ათასი ამერიკული დოლარი წყალმომარაგებისა და წყალკანალიზაციის, ირიგაციის, გაზიფიკაციისა და ადგილობრივი გზების რეაბილიტაციას მოხმარდება.

ლაშა შანიძე - "ემ-სი-ჯის" აღმასრულებელი დირექტორი: "ემ-სი-ჯისა" და EBRD-ის თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან 60 მილიონი დოლარის გარდა ჩვენ დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით კიდევ უფრო მეტი სახსრების მობილიზებას შევძლებთ, რაც არაერთი მუნიციპალური პროექტის განხორციელების საშუალებას მოგვცემს. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა შეთანხმების მისაღწევად 5 წლიანი ურთულესი პროცესი გადალახა და პირველი ნაბიჯებიც წარმატებით გადადგა. ჩვენს პროექტში პარალელურ დაფინასებას ახორციელებს შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (SIDA) და ევროკავშირის გრანტები. იმედი გვაქვს, რომ "ემ-სი-ჯი"-სა და EBRD-ის თანამშრომლობა სხვა დონორებისთვისაც სამაგალითო იქნება".

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ლექსო ალექსიშვილის თქმით, მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაა, რაც მდგრადი სოციალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გარეშე, ფაქტობრივად შეუძლებელია. პირველი ქალაქი, სადაც "ემ-სი-ჯის"-ის, EBRD-ისა და სხვა დონორი ორგანიზაციების წყალობით "სიღარიბის დაძლევის პროგრამა" ამუშავდა, ფოთი გახლავთ. "ეს ქალაქი ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტია. წყალმომარაგების თვალსაზრისით კი აქ სავალალო მდგომარეობაა. სწორედ ამიტომ აქცენტი ფოთზე შევაჩერეთ და ერთობლივი პროექტის ამოქმედება აქედან დავიწყეთ. მინდა მოგახსენოთ, რომ "ემ-სი-ჯი", EBRD, საქართველოს მთავრობა, როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ხელისუფლების ხელშეწყობით, ანალოგიურ პროექტებს ქუთაისში, ბორჯომში, ბაკურიანში, ბათუმსა და რუსთავშიც დაიწყებს" - აცხადებს ფინანსთა მინისტრი ლექსო ალექსიშვილი.

EBRD-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში მაიკლ დეივი: "დღესდღეობით საქართველოს მთავრობა ქვეყანაში მრავალმხრივი რეფორმების გატარებით არის დაკავებული. მიუხედავად ამისა, მთავრობამ, განსაკუთრებით კი ფინანსთა სამინისტრომ მაინც წარმატებით მოახერხა დონორი ორგანიზაციების კოორდინაცია. EBRD-მა "ემ-სი-ჯი" ჯგუფთან პირველად გააფორმა თანამშრომლობის ხელშეკრულება და თანაც წარმატებით. ვფიქრობ, რომ ისეთი განვითარებადი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა, მსგავსი პროექტები ძალიან მნიშვნელოვანია. იმედი გვაქვს, რომ კიდევ არაერთ პროექტს განვახორციელებთ."

კორინ ბარკლი - "ემ-სი-ჯის" ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. "ჩვენი ორგანიზაციის მთავარი ამოცანა სიღარიბის დაძლევა გახლავთ. აშკარაა, რომ ქვეყანაში არსებული რეგიონალური ინფრასტრუქტურული პრობლემები საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის ყველაზე მეტად ხელისშემშლელი ფაქტორია. ჩვენ რეგიონალური ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 60 მილიონი ამრიკული დოლარი გამოვყავით, ამას კი სხვა დონორების სახსრებიც დაემატება და წარმატება გარანტირებული იქნება. ხშირია შემთხვევები, როცა დონორ ორგანიზაციებს არაკოორდინირებულ თანამშრომლობაში ადანაშაულებენ, რაც ხშირად უსამართლოა. ემ-სი-ჯისა" და EBRD-ის მეგობრობა, რომელიც პირველი პრეცედენტია მსოფლიოში, წარმატებული თანამშრომლობის ნათელი მაგალითი გახლავთ."

საქართველოში პროექტების განხორციელებას რეალურ კოორდინირებას გაუწევს "ემ-სი-ჯი", მსოფლიო ბანკი - ზედამხედველობას, ხოლო დონორები პარალელურ თანადაფინანსებას.

## ამინდი

| | 17/10 | 18/10 | 19/10 |
|---|---|---|---|
| კიევი | 10 | 10 | 11 |
| რიგა | 11 | 8 | 8 |
| ვილნიუსი | 8 | 6 | 8 |
| მოსკოვი | 5 | 6 | 8 |
| მინსკი | 8 | 7 | 8 |
| პარიზი | 16 | 17 | 16 |
| რომი | 19 | 18 | 18 |
| ლონდონი | 18 | 17 | 17 |
| მადრიდი | 16 | 16 | 12 |
| ბონი | 17 | 17 | 14 |
| ვარშავა | 13 | 10 | 10 |
| ათენი | 16 | 18 | 21 |
| ბერნი | 20 | 19 | 15 |
| ამსტერდამი | 16 | 16 | 17 |
| ოსლო | 12 | 10 | 7 |
| ანკარა | 12 | 12 | 17 |
| ვარნა | 8 | 13 | 17 |
| დელი | 38 | 38 | 33 |
| ტოკიო | 25 | 22 | 23 |
| კოპენჰაგენი | 15 | 9 | 8 |
| ბაქო | 20 | 22 | 20 |
| ერევანი | 21 | 22 | 21 |
| ასტანა | 3 | 2 | 1 |
| ჰელსინკი | 6 | 5 | 1 |
| დუბლინი | 12 | 13 | 13 |
| ლისაბონი | 19 | 18 | 20 |
| პრაღა | 13 | 13 | 13 |
| სოფია | 14 | 18 | 18 |
| ბუდაპეშტი | 15 | 13 | 13 |
| ბუხარესტი | 16 | 17 | 18 |

# დარგობრივი კომიტეტი 2007 წლის ბიუჯეტს იწუნებს

პირველი გვერდიდან



გუშინ პარლამენტში ქვეყნის მთავარი ეკონომიკური კანონის პროექტის განხილვა დაიწყო. პირველმა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა აღმოაჩინა რამდენიმე სერიოზული ხარვეზი, და როგორც კომიტეტის წევრები ამბობენ, ამ სახით 2007 წლის ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერენ.

ზოგადად, კომიტეტის თავმჯდომარე მომავალი წლის ბიუჯეტს, წლევანდელთან შედარებით, სრულყოფილს უწოდებს, თუმცა დასძენს, რომ მასში სერიოზული და არსებითი ცვლილებებია შესატანი. გუშინ, ნიკო ლეკიშვილის გარდა, კომიტეტის რამდენიმე წევრმა გამოთქვა სერიოზული ეჭვი იმის თაობაზე, რომ არსებული პირობებით ქვეყანა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელს შეინარჩუნებს და რომ მთლიანი შიდა პროდუქტი დაგეგმილი ზრდის ტემპს მიაღწევს. კომიტეტში იმასაც საეჭვოდ მიიჩნევენ, რომ 2007 წლის ბიუჯეტის პროექტმა ინფლაციის ერთნიშნა მაჩვენებელს მიაღწიოს.

მაკროეკონომიკური პარამეტრების გარდა, ლეკიშვილის კომიტეტი მომავალი წლის ბიუჯეტში რეგიონებში დასაფინანსებელი პროგრამების შემცირებაზეც ამახვილებს ყურადღებას. დეპუტატები ამბობენ, რომ მიმდინარე წელთან შედარებით, ახალი ბიუჯეტი რეგიონებში დაფინანსებას მკვეთრად ამცირებს.

კომიტეტის შეფასებით, მთავრობის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი ტერიტორიულ დაფინანსებასთან მიმართებაში უპირატესად სოციალურ საკითხებზეა ორიენტირებული და რეგიონების სტრატეგიული და მაკროეკონომიკური განვითარების კუთხით მკვეთრად გამოხატული არ არის.

კომიტეტის თავმჯდომარე ირწმუნება, რომ 2007 წლის ბიუჯეტით უქმდება ქართული ღვინის, ტურიზმისა და, ზოგადად, ინვესტიციების ხელშეწყობის ღონისძიებები. **"კერძო საწარმოთა რეაბილიტაციის პროექტების განხორციელებისთვის კი არც ერთი თეთრი არ არის გათვალისწინებული,"** - ამბობენ დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში.

მაღალმთიანი რეგიონების დაფინანსება - ეს არის კიდევ ერთი საკითხი, რის შესახებაც დეპუტატებმა გუშინ უკმაყოფილება გამოთქვეს. მათი თქმით, ბიუჯეტის არსებული პროექტით საერთოდ უქმდება იმ პროგრამების დაფინანსება, რომლებიც მაღალმთიანი რეგიონების განვითარებას უზრუნველყოფენ.

რაც შეეხება ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს, 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გასაცემი ფინანსური დახმარება, გასულ წელთან შედარებით, 108 მილიონითაა შემცირებული, რაც საერთო ჯამში 79 მილიონ ლარს შეადგენს.

დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის განცხადებით, ყველა ეს შენიშვნა მთავრობამ უთუოდ უნდა გაითვალისწინოს, წინააღმდეგ შემთხვევაში რეგიონების დაფინანსების კუთხით მას სერიოზული პრობლემები შეექმნება.

ნიკო ლეკიშვილს დაუშვებლად მიაჩნია გეოლოგიის დეპარტამენტის დაუფინანსებლობაც, 2007 წლის ბიუჯეტში დეპარტამენტისთვის არც ერთი თეთრი არ არის გაწერილი.

დაუსაბუთებელი დეფიციტი - ეს არის კომიტეტის მორიგი შენიშვნა. ბიუჯეტის პროექტის თანახმად, მომავალი წლის დეფიციტი 426.263 ლარით არის განსაზღვრული, რომლის დაფარვა მთავრობას საგარეო, გრძელვადიანი საინვესტიციო კრედიტებითა და საშინაო წყაროებით (ანუ თავისუფალი საბიუჯეტო სახსრებით) აქვს დაგეგმილი. წარმოდგენილი დეფიციტი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში იზრდება როგორც პროცენტულად, ისე ნომინალურ გამოსახულებაში. ნიკო ლეკიშვილის თქმით, დეფიციტური ბიუჯეტის აუცილებლობა მთავრობას განმარტებული არ აქვს. **"კანონპროექტში ბევრი რეზერვი არსებობს იმისთვის, რომ დეფიციტი ამ დონემდე არ გაიზარდოს. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს, რომ ბიუჯეტის კანონპროექტით საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები შესამჩნევად, 13 პროცენტით მცირდება. მათ შორის, 21 პროცენტით მცირდება აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯები,"** - აღნიშნა ლეკიშვილმა.

კომიტეტისთვის აუხსნელი რჩება ხარჯების ზრდა საერთო დანიშნულების მომსახურებაზე. ბიუჯეტში ასეთი ზრდა 3 მილიონ 550 ათასი ლარით არის განსაზღვრული, საერთო საკადრო მომსახურებაზე - 705 ათასი ლარით, საერთო დანიშნულების სხვა მომსახურებაზე - 2 მილიონ 996 ათასი ლარით.

კომიტეტში მიიჩნევენ, რომ დაუსაბუთებელია მთელი რიგი პროგრამებისა და პროექტების განხორციელების საკითხებიც.

საერთო ჯამში, ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, 2007 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები იგეგმება 3.444.350 ლარის ოდენობით, რაც 94.456 ათასი ლარით ნაკლებია წლევანდელი წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან შედარებით.

# ბრიტანეთი გურიაში ინვესტიციების ჩადებას აპირებს

დიდი ბრიტანეთის ელჩი დონალდ მაკლარენი არ გამორიცხავს, რომ ბრიტანეთმა გურიაში გარკვეული ინვესტიციები განახორციელოს. ელჩი გურიას 2-დღიანი ოფიციალური ვიზიტით სტუმრობდა და ადგილობრივი ფერმერული მეურნეობები მოინახულა.

როგორც ვიზიტის შემდეგ დონალდ მაკლარენმა განაცხადა, შესაძლოა, დიდმა ბრიტანეთმა ზოგიერთი ფერმერული მეურნეობის განვითარებაში ინვესტიციები ჩადოს. აღსანიშნავია ისიც, რომ ოზურგეთის რაიონის ერთ-ერთ, ჩაის მეურნეობაში ბრიტანელებმა ინვესტირება უკვე განახორციელეს. **ჯი-ეიჩ-ენი.**

# ლაგოდეხის რაიონისთვის 1 მილიონ 47 ათასი ლარი გამოიყო

ლაგოდეხის რაიონისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 მილიონ 47 ათასი ლარი გამოიყო.

როგორც "ინტერპრესნიუსს" სახელმწიფო კანცელარიაში განუცხადეს, ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტისთვის განკუთვნილი ტრანსფერი რამდენიმე პროექტის განხორციელებას მოხმარდება. მათ შორის - ჭიაურის ტყის რეაბილიტაციას, ქალაქ ლაგოდეხში გარეგანათების აღდგენას, გაზგამტარი მილის რეაბილიტაციასა და N1 საშუალო სკოლის კაპიტალურ შეკეთებას.

ასევე იგეგმება ქალაქში სპორტული მოედნის მშენებლობა და ცენტრალური სკვერის კეთილმოწყობა. გამოყოფილი თანხით სოფლებში ცოდნისკარსა და აფენში სპორტული კომპლექსისა და ხიდის რეაბილიტაცია განხორციელდება. **ინტერპრესნიუსი**

# ავიაზარალის დათვლას რუსეთი ჯერ არ აპირებს

რუსეთის ტრანსპორტის მინისტრი იგორ ლევიტინი საქართველო-რუსეთს შორის საჰაერო მიმოსვლის შედეგად გამოწვეული დანაკარგების აღრიცხვას ამ ეტაპზე ნაადრევად მიიჩნევს.

**"რა ზარალი განიცადეს რუსეთის ავიაგადამზიდებმა, ამაზე საუბარი ჯერ ადრეა,"** - განაცხადა მინისტრმა. მისივე თქმით, რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრო შექმნილი ვითარების გაანალიზებით არის დაკავებული და საქართველოს ხელისუფლებას აცნობებს, რომ ავიარეისები ეკონომიკური მიზეზების გამო შეწყდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

# "ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ" 2007 წლის საკვალიფიკაციო ინდიკატორების მაჩვენებლები გამოაქვეყნა

"ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ" (MCC) საქართველოს 2007 წლის საკვალიფიკაციო ინდიკატორების მაჩვენებლები გამოაქვეყნა. როგორც კორპორაციაში აცხადებენ, საქართველოს ინდიკატორები, ზოგადად, გაუმჯობესებულია. მათ შორის, ყველაზე დიდი ცვლილება "კორუფციის კონტროლის" მაჩვენებელში დაფიქსირდა, რომელიც 2006 წელს საშუალოზე დაბალი იყო.

კორპორაციაში მიიჩნევენ, რომ 2007 წელს ეს ინდიკატორი კიდევ უფრო გაუმჯობესდება, რითაც საქართველო მსოფლიოს ქვეყნების 78 პროცენტს გაუსწრებს.

**"ინდიკატორები ზუსტად ასახავს ჩვენს მოლოდინს. საქართველო მუშაობს ყველა იმ მიმართულებით, რომლებიც ინდიკატორებით ფასდება, მაგრამ განსაკუთრებული წარმატება კორუფციასთან ბრძოლაში აღინიშნება, რაც საქართველოს მთავრობის ანტიკორუფციული რეფორმების შედეგია. პროგრამის მიმდინარეობის შემდეგი ხუთი წლის მანძილზე ჩვენ ინდიკატორებზე მაჩვენებლების კიდევ უფრო გაუმჯობესებას ველოდებით,"** - განაცხადა MCC-ის საქართველოს ოფისის დირექტორმა კოლინ ბაკლმა.

აღსანიშნავია, რომ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია ქვეყნის განვითარების შესაფასებლად თექვსმეტ ინდიკატორს იყენებს. ეს კი, უპირატესად, სამი ძირითადი მიმართულებით ხორციელდება. კერძოდ: "სამართლიანი მმართველობა", "ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვა" და "ეკონომიკური თავისუფლება". ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით განისაზღვრება ქვეყნის შესაძლებლობა, მიიღოს კორპორაციის დაფინანსება. **ინტერპრესნიუსი**


გალტ & თაგგარტ სიქიურითის
GALT & TAGGART SECURITIES

საფონდო და ობლიგაციების ბაზრის კვირის მიმოხილვა

16 ოქტომბერი 2006

| სსბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 1,110,703 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 50,210,646 |

| 13-ოქტომბერი-2006 | | | კვირის ცვლილება | ცვლილება წლის დას-დან |
|---|---|---|---|---|
| GEL/US$ | 1.742 | ▼ | -0.20% | 2.85% |
| G&T Blue Chip Index (US$) | 609.2 | ▲ | 0.38% | 72.59% |
| G&T Blue Chip Index (GEL) | 537.2 | ▲ | 0.58% | 67.68% |

GTBC ინდექსი (GEL) და სსბ საერთო მოცულობა (GEL mln)



გაცვლითი კურსი GEL/US



სახელმწიფო სერტიფიკატების საშუალოდ % და ემისიის მოცულობა (GEL'000)



| სახელმწიფო სერტიფიკატების ემისიის კალენდარი | | | | მოცულობა (GEL'000) |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 1,100 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 600 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 1,600 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 525 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 1,000 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 1,000 |
| | | | | 12,142 |

| სსბ US$/GEL ვაჭრობის მოცულობა (US$ '000) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 12,245 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 378,413 |

**საფონდო და ობლიგაციების ბაზარი**

**გასულ კვირას გალტ & თაგგარტის ძირითადი კომპანიების (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 0.58%-ით გაიზარდა 537.1-მდე, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 1.1 მილიონი ლარი შეადგინა.** გასულ კვირას გარიგებები საქართველოს ბანკის ობლიგაციასა და თერთმეტ აქციაზე დაიდო, მათ შორის იყო ორი ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასი გაიზარდა 0.91%-ით) და გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ფლობა, ფასი არ შეცვლილა). საფონდო ბაზარზე ბლუ ჩიპის აქციები დომინირებდნენ და მათზე მთლიანი სავაჭრო მოცულობის 71.5% მოდიოდა.

**იმპორტ-ექსპორტი**

**2006 წლის იანვარ-აგვისტოში საქართველოდან ექსპორტის მოცულობა 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 21.6%-ით გაიზარდა.** ძირითად საექსპორტო პროდუქციას თვითმფრინავები და ჯართი წარმოადგენდნენ.

2006 წლის რვა თვის განმავლობაში 60 მლნ აშშ დოლარის თვითმფრინავები იქნა ექსპორტირებული, რაც 21.5 მლნ აშშ დოლარით მეტია გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. 2006 წლის პირველ რვა თვეში ჯართის ექპორტმა 59.8 მლნ აშშ დოლარს მიაღწია, რაც გასული წლის აღნიშნულ პერიოდთან შედარებით 47.3 მლნ აშშ დოლარით მეტია და მთლიანი ექპორტის 9.4%-ს შეადგენს.

2006 წლის იანვარ-აგვისტოში ღვინის ექსპორტმა 30.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 17 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. ღვინის ექსპორტის წილი ქვეყნის მთლიან ექსპორტში 4.8%-ით განისაზღვრა, რაც გასულ წელთან შედარებით 52.7%-ით დაბალია.

**2006 წლის იანვარ-აგვისტოში იმპორტის მოცულობა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 56.9%-ით გაიზარდა.** იმპორტის მნიშვნელოვან ნაწილს ტრადიციულად ნავთობი და ნავთობპროდუქტები წარმოადგენდნენ, რომელთა წილიც იმპორტში 13.2%-ით განისაზღვრა. აღნიშნულ პერიოდში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების იმპორტმა 297.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 97.5 მლნ აშშ დოლარით მეტია. ასევე აღსანიშნავია ავტომობილების იმპორტის მოცულობაც, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა იმპორტირებულ საქონელს შორის და 186.5 მლნ აშშ დოლარს მიაღწია. აღნიშნული მაჩვენებელი გასულ წელთან შედარებით 88.9 აშშ მლნ დოლარით მეტია და მთლიან იმპორტში 8.3%-ს შეადგენს.

**პრივატიზაცია**

**გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ განაცხადა სააქციო საზოგადოება (სს) "ჭიათურმანგანუმი"-ს პრივატიზაციისა და ჭიათურის ტერიტორიაზე არსებული მანგანუმის საბადოს 40 წლით დამუშავების ლიცენზიის გაყიდვის შესახებ.**

სს "ჭიათურმანგანუმი"-ს საწყისი ფასი 14.2 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო ლიცენზიის საწყისი ღირებულება 5.5 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ ჭიათურის მანგანუმის საბადო 16.4 ათას ჰექტარს მოიცავს. პრივატიზაციით დაინტერესებულმა პირებმა განაცხადები 12 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე უნდა შეიტანონ, ხოლო უქციონი ჩატარდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში 2006 წლის 11 ნოემბერს. პრივატიზაციის პირობებიდან გამომდინარე გამარჯვებულმა პირველ წელს უნდა უზრუნველყოს მინიმუმ 350 ათასი ტონა მანგანუმის კონცენტრატის წარმოება, ხოლო შემდგომი წლების განმავლობაში გაზარდოს წარმოება წელიწადში 400 ათას ტონამდე.

**სავალუტო ბაზარი**

**გასულ კვირას ლარი/დოლარის კურსი 0.20%-ით დაეცა.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 12.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა კვირასთან შედარებით 5.0 მლნ აშშ დოლარით მეტია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ჯამში 8.8 მლნ აშშ დოლარი გაყიდა.

გალტ & თაგგარტ სიქიურითის
GALT & TAGGART SECURITIES

საფონდო და ობლიგაციების ბაზრის კვირის მიმოხილვა

16 ოქტომბერი 2006

სსბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები

სესია No. 78, 12 ოქტომბერი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | მაქს. | საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB0N | 1 | 100.00 | 100.00 | 100.00 | -0.5 | 450 | 45,000 | | - |
| GEB | 20 | 19.00 | 19.40 | 19.27 | 130.9 | 16,826 | 324,183 | 321,520,644 | - |
| UTC | 57 | 0.70 | 0.70 | 0.70 | 94.4 | 73,326 | 51,308 | 72,265,679 | ფლობა |
| AMB | 1 | 0.71 | 0.71 | 0.71 | na | 12,717 | 9,029 | 415,003 | რეკ. გარეშე |
| BSK | 1 | 53.00 | 53.00 | 53.00 | 32.5 | 86 | 4,558 | 6,333,500 | რეკ. გარეშე |
| SLAD | 2 | 0.96 | 0.96 | 0.96 | 863.0 | 135,375 | 130,298 | 1,265,189 | რეკ. გარეშე |
| KARA | 3 | 0.29 | 0.29 | 0.29 | na | 90,000 | 26,100 | 50424.62 | რეკ. გარეშე |
| AGVQ | 1 | 1.50 | 1.50 | 1.50 | na | 4,500 | 6,750 | 90,296 | რეკ. გარეშე |
| UNVR | 1 | 1.82 | 1.82 | 1.82 | 102.2 | 47,792 | 86,981 | 2,585,315 | რეკ. გარეშე |
| DAMK | 1 | 3.50 | 3.50 | 3.50 | na | 11 | 39 | 208,639 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 684,246 | | |

სესია No. 77, 10 ოქტომბერი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | მაქს. | საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 33 | 18.00 | 19.20 | 18.87 | 126.1 | 19,900 | 375,462 | 314,845,591 | - |
| UTC | 35 | 0.70 | 0.71 | 0.70 | 94.7 | 62,100 | 43,503 | 72,368,915 | ფლობა |
| AMA | 3 | 1.00 | 1.00 | 1.00 | na | 147 | 147 | 584,511 | რეკ. გარეშე |
| SLAD | 4 | 0.45 | 0.45 | 0.45 | 350.0 | 6,266 | 2,820 | 591,210 | რეკ. გარეშე |
| STP | 1 | 8.00 | 8.00 | 8.00 | 91.8 | 44 | 352 | 5,741,712 | რეკ. გარეშე |
| AGVQ | 1 | 0.25 | 0.25 | 0.25 | na | 16,691 | 4,173 | 90,296 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 426,457 | | |

საერთაშორისო ბირჟებზე კოტირებადი ქართული კომპანიები

9 ოქტომბერი, 2006 – 13 ოქტომბერი, 2006

| ოდი | ბირჟის ვალუტა | ფასი (კვირის მანძილზე) წინა დახურვის | მინ. | მაქს. | დახურვის | კვირის ცვლილება (%) | კვირის ბრუნვა | კაპიტალიზაცია (მლნ) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CanArgo Energy | US$ | 1.30 | 1.01 | 1.24 | 1.15 | -11.5 | 9,710,500 | 257.7 | ყიდვა |
| Bolnisi Gold NL | A$ | 2.48 | 2.44 | 2.63 | 2.63 | 6.0 | 1,385,023 | 399.7 | ყიდვა |
| Metromedia Inc. | US$ | 1.58 | 1.41 | 1.57 | 1.55 | -1.9 | 815,400 | 145.8 | ყიდვა |
| Frontera | GBP | 57.59 | 55.00 | 61.00 | 57.59 | 0.0 | 43,812 | 3,839.7 | ყიდვა |

GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები

| კომპანია | კოდი | რეკომენდაცია | ფასი (ლარი) | ცვლილება (%) კვირის | წლის დას-დან | ბოლო ვაჭრობის თარიღი | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | თავისუფალი მიმოქცევის კოეფიც. (%) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | GEB | - | 19.27 | 0.91 | 130.88 | 12-ოქტ-06 | 699,645 | 321,520,644 | 15.8 | 63.6 |
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 1.60 | 0.00 | 6.67 | 13-ივნ-06 | 0 | 129,836,618 | 0.1 | 0.1 |
| გაერთ. სატელეკომ. კომ | UTC | ფლობა | 0.70 | 0.00 | 94.44 | 12-ოქტ-06 | 94,811 | 72,265,679 | 9.4 | 8.5 |
| გაერთ. ქართული ბანკი | UGB | გაყიდვა | 2.79 | 0.00 | 140.43 | 18-ივლ-06 | 0 | 58,569,000 | 10.0 | 7.3 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | გაყიდვა | 27.00 | 0.00 | 50.00 | 28-სექ-06 | 0 | 26,172,909 | 35.5 | 11.6 |
| აზბეგი | KAZB | გაყიდვა | 5.00 | 0.00 | 100.00 | 21-სექ-06 | 0 | 14,000,000 | 42.7 | 7.5 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | გაყიდვა | 2.30 | 0.00 | 15.00 | 28-მარ-06 | 0 | 17,051,246 | 5.2 | 1.1 |
| რუსთავცემენტი | RUCE | გაყიდვა | 1.10 | 0.00 | 54.93 | 17-იან-06 | 0 | 1,739,055 | 10.3 | 0.2 |
| სულ | | | | | | | 794,456 | 641,155,150 | | 100.0 |

ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის შედეგები

9 ოქტომბერი, 2006 – 13 ოქტომბერი, 2006

| ემიტენტი | ემისიის მოცულობა (ლარი) | გადაფარვის თარიღი | საპროც. განაკვეთი (%) | ფასი ყიდ | გაყ | საშ | დღის ბრუნვა | YTM (%) | ცვლილება (ს.პ.) | სპრედი (აშშ სახაზინო ვალდებ-თან) | დურაცია | რეიტინგი Fitch /Moody's/S&P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 1,707,300 | 02/09/07 | 11 | 100 | 100 | 100 | - | 11.00 | -21 | 615 | 0.76 | B-/ B3/ B+ |
| პროკრედიტ ბანკი | 5,926,000 | 06/11/06 | 0 | - | - | 94.2 | - | 15.10 | -19 | 999 | 0.06 | B / - / - |

**აქტიური ყიდვა:** ფასის 20%-ზე მეტად მოსალოდნელი ზრდა **ყიდვა:** 10%-20% ზრდა **ფლობა:** 10% კლება ან 10% ზრდა, **გაყიდვა:** 10%-ზე მეტი კლება

სს გალტ & თაგგარტ სიქიურითის
საქართველო, 0179, თბილისი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 23,
ტელ:+ 995 32 235 800 ფაქსი:+ 995 32 235 804

ანალიტიკოსი
გოგა მელიქიძე
ტელ:+ 995 32 235 800
ელ-ფოსტა: research@galtandtaggart.ge

ზემოთმოყვანილი მასალა შექმნილია სს "გალტ ენდ თაგგარტ სიქიურითის" მიერ. "გალთ ენდ თაგგარტი" წარმოადგენს მომსახურების სრული სპექტრის მქონე საბროკერო კომპანიას, რომელიც დაკავშირებულია სს "საქართველოს ბანკთან" ("საქართველოს ბანკი" არის "გალტ ენდ თაგგარტის" უმსხვილესი აქციონერი და მნიშვნელოვანი კლიენტი). „გალტ & თაგგარტს" და/ან მასთან დაკავშირებულ პიროვნებებს შეუძლიათ განახორციელონ ან ჰქონდეთ განხორციელებული მათ საკუთარ ანგარიშზე ოპერაცია ან ოპერაციები იმ ინსტრუმენტებში, რომლებიც მოცემულია ზემოხსენებულ მასალაში […]